ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი 12-18 იანვარი №2 (3495) ფასი 1 ლარი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოკოითი ისე დათვრა, რომ: სამხრეთ ოსეთი ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა!



ევრო 2016-ის ფინალი: რუსეთი — სამხრეთ ოსეთი

## აიაქსის GEOR-GIA

გრიგალავა ვან ბასტენის სიტყვას ელის



## ჭანტურიამ კოკაიას იქით შეუტია: მომეცი ფული და თავისუფლება!





## მოთხოვნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას: იმოქმედეთ!

## დღეს ფიფა მსოფლიოს იტყვის!















# საქართველო ნაახალწლევს


ჟოვე მეგონტი


ჯაბა მუჯირი

## ვიტ ჯორჯია: ანთალიამდე? თბილისი იყოს...

**ჩემპიონატის** ლიდერ „ვიტ ჯორჯიას“ 4 იანვარს ჰქონდა კრება, ვარჯიში კი 8 იანვარს განაახლა კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

12 იანვარს ვიტელები 35-ე სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გააგრძელებენ წვრთნას, 18-ში კი ანთალიაში წავლენ შეკრებაზე, სადაც ხუთი ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი. როგორც ვიტელთა თავკაცმა ნესტორ მუმლაძემ გვითხრა, ერთ-ერთი მეტოქე ქართველებით დახუნძლული მახაჩყალის „ანჟი“ იქნება.

თურქული შეკრებიდან „ვიტ ჯორჯია“ 1 თებერვალს დაბრუნდება...

„მწვანეებს“, ტრადიციულად, სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ უაქტიურიათ, ოდენ ერთი ფეხბურთელი შეიმატეს — „გაგრას“ მცველი ნიკა მგელაძე, რომელთანაც 3-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

კონტრაქტი დაუმთავრდა დავით ლომაიას და იგი ამჟამად უკრაინულ „ზარიაში“ ვარჯიშობს, მაგრამ არ არის გამორიცხული, სეზონი მაინც „ვიტ ჯორჯიაში“ ჩაამთავროს.

## ზესტაფონი თანდათან ძლიერდება: მელქაძე, მამალაძე და კაკალაძე

**გია გეგუჩაძის** „ზესტაფონს“ ახალი ფეხბურთელების შესაძენად სხვებზე მეტი ფული აქვს — ფეროელებმა ხომ ბექა გოცირიძე „დნიპროში“ კარგა ხნის უნახავ ფასად, მილიონ ევროდ გაყიდეს.

ჯერჯერობით იმერულ კლუბში ხმაურიანი შენაძენები არ ჩანს. ლევან მელქაძის გადაყვანის ამბავი აქამდეც იცოდით, მის გარდა გეგუჩაძის გუნდს მეკარე ზურაბ მამალაძე შეემატა, გასინჯვაზეა ფორვარდი მიხეილ კაკალაძე.

საინტერესოა, არა? მელქაძეც, მამალაძეც და კაკალაძეც გეგუჩაძის დროინდელ თბილისის „დინამოში“ თამაშობდნენ.

ფეროელთა ახალწვეულები არიან „დინამო 2“-დან გიორგი კაჭკაჭიშვილი და „გაგრადან“ აკაკი ტეტუნაშვილიც.

გოცირიძის გარდა, „ზესტაფონს“ სამი ფეხბურთელი დაშორდა: რონ ონიანი, ვაჟა ლომაშვილი და ბოიომო ფრიდოლინი.

კამერუნელი ლეგიონერი ტრანსფერზეა დაყენებული.

იმერული კლუბი 18 იანვარს ანთალიასთან მდებარე კურორტ სიდეში გაემგზავრება შეკრებაზე, სადაც საინტერესო სპარინგ-მატჩები ელის: ლვოვის „კარპატისთან“, ნალჩიკის „სპარტაკთან“, ბაქოს „ინტერთან“, ჩეხურ „ბრნოსთან“ და ერთ-ერთ ხორვატულ გუნდთან.

სავარაუდოდ, თურქეთიდან „ზესტაფონი“ გაძლიერებული ჩამოვა — რამდენიმე ფეხბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს და ვნახოთ...

## კოშკაძე უკვე დინამოელია, აკირემი ბრუნდება, კამერუნელი აქ არის, სხვებს კი ელიან

**თბილისის** „დინამოს“ ზამთრის არდადეგები დაუმთავრდა და ვარჯიშს შეუდგა. რა ცვლილებებია გუნდში? დავით ოდიკაძე უნგრულ „დიორ ეტოში“ წავიდა და შევსებაც მალევე მოხდა: ალექსანდრე კოშკაძემ, რომელმაც პირველ წრეში „სიონის“ მაისურით 6 გოლი გაიტანა, „დინამოსთან“ 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

დინამოელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა შოთა კაშიას და რამდენადაც ვიცით, უკრაინული გუნდის ვარიანტი ჰქონია. რიგის „სკონტოდან“ განათხოვრებულ ზაალ ელიავას იჯარის ვადა დაუმთავრდა, ის ისევ ლატვიური კლუბის ფეხბურთელია, თუმც სად გააგრძელებს კარიერას, ჯერ უცნობია.

კვლავ გასინჯვაზე არიან ბალკანელები: ბოსნიელი ფუად სალიჰოვიჩი და ჩერნოგორიელი დანილო ტომიჩი. მათი საკითხი მოგვიანებით გადაწყდება. ისე კი, „დინამოში“ ჩარიცხვის უკეთესი შანსი სალიჰოვიჩს აქვს.

ასევე გასინჯვაზეა 18 წლის კამერუნელი თავდამსხმელი ჟოვე მეგონტი.

რაინერ ცობელის გუნდს დაუბრუნდნენ შოთა გრიგალაშვილი და გიორგი ქავთარაძე, რომლებიც შესაბამისად, „მესხეთსა“ და „ბორჯომში“ იყვნენ განათხოვრებულნი. თუმც ჯერ არ ვიცით, დარჩებიან თუ არა ისინი „დინამოში“.

უახლოეს დღეებში „დინამოს“ ვარჯიშებზე ლეგიონერები შეუერთდებიან — 13 იანვარს დიდიე ოვონო და ჟორჟ აკირემი ჩამოდიან, 14 იანვარს ილია სპასოევიჩი, ხოლო 15-ში მილოშ კრშკო.

აკირემი გახსოვთ? დიახ, მან შემოდგომაზე თვითნებურად დატოვა კლუბი, თუმც „დინამომ“ ფიფა ჩააყენა საქმის კურსში და აკირემიმაც მუქარა რომ იგრძნო, აღარ ჩახლართა საქმე — ის თანახმაა, „დინამოში“ ითამაშოს.

ცობელის გუნდი 22 იანვრამდე თბილისში ივარჯიშებს, 23-ში კი თურქულ ანთალიაში გაემგზავრება შეკრებაზე, სადაც 7 თებერვლამდე დარჩება. თურქული სპარინგ-მეტოქეებიდან მხოლოდ ერთი ვიცით — პერმის „ამკარი“.

## ცხინვალის სპარტაკი იცლებ-ივსება

**ცხინვალის** „სპარტაკი“ აღარ ხუმრობს — რამდენიმე ფეხბურთელს აკვირდება და მათ შორის, ცნობილებიც არიან.

მწვრთნელ სერგო გაბელაიას განკარგულებაში არიან, გიორგი ჩივაძე, გიორგი ოქროპირიძე, მურმან ქურასბედიანი, შოთა ჯიქია („სიონიდან“), კონსტანტინე ავალიანი, გივი ქარქუზაშვილი („ბორჯომიდან“), ზვიად მეტრეველი („გაგრადან“), გიორგი კვახაძე („მესხეთიდან“), ნოდარ მგალობლიშვილი („ჩიხურადან“).

ჯერჯერობით უცნობია, ამ ფეხბურთელებიდან ვინ დარჩება „სპარტაკში“ და ვინ არა.

ეს რაც შეეხება მომსვლელებს. აი, გუნდიდან წასულთა სიაც შთამბეჭდავია: გუნდის ლიდერები — კობა შალამბერიძე და გიორგი ხიდეშელი „სიონში“ ჩაირიცხნენ.

ერთი საინტერესო ამბავიც: „სპარტაკის“ დირექტორატში იმუშავებს „სიონის“ ექს-გენმენეჯერი, ჩვენი ყოფილი კოლეგა ჯემალ ჭიპაშვილი.

ვნახოთ, რამდენად ეყოფა ცვლილებები გაბელაიას გუნდს, რათა ცხრილის ფსკერიდან ამოვიდეს.

## გაგრა ქართველებით და ლეგიონერებით?

**ვლადიმერ ხაჩიძის** „გაგრა“ კუს ტბაზე ფიზიკურად ვარჯიშობს.

გუნდი გაძლიერდაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, 17 იანვარს ანთალიაში მიემგზავრებიან შეკრებაზე და იქ შეიძლება, ლეგიონერებიც დაიმატონ.

არის შანსი, „გაგრაში“ ითამაშონ ბაქოს „სტანდარდიდან“ წამოსულმა ბაჩანა ცხადაძემ, 35-ე სკოლის აღზრდილებმა — ლევან როსტობაიამ და გიორგი ეძგვერაძემ, ასევე დავით სართანიამ.

ლაპარაკია რევაზ გოცირიძეზეც, ვინც ბოლოს ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა...

ჯერჯერობით კი, „გაგრა“ სამმა ფეხბურთელმა დატოვა: კაპიტანი ნიკა მგელაძე „ვიტ ჯორჯიაში“ ჩაირიცხა, მცველი აკაკი ტეტუნაშვილი „ზესტაფონში“, ფორვარდი ზვიად მეტრეველი კი ცხინვალის „სპარტაკში“.

## მესხეთი ჯერ საერთოდ არ შეკრებილა

**ახალციხის** „მესხეთი“ ჯერ არც შეკრებილა და არც ისაა ცნობილი, რა დაფინანსება ექნება. კლუბს ძალიან რომ უჭირს, ეს იცით.

„მესხეთი“ ჯერჯერობით სამმა ფეხბურთელმა დატოვა: შოთა გრიგალაშვილი „დინამოს“ დაუბრუნდა, მწვრთნელ კობა თედიაშვილის ვაჟი, ლევანი „ოლიმპში“ ისინჯება, გიორგი კვახაძე კი „სპარტაკში“ მოწყობას ცდილობს.

წასვლის მსურველები, იცოცხლეთ, კიდევ ბევრია...

## ლოკომოტივი: ყველა აქ არის ლომაიას გარდა?

**სხვა** ქართული კლუბებისგან განსხვავებით, თბილისის „ლოკომოტივში“ ჯერ თითქმის არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

გუნდმა ვარჯიში დაიწყო და ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც უკვე ცნობილია, რომ ვაკელებს დატოვებს, მეკარე გიორგი ლომაიაა.

„ლოკომოტივში“ ვარჯიშობენ ლევან ცქიტიშვილი და რატი ალექსიძეც, რომლებზეც ხშირად ისმის, უცხოეთში წავლენო. ვნახოთ...

## მგლებს ბევრი გიორგი წაუვიდა და ერთი უკრაინელი დარჩა

**ზუგდიდის** „მგლებმა“ ვარჯიში დაიწყო და 17 იანვარს ურეკში ან ჩაქვში წავა შეკრებაზე.

„მგლებში“ რამდენიმე ცვლილება უკვე მოხდა. კერძოდ, მეკარე ზურაბ მამალაძე „ზესტაფონში“ გადავიდა, გიორგი მიქაბერიძე და გიორგი რეხვიაშვილი განათხოვრებით იყვნენ ზუგდიდში და „ოლიმპს“ დაუბრუნდნენ. გიორგი გულორდავას და გიორგი ქუცურუას კონტრაქტები დაუმთავრდათ.

კლუბში მყოფი ორი უკრაინელიდან ერთიღა დარჩება: ფორვარდი ალექსანდრ ომელიანოვი ზეგ ჩამოვა საქართველოში.

რაც შეეხება ახლებს: „მგლებს“ დაუბრუნდა უზბეკეთში ნათამაშევი დავით ქირია. მივიდნენ ბექა ნოზაძე და „ზესტაფონის“ კაპიტანი რონ ონიანი. ლაპარაკია რამდენიმე ახალციხელ ფეხბურთელზეც...

## სიონის ახალი სიო: ბევრი წავიდა, ბევრი მოვიდა

**რა** გაქანების გუნდი იქნება ბოლნისის „სიონი“ ჩემპიონატის მეორე ნახევარში? ერთი ცხადია, შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაუმჯობესდა თუ გაუარესდა, ამას შედეგები დაგვანახებს.

სანდრო იაშვილი „ანჟიშია“, ალექსანდრე კოშკაძე „დინამოში“; გუნდი დატოვეს ლევან შავგულიძემ და რევაზ გოცირიძემ. „სპარტაკში“ არიან გიორგი ჩივაძე, გიორგი ოქროპირიძე, მურმან ქურასბედიანი.

რაც შეეხება ახალწვეულებს, მათგან ყველაზე ცნობილი ჯაბა მუჯირი გახლავთ. ჯაბა წლების განმავლობაში ირანულ „სეპაჰანში“ თამაშობდა, ქართული კარიერა კი „ვიტ ჯორჯიაში“ დაიწყო.

ალბათ ბაქოს „ოლიმპიკიდან“ მობრუნდება გივი დიდავაც.

ცხინვალის „სპარტაკიდან“ ოთარ კორღალიძის გუნდში გადავიდნენ ნახევარმცველები — კობა შალამბერიძე და გიორგი ხიდეშელი.

გადასაწყვეტია გრიგოლ ჭანტურიას „სიონში“ გადასვლის საკითხი.

ბოლნისურ კლუბში არიან ლაშა ვაშაკიძე, რომელიც ბოლოს „ბორჯომში“ იყო. ასევე, ირაკლი ვაშაკიძე — ერთ დროს თბილისის „დინამოს“ მცველი, რომელიც ბოლოს მარტვილის „მერანში“ თამაშობდა.

კორღალიძის ამქარშია ფორვარდი გიორგი მოდებაძეც, ვინაც აღრე ლატვიურ „ვენტსპილსში“ იყო.

„სიონი“ თბილისში, დიღუბის მანეჟში ემზადება. სამშაბათიდან ორჯერად ვარჯიშებზე გადადის, 21 იანვარს კი გუნდი ქობულეთში წავა შეკრებაზე, სადაც რამდენიმე ტესტ-მატჩსაც გამართავს.

## ოლიმპში ჯერ ბევრი რამ გასარკვევია...

**რუსთავის** „ოლიმპმა“ წვრთნა 10 იანვარს განაახლა. გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა: აზერბაიჯანულ „გაბალაშია“ მირზა მერლანი; გელა ხუბუაც აზერბაიჯანის გზას დაადგა; კოკა მიკუჩაძე და კახა ალადაშვილიც წავიდნენ. გასარკვევია გიორგი დეკანოსიძის საკითხი. შესაძლოა, უკრაინაში წავიდეს ერნესტ აკუასაგა. „ბორჯომიდან“ კი აიყვანეს ბექა შეყრილაძე.

რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ ვარჯიშობს „ოლიმპში“: ლევან თედიაშვილი და ლევან სარალიძე, მაგრამ მათი ბედი გასარკვევია.

„ოლიმპი“ 20 იანვრამდე რუსთავში ივარჯიშებს, მერე კი, შესაძლოა, უცხოური შეკრებაც გაიაროს.

## ბორჯომი? რა გითხრათ, არაფერი ვიცით...

**„ბორჯომი“** რომ ცუდ დღეშია, თავიდანვე გამოჩნდა. ჩემპიონატის ნახევარი მწვრთნელ-ფეხბურთელებმა უხელფასოდ გაწვალეს, მაგრამ ასე მუდმივად ვერ გაგრძელდება. „ბორჯომის“ თავკაცმა გიორგი სუხიაშვილმა გვითხრა, კაცმა არ იცის, რა როგორ იქნებაო.

# გრიგოლ ჭანტურია: კოკაია სიმართლეს ვერსად გაექცევა!

## ზესტაფონი თავს ბექა გოცირიძით იმართლებს

სკანდალი



„ზესტაფონი“ არცთუ დიდი ხნის კლუბია, მაგრამ ძალიან ხშირ შემთხვევაში რაღაც სადავო უხდება ფეხბურთელებთან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო კომისიასაც საქმე არ აკლია.

ამჟამად დავა კლუბსა და მეკარე გრიგოლ ჭანტურიას შორის მიდის. ჭანტურია „ზესტაფონისგან“ თავისუფალი აგენტის სტატუსს და პლუს 15 თვის ხელფასს ითხოვს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ მეკარეს „ბორჯომთან“ მატჩის მერე კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიასთან შელაპარაკება მოუვიდა და ეს დავაც მას შემდეგ დაიწყო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჭანტურიამ საჩივარი შეიტანა, რომ კლუბი არ აძლევს არც ვარჯიშის უფლებას და არც კონტრაქტით გათვალისწინებულ ანაზღაურებას.

საქმეში უკეთესად გასარკვევად სამივე მხარის პოზიციას გთავაზობთ. აი, რა გვითხრა სატრანსფერო კომისიის წევრმა *რევაზ შენგელიამ*: „ერთ-ერთ სხდომაზე „ზესტაფონის“ მაშინდელი მწვრთნელი თემურ მახარაძეც იყო მოწვეული. მან თქვა, რომ „ბორჯომთან“ მატჩის შემდეგ ჭანტურია მივიდა მასთან და ჰკითხა, რა ექნა. მახარაძეს უთქვამს, სჯობს, ჯერ კლუბის პრეზიდენტთან გაარკვიო საქმეო. ჭანტურია კი ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტი ილია კოკაია სათოფეზე არ იკარებდა...

მერე ჭანტურიამ თქვა დამატებით მტკიცებულებებს მოვიტან, რომ არ მავარჯიშებენო, მაგრამ ვერ მოიტანა...

ჩვენ კლუბს დავაკისრეთ ფეხბურთელისთვის ოქტომბრის ხელფასის გადახდა. ამასობაში კი, „ზესტაფონმა“ შემოიტანა წერილი — ფეხბურთელთან კონტრაქტი არ გაგვიწყვეტია, მოვიდეს და ივარჯიშოსო.

რადგან უკვე დეკემბერი იყო, კლუბს ნოემბრის თვის ხელფასის გადახდაც დავაკისრეთ და მოვთხოვეთ, ფეხბურთელისთვის ეცნობებინა ვარჯიშის ადგილი და დრო, რაც „ზესტაფონმა“ არ გააკეთა. ჭანტურიამაც ახალი საჩივარი შემოიტანა, სადაც 15 თვის ხელფასს და თავისუფალი აგენტის სტატუსს ითხოვს...

ახალი სხდომა 9 იანვარს უნდა გამართულიყო, მაგრამ „ზესტაფონმა“ წერილი შემოიტანა, რომ კლუბის იურისტი მივლინებაში იყო და იქნებ 22-მდე გადაგვედო სხდომაო. ჭანტურია კი ამტკიცებს, რომ იურისტი აქ არის და სხდომა არ უნდა გადადებულიყო. აქ უკვე სატრანსფერო კომისია უძლურია — ჩვენ სამართალდამცავი ორგანო არ ვართ, ასეთი რამეები ვარკვიოთ. ალბათ ფედერაციის ხელმძღვანელობაც ჩაერევა საქმეში და გადაწყვეტილებასაც გამოიტანს“.

„ზესტაფონის“ ოფიციალური პასუხი კი კლუბის პრესატაშემ *სერგო ფუტკარაძემ* გაგვაცნო: „კლუბის იურისტი ნიკა არსენიშვილი ბექა გოცირიძის ტრანსფერთან დაკავშირებით დნეპროპეტროვსკში გახლდათ და სხდომის გადადებაც ამიტომ მოვითხოვეთ“.

და ბოლოს *გრიგოლ ჭანტურია* — ის ამბობს, რომ 9 იანვარს არსენიშვილი საქართველოში იყო და ამის მტკიცებულებებიც აქვს...

— არანაირი საფუძველი არ ჰქონდათ, კომისიის სხდომა 22 იანვარს გადაეტანათ. არსენიშვილი აქ იყო და ამის დამადასტურებელი მასალაც მაქვს. კლუბი კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს არღვევს და ამიტომ, 15 თვის ხელფასი და თავისუფალი აგენტის სტატუსი მეკუთვნის. კლუბი რომ არ მავარჯიშებდა, ეს ყველამ იცის და ეს კომისიას თემურ მახარაძემაც უთხრა, რის გამოც სამ დღეში კოკაიამ ის მწვრთნელობიდან დაითხოვა.

**— კომისიამ რომ ორი თვის ხელფასის გადახდა დააკისრა „ზესტაფონს“, ის თუ გადაგიხადეს?**

— არც კომისიის დაკისრებულ ვალდებულებებს ასრულებენ. კოკაიას ეს ქვეყანა ჩალით დახურული ჰგონია — სიმართლეს ვერსად გაექცევა და მე გავიმარჯვებ!

**— პრეზიდენტთან კონფლიქტი „ბორჯომთან“ ვერმოგებული თამაშის მერე დაიწყო. მაინც რა მოხდა მაშინ?**

— კოკაია ნამატჩევს გასახდელში შემოვიდა და საკმაოდ აგრესიული იყო, რაზეც პასუხი გავეცი. ვუთხარი, რომ ეს ფეხბურთია და შეიძლება, ვერ მოიგო; შვიდი გამოცდილი ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან და ახალგაზრდებს სტაბილურობა აკლიათ; „ჩელსიმ“ წააგო და ჩვენც რომ ვერ მოვიგეთ, რა არის გასაკვირი-მეთქი. ჰოდა, წადი გუნდიდანო. ახლა იძახიან, თვითნებურად წავიდა და ბუნტისთავი იყოო... კოკაიას ყველაფერი ტყუილზე აქვს აწყობილი და ვნახოთ, როდემდე გასტანს ასე. ღმერთის იმედი მაქვს და მჯერა, რომ სიმართლე გაიმარჯვებს!

**ნუკრი ლოლაძე**

## მე ვიცი, რატომაც გაუშვეს თემურ მახარაძე გუნდიდან

## ორი [illegible] ალტახ-შანსი

**ავსტრიის** ბუნდესლიგას, შესაძლოა, ორი ქართველი შეემატოს. კერძოდ, „ალტახის“ ვარიანტი აქვთ ლოკომოტიველ გიორგი ლომაიასა და ოლიმპელ გიორგი ონიანს.

ლომაია „აშდოდში“ იყო გასინჯვაზე, თუმცა ისრაელში მიმდინარე საომარი მოვლენების გამო ტრანსფერმა აზრი დაკარგა.

„ალტახი“ ლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერია. ამ გუნდში გადასვლის შანსი „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტან ალექსანდრე კვახაძესაც ჰქონდა, თუმცა მან „ვიტ ჯორჯიას“ მიტოვება არ ისურვა.

## ტატანას სლავია

**დიმიტრი ტატანაშვილმა** მეორე ტაიმი ითამაშა პრაღის „სლავიასთან“ ამხანაგურ მატჩში, რომელიც „პლზენმა“ 2:1 მოიგო.

„ტატანამ“ პირველი გოლის ავტორი და მისი უშუალო კონკურენტი ადამ ვარადი შეცვალა.

## ბურდული ტავრიას... ახალგაზრდებში

**სიმფეროპოლის** „ტავრიაში“ ვასილ გიგიაძე და ლადო ბურდული თამაშობენ, თუმც ჩანს, ბურდული ძირითადი გუნდის ფეხბურთელად აღარ ითვლება.

საქმე ასეა: „ტავრია“ ალუშტაში წავიდა შეკრებაზე და ბურდული არ წაიყვანეს — სიმფეროპოლში დატოვეს ახალგაზრდულ გუნდთან.

საწყენია, რომ ლადოს კარიერა წლიდან წლამდე დაღმა მიდის.

## ქოქიაშვილს კვარაცხელია გასინჯავს

**ბადრი კვარაცხელიას** გაწვრთნილ „სტანდარდში“, სავარაუდოდ, კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი ჩაირიცხება — დავით ქოქიაშვილი.

25 წლის ნახევარმცველი პირველ წრეში „ბაკილში“ იყო, თუმც კლუბთან შეთანხმებით ვადაზე ადრე გაწყვიტა კონტრაქტი.

„სტანდარდში“ ამჟამად მეკარე მიხეილ ალავიძე და მცველი დავით ჭიჭვეიშვილი თამაშობენ.

## თარგამაძის ტაიმი

**შეკრებაზე** მყოფმა „ფრაიბურგმა“ ამხანაგური მატჩი გამართა ბუნდესლიგელ „დორტმუნდთან“ და 2:1 დამარცხა.

ორივე გუნდის მწვრთნელმა თითქმის ყველა ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება და, ცხადია, ითამაშა „ფრაის“ ქართველმა ნახევარმცველმა დავით თარგამაძემაც.

ჩვენიანმა მეორე ტაიმი ჩაატარა, მარჯვენა გარემარბი გახლდათ.

მეორებუნდესლიგელები 2:0-ს იგებდნენ და ბოლო წუთზე გაუშვეს ერთი ბურთი.



ვასილი უტკინი

არის მასალები, რომელსაც შესავალი არ სჭირდება და სწორედ ასეთია ის, რასაც აქ გთავაზობთ. ან, რა არის აქ სალაპარაკო? სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი რომ ზეცაში დაფრინავს, ეს გავიგეთ, მაგრამ ვასილი უტკინი რალამ გადარია? ეს ინტერვიუ კოკოითთან სწორედ „ნტვ+ფუტბოლის“ კომენტატორმა ჩაწერა WORLD SOCCER-ის რუსული ვერსიისთვის. ისე, კარგი იქნება, უტკინი მილუტინოვიჩს თუ დაუკავშირდება, და ჰკითხავს, რამდენად მოიხიბლა ბორის ჩოჩიევის წინადადებით და რა მიზნებს ისახავს 2016 წლის ევროჩემპიონატზე. დანარჩენი კი, წაიკითხეთ და... იცინეთ...



ედუარდ კოკოითი

# შედევრი

## წაიკითხეთ და... იცინეთ!

— ბ-ტონო კოკოითი, მადლობელი ვარ, რომ დრო გამონახეთ ჩვენთან სასაუბროდ...

— მე ძალიან მიყვარს ფეხბურთი და თქვენს არხს ყოველთვის ვუყურებ. თანაც, სპორტსმენი ვარ და სპორტის მნიშვნელობა კარგად მესმის... ფეხბურთს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. წლეულს სამხრეთ ოსეთის ფეხბურთს 80 წელი უსრულდება. ჩვენ ვაპირებთ ცხინვალის სტადიონის მოწესრიგებას და ზაფხულში საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას, სადაც სამხრეთ ოსეთის, ნიკარაგუის, რუსეთისა და პალესტინის ნაკრებები ითამაშებენ. შესაძლოა, სხვა ნაკრებებიც ჩამოვიდნენ. ამ საკითხზე ჩემი სპეცწარმომადგენელი ბორის ჩოჩიევი მუშაობს.

— სხვა რაიონებში როგორია მინდვრების მდგომარეობა?

— დარწმუნებული ვარ, მომავალი წლისთვის უეფას სტანდარტის 2-3 სტადიონი გვექნება. რუსი კოლეგების წყალობით რესპუბლიკურ სტადიონზე გადახურული კომპლექსის გაკეთებას ვაპირებთ. კერძოდ, ორი ახალი მინდორი და მინი-სასტუმროც გვექნება, რათა იქ რუსული კლუბები მოემზადნონ.

— თქვენი ფეხბურთის ფედერაციის ფინანსური მდგომარეობა როგორია? კერძოდ, ბიუჯეტი რამდენია?

— ტურნირის ჩატარება 3 მილიონი რუბლი დაგვიჯდება, თუმც ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით. ვფიქრობ, სამხრეთ ოსეთში არის ხალხი, რომლებიც რაიონული ფეხბურთის განვითარებაზე იზრუნებენ.

— და ნაკრებში როგორ იქნება საქმე?

— ჩვენ ძალიან პერსპექტიული, ახალგაზრდული ნაკრები გვყავს — სპეციალისტები ასე მარწმუნებენ. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, პირველად თქვენთან ვამბობ ამას: სამხრეთ ოსეთის ნაკრები 2016 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. იმედია, ეს ჩემპიონატი რუსეთში გაიმართება.

— დიახ, რუსეთის საფეხბურთო კავშირი უეფაში შეიტანს განაცხადს ჩემპიონატის მასპინძლობაზე...

— და იმედია, მიიღებს კიდეც ამის უფლებას... სამხრეთ ოსეთის ნაკრები ჩემპიონატზე მოხვდება. ჩვენ ძლიერი გუნდი გვეყოლება — სწორედ დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები იქნებიან 2016 წლის ნაკრების ბირთვი.

— გავიგეთ, ვალერი გაზაევთან გისაუბრიათ, რათა ნაკრები მოამზადოს...

— არა. როგორც ვიცი, სამხრეთ ოსეთის ნაკრების მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი გახდება, მასთან უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები... ამ საკითხზეც ჩოჩიევი მუშაობს.

— მილუტინოვიჩი?

— დიახ, დიახ. მან ხომ ჩვენზე სუსტი გუნდები ათამაშა მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ვფიქრობ, მილუტინოვიჩთან ერთად დიდი წარმატებები გველის. აი, ესპანეთისაგან არავინ ელოდა ევროპის ჩემპიონატის მოგებას, მაგრამ მოიგო. არადა, მანამდე მსგავსი წარმატება არ ჰქონია.

— კეთილი. წარმატებას გისურვებთ...

— გმადლობთ. რუსეთის ნაკრებს კი ვუსურვებ, წარმატება არ მოჰკლებოდეს — ჩვენთან ითამაშოს ფინალში, იქ კი მეგობრობამ გაიმარჯვოს!

## სენსაცია: ხიზანეიშვილმა ითამაშა



ოთარ ხიზანეიშვილი „აუგსბურგში“ გამოჩნდა. მას მწვრთნელი ფოლგერ ფახი არ ათამაშებდა, რის მიზეზადაც ოთარმა ჩვენთან საუბარში ეს დაასახელა: ფახს თავისი წრე ჰყავს, ფეხბურთელთა ერთ ჯგუფთან მეგობრობს, სხვებს კი არც გველაპარაკებაო.

არ ვიცი, უბრობა როგორ მორჩა და არც ის ვიცით, ათამაშებს თუ არა ფახი ხიზანეიშვილს მეორე ბუნდესლიგის მატჩებში, აი, ამხანაგურში კი ძირითადში დააყენა — „აუგსბურგმა“ 7:0 მოუგო ქვედალიგელ „გერსტჰოფენს“.

ფახმა ოთარზე თქვა, მოხარული ვარ, რომ დაგვიბრუნდა, მისი თამაშით კმაყოფილი ვარო.

## ლევანებმა ოსთან ხუმრობით დაიწყეს

გელზენკირხენის „შალკემ“ წლის პირველი მატჩი გამართა და ჰოლანდიის ქვედალიგელ „ტოპ ოსს“ ამხანაგურში 6:1 „გაეხუმრა“.

ლევან კობიაშვილმა პირველი, ლევან ყენიამ კი მეორე ტაიმი ითამაშეს. აღსანიშნავია, რომ „ხუმარებმა“ 3 იანვარს დაიწყეს ვარჯიში, თუმცა კობიმ საწყისი ორი დღე ავადმყოფობის გამო გამოტოვა: გაციებული იყო და სიცხე ჰქონდა.

რაც შეეხება ყენიას, ეს მისი პირველი მატჩია თითქმის სამთვიანი შესვენების შემდეგ. გეხსომებათ, ჩვენიანმა ბულგარეთთან სანაკრებო თამაშის წინ მიიღო ტრავმა და მკურნალობდა.

სასიამოვნოა, რომ ორივე გელზენკირხენელი ქართველი მზადყოფნაშია — ირლანდიასთან მატჩამდე ხომ ბევრიც აღარაფერი დარჩა.

„ტოპ ოსთან“ შეხვედრაში „შალკე“ პირველი ტაიმის მერე უკვე 5:0 იგებდა. კობიაშვილმა მარცხენა მცველად ითამაშა, ყენიამ კი ურუგვაელი ვისენტე სანჩესი შეცვალა და შემტევ ნახევარმცველად გაამწესეს.

ილია ნანობაშვილი

## კვირის ქრონიკა

### კანკავა 1:1 იაშვილი

თურქულ ბელეკში მყოფმა „დნიპრომ“ და „კარლსრუემ“ ამხანაგური მატჩი გამართეს — 1:1. შეიძლებოდა, ამ მატჩში ოთხ ქართველს ეთამაშა, თუმც უკრაინულ გუნდში სანდრო კობახიძე და ბექა გოცირიძე არ გამოჩენილან.

სამაგიეროდ, რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ მინდორს დაუბრუნდა ჯაბა კანკავა. 22 წლის ნახევარმცველი ჯერ წელმა შეაწუხა, შემდეგ კოჭმა და ისე მოხდა, რომ ნაკრებში მარტის მერე არ უთამაშია.

კანკავა 59-ე წუთზე შევიდა „კარლსრუესთან“, ხოლო გერმანელთა გუნდში ალექსანდრე იაშვილმა მეორე ტაიმი დაჰყო მინდორზე.

### მენთეშაშვილმა ტესტი დაიწყო

ლატვიურმა „ვენტსპილსმა“ ამხანაგური მატჩი გამართა „ეკრანასთან“ — 3:3.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა ზურაბ მენთეშაშვილმა შეუცვლელად ითამაშა.

შეგახსენებთ: „ვენტსპილსმა“ გასულ სეზონში ჩემპიონობა მოიპოვა.

### გურული თურქეთში წავიდა

სანდრო გურული ლვოვის „კარპატისთან“ ერთად თურქეთში მოემზადება უკრაინის ჩემპიონატისთვის.

24 წლის ქართველი ნახევარმცველი, ლვოველთა შემადგენლობაში შარშან სექტემბერში ჩაირიცხა და 9 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

# 1 000 000 ევრო!

## გოცირიძე დნიპროელია



მოსახდენი მოხდა: 20 წლის ბექა გოცირიძე უკრაინულ „დნიპროში" გადავიდა. ბევრი მითქმა-მოთქმა იყო ამ ტრანსფერის ირგვლივ, ხან დადასტურდა, ხან უარყვეს, ხან ჭორი დაარქვეს, ხან მართალი და... საბოლოოდ ასეა: „ზესტაფონის" ან უკვე ყოფილმა თავდამსხმელმა უკრაინულ კლუბში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და 4-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა. გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინელებმა ქართველი ფეხბურთელის სანაცვლოდ 1 000 000 ევრო გადაიხადეს, რაც ჩვენი ჩემპიონატიდან გაყიდული ფეხბურთელის კვალობაზე ძალიან მსუყე თანხაა.
გოცირიძეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 7 მატჩი უთამაშია და 1 გოლი გაუტანია. მას დნეპროპეტროვსკელები დიდი იმედებით დახვდნენ და ჩვენც წარმატებები ვუსურვოთ ბექას...

*„დნიპროსთან" კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ქართველი ფეხბურთელი ჟურნალისტების ალყაში მოექცა...*

— იმის გათვალისწინებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი ხართ, ალბათ სხვა კლუბებისგანაც გქონდათ შეთავაზება. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც „დნიპრო"?

— წინადადებები მართლაც საკმაოდ მქონდა. ჩემი შეძენით რამდენიმე ძლიერი კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ, როგორც კი „დნიპროს" დაინტერესების შესახებ შევიტყვე, უპირატესობა ამ ვარიანტს მივანიჭე. ჩემი აზრით, ეს ყველაზე კარგი გუნდია.

— გადაწყვეტილების მიღებამდე ჯაბა კანკავასა და სანდრო კობახიძესთან ხომ არ გისაუბრიათ?

— რა თქმა უნდა. ისინი ჩემი მეგობრები არიან და მათი რჩევა ყოველთვის საყურადღებოა. ჯაბამ და სანდრომ „დნიპრო" ძალიან კარგად დამიხასიათეს. მათთან ერთად ყოფნა დამატებითი სტიმულია ჩემთვის.

— უკრაინის ეროვნულ ჩემპიონატზე წარმოდგენა თუ გაქვთ?

— მაღალი დონის პირველობაა, რომელსაც თავისი სპეციფიკა გააჩნია. ისიც ვიცი, რომ უკრაინის ჩემპიონატი საკმაოდ ძალისმიერია, მაგრამ ასეთი ტიპის ფეხბურთი ძალიან მომწონს.

— ანუ, თქვენ არ გაშინებთ ის ფაქტი, რომ უკრაინაში მცველები უფრო ხისტად თამაშობენ, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში?

— ეს ამბავი სრულიადაც არ მადარდებს. კიდევ ვიმეორებ, მომწონს მცველებთან ხისტი ბრძოლა და ამისთვის მზად ვარ.

— ყოველ შემთხვევაში, თქვენ აქ ძალიან გაგიჭირდებათ ისეთი გოლების გატანა, როგორიც, მაგალითად, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს გაუტანეთ, როცა მეტოქის მთელი დაცვის ხაზის მოტყუება შეძელით...

— ვნახოთ... ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს...

## დნიპრო თურქეთში სამი ქართველით

დნეპროპეტროვსკის „დნიპრო" უკვე თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა.

ვლადიმირ ბესონოვმა 30 ფეხბურთელი იახლა, რომელთა შორის სამი ქართველია — ჯაბა კანკავა, სანდრო კობახიძე და ბექა გოცირიძე.

„დნიპრო" ბელეკში, სასტუმრო „გლორია სერენიტში" დაბინავდა.

უკრაინელები თურქულ შეკრებაზე რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავენ: 11 იანვარს — ყაზახეთის ჩემპიონ „აქტობესთან", 15-ში ყაზახურ „ირტიშთან" და გერმანულ „პადერბორნთან", 18-ში რუმინულ „კლუჟთან", 19-ში კი ჩინურ „შანხაისთან".

დნეპროპეტროვსკელები უკრაინაში 19 იანვარს დაბრუნდებიან.

**ქახა შალამბერიძე**

# ტალანტი და ნიჭი იმდენად არ მაქვს, რამდენადაც ფიზიკური მონაცემები




კიევის „დინამოს" სარეზერვო გუნდში ერთი ქართველი — ლაშა თოთაძე ირიცხება, ვინც აქამდე „გაგრაში" თამაშობდა და რამდენიმე თვის წინ ჩავიდა კიევში. უკრაინელები ლაშაზე დიდ იმედს ამყარებენ და იქაური ჟურნალისტების თქმით, თუ ყველაფერი კარგად წავიდა, მთავარ გუნდში გადასვლაც არ უნდა იყოს შორი პერსპექტივა.
ლაშას თავისი ყოფილი გუნდის, „გაგრას" ოფიციალურმა ვებგვერდმა ჩამოართვა ეს ინტერვიუ, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ...

**— რა ხდება კიევის „დინამოში"?**

— ვარჯიში დავიწყეთ. ვემზადებით სეზონისთვის...

**— რომელ გუნდში ხარ ახლა?**

— მეორე გუნდში ვარ და შანსი მაქვს, უკვე დუბლებში გადავიდე. რაღაც საკითხებია შესათანხმებელი...

**— როდის ჩახვედი კიევში?**

— 25 დეკემბერს. დამირეკეს, ჩამოვედი და ვარჯიშებიც დაგვეწყო. მინდოდა, ახალ წელს შინ შევხვედროდი, მაგრამ არ გამოვიდა.

**— საინტერესოა, როგორ მოხვდი კიევის „დინამოში"?**

— ჩემი კერპი კახა კალაძეა და შესაბამისად, კიევის „დინამოც" ძალიან მომწონდა. კიეველებს ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავდათ...

პირველად კიევში ბავშვობაში ვიყავი. თამაზ კოსტავა იყო ჩემი მწვრთნელი. „დინამოს" ბაზაზე ტარდებოდა ტურნირი და ჩემპიონები გავხდით. ძალიან მომეწონა ამ გუნდის ბაზა და მიზნად დავისახე, რაღაც უნდა დამჯდომოდა, ამ გუნდში მოვხვედრილიყავი. რამდენიმე წლის შემდეგ ჩემით დაინტერესდა საფეხბურთო კლუბი „გაგრა". მოგვიანებით ეს გუნდი მაკაროვის ტურნირზე წავიდა. კიეველებმაც იქ მნახეს, მოვეწონე და მიმიწვიეს. ასე აღმოვჩნდი კიევის „დინამოში".

**— „დინამოში" აღარ აქვთ ისეთი მძიმე ვარჯიშები, როგორც ადრე იყო?**

— თავის ქებაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ კარგად ვიყავი მომზადებული. კარგი ფიზიკური მონაცემებით ბავშვობიდანვე გამოვირჩეოდი. მე იმდენად ტალანტი და ნიჭი არ მაქვს, რამდენადაც ფიზიკური მონაცემები.

**— ადრე კალაძე ამბობდა, დილით გვაღვიძებდნენ, მივყავდით სავარჯიშოდ და ისეთი მომენტიც კი მქონდა, ლამის გამოვიქეცი კიევიდანო. შენ ხომ არ აღმოჩენილხარ ასეთ სიტუაციაში?**

— თავიდან არ იყო დიდი დატვირთვები. მერე დაიწყო ტესტირებები და კი გამიჭირდა. ლობანოვსკის დროს რომ იყო მკაცრი ვარჯიშები, მთლად ისე აღარ არის. ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა, დილით და საღამოს. დილით რომ ვივარჯიშებდით, მერე ვიძინებდით და ისე დაღლილები ვიყავით, ძლივს ვიღვიძებდით.

**— მაინც როგორი ტესტებია?**

— მაგალითად, 3 200 მეტრი უნდა გაირბინო 11 წუთში.

**— ჩაეტიე?**

— კი. მერე 1200 და 600 მეტრებიც ჩავაბარე.

**— ანუ კიეველები კმაყოფილები არიან შენი მომზადებით?**

— ფიზიკურად კარგად ხარ მომზადებულიო, მეუბნებოდნენ. მაშინ „გაგრაში" გია გეგუჩაძე და გია ჭიაბრიშვილი იყვნენ და მართლა კარგად ვიყავით მომზადებულები.

**— იყო ლაპარაკი „დინამოს" მთავარ გუნდში გადასვლაზე. რატომ შეფერხდა?**

— არ ვიცი. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და იმედი მაქვს, მთავარ გუნდში გადასვლას მოვახერხებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ მალავს გრიგალავა აიაქსს?

**ვინ** არის გია გრიგალავა?

მას შემდეგ, რაც 19 წლის ქართველი ფეხბურთელი ამსტერდამის „აიაქსში" მივიდა, ეს კითხვა განსაკუთრებულად აქტუალური გახდა.

ბევრს გეცოდინებათ კიდეც: გრიგალავა რუსეთის პირველდივიზიონელ როსტოვის სკა-ში თამაშობდა და... უცებ „აიაქსი"!

ამსტერდამელები პორტუგალიაში წავიდნენ შეკრებაზე, გრიგალავა კი ვიზის დაგვიანების გამო ამსტერდამში დარჩა სარეზერვო შემადგენლობასთან ერთად. მაგრამ...

უცნაური ისაა, რომ ამ ამბავს „აიაქსის" ოფიციალური ვებგვერდი არც ადასტურებს და არც უარყოფს.

უცხოური სააგენტოების ცნობით, „აიაქსის" მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა მარკო ვან ბასტენმა ქართველი მცველის დატოვება-არდატოვებაზე 12 იანვარს უნდა თქვას პასუხი.

საინტერესო და მოულოდნელი ამბავია — რუსეთის პირველი დივიზიონიდან ჰოლანდიურ გრანდში გადასვლა თითქოს წარმოუდგენელიც კი ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ გრიგალავას ეს შანსი მიეცა და დანარჩენი უკვე მასზეა დამოკიდებული.

გია გრიგალავა 1989 წლის 5 აგვისტოს დაიბადა მარტვილში.

მამა საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონია რაგბიში, დედა — დიასახლისი.

სპორტსმენი იყო გიას ძმა ლაშაც, ვინც კარატეში ვარჯიშობდა.

დაახლოებით 12 წლის წინ გიას ოჯახი როსტოვში გადავიდა საცხოვრებლად და ბიჭმაც იქ დაიწყო ფეხბურთის თამაში.

მერე ისე მოხდა, რომ ისევ საქართველოში მოუხდათ დაბრუნება, თუმცა გია რუსეთში დარჩა და ფეხბურთის თამაში არ შეუწყვეტია.

„როსტსელმაშის" აკადემიაში გაზრდილი გრიგალავა მოგვიანებით „როსტოვის" სარეზერვო გუნდში აიყვანეს, კაპიტნადაც დანიშნეს და მაშინ იყო, რუსები რომ დაფაცურდნენ — ასეთი იმედისმომცემი ბიჭის ხელიდან გაშვება არ შეიძლებაო და ჭაბუკთა ნაკრებშიც მიიწვიეს.



გია გრიგალავა



მარკო ვან ბასტენი

## რუსეთის პირველი დივიზიონიდან თვით მარკო ვან ბასტენთან!

მერე იყო ტრავმები, რამაც გიას ხელი შეუშალა, მაგრამ ფეხზე მალე დადგა და როსტოვის სკა-ში ამოჰყო თავი.

გასული სეზონი მისთვის წარმატებული გამოდგა — ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი, ვისაც დაცვაში ნებისმიერ ადგილზე შეუძლია თამაში, ძირითადში იოლად დამკვიდრდა და სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

თითქოს პრემიერლიგაში გადასვლის დროც დადგა — ასეთ ნიჭიერ ფეხბურთელზე უარი ვის უნდა ეთქვა და...

რუსებს ჰოლანდიელებმა აჯობეს.

ძნელი სათქმელია, რა თვალით შეხედავს მარკო ვან ბასტენი გია გრიგალავას, მაგრამ მარტო ის, რაც აქამდე ვთქვით, საკმარისი უნდა იყოს, ამ ბიჭისთვის ყურადღების მისაქცევად. სანამ რუსებს საბოლოოდ არ წაურთმევიათ, სჯობს, ჩვენმა ფეხბურთის ფედერაციამ თუ ნაკრების ხელმძღვანელობამ დროულად იმოქმედოს და იქნებ, გიას ოცნებაც ახდეს — მას ხომ საქართველოს ნაკრებში თამაში სურს!

ის არის რუსეთში გაზრდილი რუსეთის მოქალაქე, რომელმაც არაერთხელ უთხრა უარი ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს მათ ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშზე, რადგან ის ქართველია და საქართველო უნდა...

გია გრიგალავას, ცხადია, ჩვენც შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ, მაგრამ მიზეზთა გამო ბევრი არაფერი გვითხრა...

ესეც დამატებით გვიჩენს კითხვებს — რატომ არის ეს ტრანსფერი ბურუსით და გაურკვევლობით მოცული?

**— საქართველოდან გაწუხებთ, გაზეთ „სარბიელიდან"...**

— გისმენთ, ოღონდ, სამწუხაროდ, ბევრი დრო არ მაქვს...

**— საინტერესოა, როგორ მოხვდი რუსეთის პირველი დივიზიონიდან ამსტერდამის „აიაქსში"?**

— ბოდიშს გიხდით, მაგრამ ამ კითხვაზე ჯერ ვერ გიპასუხებთ. სჯობს, მოგვიანებით ვთქვა... ჯერ არ მინდა „აიაქსზე" ლაპარაკი...

**— კი მაგრამ, დამალვას რა აზრი აქვს, უკვე უცხოურმა სააგენტოებმაც დაწერეს, რომ „აიაქსში" ისინჯები...**

— ვიცი, თითქმის ყველაფერი წავიკითხე, მაგრამ ჩემგან არ მინდა არაფრის თქმა.

**— გამოდის, მარკო ვან ბასტენის ჩამოსვლას ელი...**

— კარგად გამიგეთ, ჯერ არაფერს ვიტყვი...

**— შეიძლება ითქვას, რუსეთში გაიზარდე. ამ ქვეყნის მოქალაქეც ხარ. თუმცა არაერთხელ გითქვამს, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში გსურს. ამის გამო იქ პრობლემები ხომ არ შეგქმნია?**

— არა, რატომ შემექმნებოდა?! ქართველი ვარ და რა გასაკვირია, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში მინდა... მაგრამ... ახლა სადაც გამომიძახებენ, იქ ვითამაშებ...

**— ანუ რუსების წინადადებას დათანხმდები? როგორც ჩანს, ქართულ მხარეზე ნაწყენი ხარ...**

— არა, ნაწყენიც აღარ ვარ. არ უნდათ და არ გამომიძახონ...

მოკლედ, ამსტერდამული საქმე ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის და რაღა დაგვრჩენია, ჩვენც დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

ისე, „აიაქსის" გარდა, გრიგალავას რუსული ვარიანტებიც აქვს — მოსკოვის „სპარტაკი", „მოსკვა", პერმის „ამკარი", ტომსკის „ტომი" და მახაჩყალის „ანჟი".

იქამდე კი შეგახსენებთ, რომ ამსტერდამის „აიაქსში" აქამდე ორ ქართველს უთამაშია — შოთა არველაძეს და გიორგი ქინქლაძეს.

**ბახა შალამბერიძე**

# უარი ჯენოას და რუსეთს!

## საქართველოვ, შენ ვინ მოგცა...

**გია გრიგალავა** ამსტერდამშია. ეს ბეჭედდაკრული ინფორმაცია გახლავთ. უფრო მეტიც, ქართველმა ჭაბუკმა გუშინწინ „აიაქსის" ძირითადის ორ ფეხბურთელთან, დენის რომედალთან და ვან დერ მულენთან ერთად, მოედანზე 90 წუთი გაატარა — ამსტერდამელთა მეორე შემადგენლობა ამხანაგურად „ექსელსიორს" გაეჯიბრა.

გიამ „აიაქსზე" ჩვენთან საუბრისგან თავი შეიკავა, მაგრამ საქართველო ხომ იმაზე გაცილებით პატარაა, ერთი შეხედვით რომ გვგონია.

მარტვილში მამამისი, ბატონი ალეკო შევაწუხეთ, მერე ინტერნეტი და მისი ჯანიც და, სიმართლეც გაირკვა...

გიას „აიაქსის" წარმომადგენლები გუშინწინვე, ნამატჩევს გაესაუბრნენ. დღეს ჩვენებურს ვიზას გაუგრძელებენ, მერე მარკო ვან ბასტენი იტყვის თავის სიტყვას და...

მოდით, ნუ ვიჩქარებთ, ახლა ყველაფერი გიაზე და ბედისწერაზეა დამოკიდებული.

საქმეში გაწაფული ხალხის თანადგომა მას არ აკლია. 19 წლის ქართველი ცნობილი რუსი ბიზნესმენის, ივან სავიდის ფავორიტია, ხოლო ამსტერდამში მანჩესტერელი მცველის, ნემანია ვიდიჩის აგენტი ახლავს.

ჰოლანდიაში წასვლამდე გია მარტვილში იყო. ახალ წელსაც იქ უნდა შეხვედროდა და ნაახალწლევს თითქოს იტალიურ „ჯენოაში" უნდა ამოეყო თავი. ამ საქმეს რუსული „ლოკომოტივის" და ნაკრების ყოფილი მეკარე რუსლან ნიგმატულინი კურირებდა.

ქართველს დღემდე თავისკენ ექაჩებიან სახალხო „სპარტაკი" და „მოსკვა". ამ ამბავში იგორ ლედიახოვი და ვალერი კარპინი აქტიურობენ. ინტერესია „ამკარიდან" და „ტომიდანაც", პირველლიგელი „ანჟის" დაინტერესება კი, აბა, ვის უნდა გაუკვირდეს, იქ ხომ ომარ თეთრაძე და ივანე ჯუღელი თავკაცობენ.

...მაგრამ „აიაქსი" სულ სხვა გაქანებაა. გიას ნაადრევად შეაწყვეტინეს მშობლიურ კუთხეში სტუმრობა. მარტვილში უვარჯიშებელი არ ყოფილა, ადგილობრივ გუნდში, „მერანში" ღვრიდა ოფლს.

დიდი „აიაქსი" დღეს დაბრუნდება პორტუგალიური შეკრებიდან, გიას ამბავიც მალევე გაირკვევა და ვუსურვოთ მას ჰოლანდიური კარიერა, მით უმეტეს, რომ გრიგალავას რუსულ გრანდებში მოხვედრა საქართველოს კიდევ ერთ ნიჭიერ მოთამაშეს საბოლოოდ დააკარგვინებს. რუსები ამას არც მალავენ. გიას აყვანა რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ თავკაც ბორის სტუკალოვს ჯერ კიდევ განვლილ შესარჩევ ციკლში სურდა.

ჩვენებურს საქართველო უყვარს, საქართველო უნდა და ნეტავ, რატომ თვლემენ ქართულ ფეხბურთში?!



**მამუკა კვანტალიანი**

# ფეხბურთის პლატონი

## ექტორ რაულ კუპერი: მე არ ვარ ცივი. მე რეალისტი ვარ!





ექტორ რაულ კუპერი: ფეხბურთის პლატონი — საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცს უცხოეთში ასეც ახასიათებენ

**ექტორ რაულ კუპერი — ის არ არის თავისი ცხოვრების გამომზეურების მოყვარული კაცი. მას რომ ინგლისში ემუშავა, ალბათ, ბევრ პრობლემას ნააწყდებოდა საფეხბურთო გარემოს მიღმა. მოკრძალებული, ჩაკეტილი, საქმის მოყვარული კაცია. მოკლედ რომ ვთქვათ, კუპერი ჟოზე მოურინიუს ან ალექს ფერგიუსონის სრული ანტიპოდია: რაც საჭირო არ არის, არ ლაპარაკობს, არც არავის განქექავს, არც ზედმეტად შეაქებს. აი, ზოგიერთი რამ დონ ექტორის დახასიათებიდან, რომელსაც ერთ-ერთი არგენტინული გამოცემა გვთავაზობს...**

„თავისი კარიერის მანძილზე კუპერს, ფაქტობრივად, არ ჰქონია კონფლიქტი ფეხბურთელებთან. მხოლოდ ერთხელ, „ვალენსიაში“ რომ მუშაობდა, კლაუდიო ლოპესმა ვარჯიშზე დააგვიანა და ძალიან გაუბრაზდა, მთელი გუნდის წინ უყვირა. კლაუდიო ლოპესი რამდენიმე დღე ბოდიშებს იხდიდა...

ის არცერთი კლუბიდან არ წასულა ცუდად...

კუპერი ამბობს: „ჩვენ, მწვრთნელები, გიდები ვართ, რომლებიც მოთამაშეებს გზას ვაჩვენებთ“...

„გულშემატკივარს სურს, რომ ყოველთვის ვიგებდეთ. რა არის ამისთვის საჭირო? 70 000-ჯერ ბურთის უმიზნოდ ამორტყმა კი არა, ტვინი! კარგად თამაშობს ის გუნდი, რომელიც ეფექტურია შეტევაში და მწყობრია დაცვაში — როცა გუნდის ყველა ფეხბურთელი ერთ ტემპში უტევს ან იცავს თავს“...

„რაც ვარ, ეს ვარ. მე ვერავინ შემცვლის, ყოველთვის სერიოზული ვიქნები მუშაობისას. ვინ თქვა, რომ სენტიმენტალური არ ვარ? ჰკითხეთ ჩემს ოჯახს, რას გიპასუხებენ“...

„როცა ვაგებთ, ჩემს ფეხბურთელებს არ ველაპარაკები. ისინი ცუდად გრძნობენ თავს, მე კი უფრო უარესად“...

„ფეხბურთელები დაიღალნენ? მათი დახმარების საუკეთესო მეთოდი ვიცი: კიდევ უნდა იმუშაონ!“

„ხალხი თვლის, რომ დისციპლინა საპატიმროა, თუმცა მაინც ასე ჯობია“...

„მე არ ვარ ცივი, უბრალოდ, რეალისტი ვარ“.

ეს კუპერის ფრაზების ამონარიდია.

კონფლიქტი არ ჰქონია ფეხბურთელებთანო, ვთქვით და, ვიცით, რონალდოს ამბავს გაიხსენებენ. დიახ, „ინტერიდან“ წასვლის შემდეგ ბრაზილიელმა არგენტინელი მწვრთნელი მკაცრად გააკრიტიკა, თუმც კუპერმა მაშინ ამაზე თქვა: „არ ვიცი, რა სურს რონალდოს. ის ჩემს გუნდში აღარ თამაშობს. მის კლასზე ლაპარაკი ზედმეტია, უდიდესი ფეხბურთელია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვარჯიში არ სჭირდება“.

არგენტინული „ელ პაისი“ წერს: „კუპერის გუნდები მეტოქეზე მაღლა დგანან სულით, ბრძოლის წყურვილით და სპორტული სიბრაზით“.

რაც შეეხება წმინდა სათამაშო ასპექტებს: „კუპერის გუნდებში თითქმის არ გვახსოვს კლასიკური 10 ნომერი. ეს იმიტომ, რომ მის ოთხივე ნახევარმცველს შეუძლია ბოლო პასის გაკეთება, იმპროვიზაცია პლუს შავი სამუშაო — ესაა კუპერის კრედო შუახაზელებისთვის...

გაიხსენეთ, გაისკა მენდიეტა — დაცვაში მცველებზე ნაკლებს როდი შრომობდა.

ერთი საინტერესო დეტალიც: კუპერს თავდასხმაში არასოდეს დასჭირვებია მეგა-ვარსკვლავი. კი, კლაუდიო ლოპესისა და კრისტიან ვიერის სახით ასეთები ჰყოლია, მაგრამ უმეტესად ისეთი ფორვარდებითაც გადიოდა ფონს, რომლებიც, უბრალოდ, მის მითითებებს კარგად ასრულებდნენ.

კიდევ ერთი მაგალითი მოჰამედ კალონი-ნიკოლა ვენტოლას წყვილი იყო. სწორედ ამ დუეტის წყალობით ლიდერობდა „ინტერი“ იტალიის სერია A-ს.

ამასთან, კუპერს ნახევარდაცვის ცენტრში ჰყავდა ერთი ტიპიური საყრდენი, რომელიც შეტევებში ეფექტური იყო, კარგი დამწყები პასი შეეძლო („მალიორკაში“ ვისენტე ენგონგა, „ვალენსიაში“ — ჯერ ხოსე ფარინოსი, შემდეგ რუბენ ბარახა). ეს ნახევარდაცვას მუშტად კრავდა“.

ესპანეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, კუპერის მალიორკელი შეგირდი, ალბერტ ლუკე: „ის ჩვენთვის მამასავით იყო. ჩვენი გუნდი ყოველთვის ოდნავ სწრაფი იყო ნებისმიერ მეტოქეზე“.

აი, ასეთია კუპერი — ოთხი შვილის მამა, რომელსაც წყნარი ცხოვრება უყვარს და როგორც არგენტინელები წერენ, თხილამურებზე სრიალს გაუტაცებია...

**ილია ნანოგაშვილი**



ექტორ რაულ კუპერი და გაისკა მენდიეტა



# გიორგი ადამიამ ბაკი გადაწყვიტა

ბაქოს „ნეფთჩის“ ყოფილმა თავდამსხმელმა გიორგი ადამიამ ახალი გუნდი მოძებნა — „ბაკი“. ბევრი იმედი გამოითქვა, რომ 27 წლის ადამია აზერბაიჯანს დატოვებდა და უკეთეს ჩემპიონატში გააგრძელებდა კარიერას, მაგრამ...
სანამ გიორგისთან ინტერვიუს წაიკითხავთ, შეგახსენებთ, რომ „ბაკიში“ კიდევ ორი ქართველი თამაშობს — ამირან მუჯირი და გიორგი დემეტრაძე

**— უკვე „ბაკის“ სრულფასოვანი წევრი ხართ?**

— კი და, ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე, როდესაც „ბაკის“ წინადადებას დავთანხმდი. ახალი გუნდის ხელმძღვანელობას, მთავარ მწვრთნელს და ფეხბურთელებს კარგად ვიცნობ.

**— კონტრაქტს როდის გააფორმებთ?**

— დღე-დღეზე ბაქოში ჩავალ და კლუბის ხელმძღვანელობას კონტრაქტის დეტალებზე მოველაპარაკები. სეზონის ბოლომდე ჩემი სატრანსფერო უფლებები „ნეფთჩის“ ეკუთვნის და „ბაკის“ თავკაცებს ამ კლუბთან შეთანხმება მოუწევთ. თავად კი უკვე გადავწყვიტე, რომ „ბაკიში“ ვითამაშებ.

**— სხვა გუნდებიდან არ გქონდათ წინადადებები?**

— აგდამის „ყარაბახი“ მთავაზობდა კონტრაქტის გაფორმებას, მაგრამ „ბაკი“ ვარჩიე. ბაქოელთა მთავარმა მწვრთნელმა ჯოკიჩა ხაჯიევსკიმ პირადად დამირეკა და უარი ვეღარ ვუთხარი.

**— არჩევანის გაკეთებისას ფინანსური ფაქტორი რამდენად მნიშვნელოვანი იყო?**

— ფული მთავარი არ არის. „ბაკისთან“ კონტრაქტს ექვსი თვით გავაფორმებ, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს. სხვათა შორის, კარიერის ევროპაში გაგრძელების შანსიც მაქვს.

**— „ნეფთჩისთან“ მომავალი დაპირისპირება თქვენთვის პრინციპულ ხასიათს მიიღებს?**

— როდესაც შევხვდები, მაშინ გეტყვით. პროფესიონალი ვარ და იმ კლუბისთვის უნდა დავიხარჯო, რომლის ღირსებასაც ვიცავ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა „ბაკიმ“ ყველა დარჩენილი შეხვედრა მოიგოს.

**— „ბაკის“ ჩემპიონობის შანსს როგორ აფასებთ?**

— საკმაოდ მაღალია, მაგრამ კონკურენტიც ბევრია: „ინტერი“, „სიმურგი“, „ყარაბახი“, „ქარვანი“, „ოლიმპიკი“. არ უნდა დაგვავიწყდეს „ნეფთჩიც“. ასე რომ, სერიოზული ბრძოლა გველის.

# ჯოკიჩა ხაჯიევსკი: ადამია ჩემი სიხარულია



გიორგი ადამიას გადაბირებით ძალიან გაიხარა ბაქოს „ბაკის“ თავკაცმა ჯოკიჩა ხაჯიევსკიმ.

აი, რა უთხრა მაკედონიელმა მწვრთნელმა „აზერისპორტს“:

— ძალიან მიხარია, რომ ადამია ჩვენთან ითამაშებს. ეს ის ფეხბურთელია, რომელსაც შეგიძლია, თვალდახუჭული ენდო. ფორმალობებიღა დარჩა მოსაგვარებელი, კონტრაქტი გაფორმდება და გიორგიც მალე შემოგვიერთდება.

**ბაჩა შალამბერიძე**

# გოგობერიშვილის მოგზაურობა ყარაბახში ადრე დამთავრდა

ალექსანდრე გოგობერიშვილი გასულ ზაფხულს გადავიდა „ბაკიდან“ აგდამის „ყარაბახში“, თუმც მხოლოდ ხუთი მატჩი ჩაატარა იქ და გუნდი დატოვა. კონტრაქტის გაწყვეტა ორმხრივი შეთანხმებით მოხდა. 32 წლის გოგობერიშვილს კარგი სეზონები ჰქონდა „ბაკიში“, ამჯერად კი, სად გააგრძელებს კარიერას, ჯერ უცნობია. აზერბაიჯანული პრესის ცნობით, ქართველ ნახევარმცველს უკვე სამი ვარიანტი აქვს...



**— უკვე ცნობილია იმ კლუბის ვინაობა, რომელშიც კარიერას გააგრძელებთ?**

— რამდენიმე შემოთავაზება მაქვს, მათ შორის, აზერბაიჯანული კლუბებიდან და დიდი შანსია, მალე რომელიმეს დავთანხმდე.

**— ლაპარაკი ბაქოურ კლუბებზეა?**

— შემოთავაზება მაქვს როგორც ბაქოური, ასევე რეგიონალური კლუბებიდან. თუმცა დასახელება არ მსურს, რადგან ჯერ არცერთთან არ შევთანხმებულვარ. მაქვს უკრაინასა და რუსეთში კარიერის გაგრძელების შანსიც.

**— არ ნანობთ, რომ თავის დროზე „ბაკი“ დატოვეთ და „ყარაბახში“ გადახვედით?**

— არა, რადგან თავიდან „ყარაბახში“ საქმე კარგად მიმდიოდა, მაგრამ შემდეგ ტრავმებმა დამტანჯეს. გარდა ამისა, იმანაც შემიშალა ხელი, რომ მოსამზადებელი პერიოდი „ბაკიში“ გავიარე, „ყარაბახს“ კი ოთხი ტურის შემდეგ შევუერთდი.

**— ანუ გუნდს ბოლომდე ვერ შეეწყვეთ?**

— დიახ, სწორედ ასე მოხდა. კლუბის ხელმძღვანელობასთან, მწვრთნელთან და ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ გუნდის სათამაშო სტილს ბოლომდე ვერ შევეწყვე. საერთოდ კი, ადაპტაციის პერიოდის გავლა გაცილებით ადვილია მაშინ, როდესაც ჯანმრთელი ხარ. ტრავმებისას ერთი პრობლემა მეორეს ემატება და...

**— „ყარაბახთან“ კონტრაქტის გაწყვეტის ინიციატორი ვინ იყო — თქვენ თუ კლუბი?**

— ამის სურვილი „ყარაბახის“ თავკაცებს ჰქონდათ და წინააღმდეგობა არ გამიწევია. გუნდი უკვე შეთამაშებული იყო და გამოჯანმრთელების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის გარანტია არ მქონდა.

**— კი მაგრამ, არის ისეთი კლუბი, რომლის ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიაც გექნებათ?**

— ცხადია, არა. ნებისმიერი გუნდის ძირითადში მოსახვედრად ბრძოლაა საჭირო.

**— „ყარაბახის“ ხელმძღვანელობას შეეძლო, თქვენთვის შეღავათი გაეწია?**

— ალბათ არ სურდათ... თუმცა პრეტენზია არ მაქვს.

**— „ბაკიში“ დაბრუნება გსურთ?**

— დიდი სიამოვნებით. თუ რეალური შემოთავაზება მექნება, დავბრუნდები. „ბაკი“ ჩემთვის მშობლიური გუნდია, სადაც ოთხი წელი ვითამაშე. ეგაა, ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული.

# დიდავა-დეკანოსიძე ოლიმპიკში?


გივი დიდავა (მარცხნივ)

**ბაქოს** „ოლიმპიკი“ სამ ფეხბურთელს აკვირდება და ორი მათგანი ქართველია — გივი დიდავა და გიორგი დეკანოსიძე.

გეცოდინებათ, დიდავა ბოლოს ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა, დეკანოსიძე კი რუსთავის „ოლიმპში“.

ჩვენების „ოლიმპიკში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხი მალე გაირკვევა...

აქ კი შეგახსენებთ, რომ დიდავა-დეკანოსიძის გარდა, ამ ბაქოურ გუნდში კიდევ ორი ქართველია — რომან ახალკაცი და რევაზ გეწაძე.

**ილია ნანობაშვილი**

# სტანდარდს ისევ ქართველი თავობს: ბადრი კვარაცხელია



**კახა ცხადაძემ** საბოლოოდ დატოვა ბაქოს „სტანდარდი“ და მალე საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცად დაინიშნება.

ცხადაძე წავიდა, მაგრამ „სტანდარდს“ ისევ ქართველი უთავკაცებს: ბადრი კვარაცხელია.

43 წლის კვარაცხელია ბოლნისის „სიონშიც“ ცხადაძის თანაშემწე გახლდათ. მას კარგად იცნობენ აზერბაიჯანში — „ქიაფაზსა“ და „შამქირში“, ასევე აზერბაიჯანის ნაკრებშიც თამაშობდა (3 მატჩი). „შამქირში“ ყოფნისას ბადრი აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და ორჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონობა.

მოკლედ, აზერბაიჯანში 2 ქართველი მწვრთნელი იქნება: კვარაცხელია ვთქვით, „ბაკილის“ კი ვასილ ჭეიშვილი რომ გაწვრთნის, უკვე გვეწერა.

**ილია ნანობაშვილი**



# მერლანი გაბალაშიაო

**რუსთავის** „ოლიმპიდან“ უცნაურად გამქრალი მირზა მერლანი აზერბაიჯანულ „გაბალაში“ ისინჯება.

ამის თაობაზე ინფორმაციას „აზერისპორტი“ ავრცელებს.

„გაბალაში“, რომელიც პირველი წრის მერე მე-10 ადგილზეა, თორნიკე აფციაური ირიცხება.

მერლანი „ოლიმპის“ კაპიტანი იყო, მაგრამ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ნახევრის ბოლო ტურებში გუნდიდან გაქრა და მასზე თითქმის ვერავინ ვერაფერს ამბობდა.

კარიერის განმავლობაში მერლანს თსუში, „ვიტ ჯორჯიაში“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლიტვურ „ვეტრაში“ უთამაშია.

**კახა ზალამბერიძე**

# დემეტრაძე ბაქოელებს გამოაკლდა

**აზერბაიჯანულმა** „ბაკიმ“ სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება გიორგი დემეტრაძის გარეშე დაიწყო.

„აზერისპორტის“ ცნობით, ქართველი ფორვარდის გარდა, ბაქოელებს კიდევ ოთხი ლეგიონერი — ფაბიო ლუისი, ფერნანდო პერესი, ჰალიდუს სისოკო და აჰმედ ტიჯანი — დააკლდათ.

ეს ფეხბურთელები გუნდს მოგვიანებით შეუერთდებიან...

**კახა ზალამბერიძე**

# მე, მოლდოველი, ქართველზე ტექნიკური

## სერგეი ნუდნი: საქართველოს ნაკრებში მეპატიჟებოდნენ

## ვინ აქალებდა ნუდნის მეუღლეს საქართველოში მშობიარობას?

**საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ნათამაშევი ლეგიონერებიდან ერთ-ერთი საუკეთესო უდავოდ სერგეი ნუდნი გახლდათ. მოლდოველმა ნახევარმცველმა სამი წელი გაატარა „ზესტაფონში“, ტექნიკით და გუნდური თამაშით გამოირჩეოდა... ამჟამად ნუდნი ოდესის „ჩერნომორეცში“ ისინჯება და სავარაუდოდ, გუნდში ჩაირიცხება კიდეც. „ზესტაფონიდან“ წასვლის შემდეგ სერგეი ჯერ მოლდოვურ „ტილიგულში“ ჩაირიცხა, შემდეგ ამერიკის MLS-ლიგაში რამდენიმე თვე ითამაშა და ისევ „ტილიგულში“ დაბრუნდა. უკრაინულმა „სპორტ-ექსპრესმა“ ნუდნისთან ინტერვიუ გააკეთა, სადაც მის ზესტაფონურ პერიოდზეცაა ლაპარაკი. საინტერესო ამბებს ყვება მოლდოველი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს ვუნდოდი, მაგრამ სხვა გეგმები მქონდაო...**



— საქართველოში გატარებულ პერიოდზე რას იტყვით?

— „ზესტაფონში“ ვთამაშობდი. იქ ყველას ვუყვარდი, ჩემი თამაში ძალიან მოსწონდათ. წარმოიდგინეთ, ჩემი ფან-კლუბიც კი გახსნეს. ეს დიდი პატივი იყო, მიხაროდა. საქართველოში ქართველისთვის შინაური გახდე — ეს არცთუ ადვილია. გულშემატკივრებს ზოგიერთ ქართველ ფეხბურთელზე მეტადაც კი ვუყვარდი. უკვირდათ, რომ გამოჩნდა მოლდოველი, რომელიც ბევრ ქართველზე ტექნიკური იყო.

— როგორც ვიცით, თქვენი ქართული ისტორია ცუდად დამთავრდა...

— გეტყვით... საქართველოში დარჩენას დიდხანს არ ვაპირებდი. კლუბთან შეთანხმების მიუხედავად, მათ ჩემი გაშვება არ მოისურვეს. ქართული პასპორტის მოცემაც კი უნდოდათ. მაშინ საქართველოს ნაკრებს ალენ ჟირესი წვრთნიდა და მას გუნდში ჩემი ხილვა სურდა. მე კი პროგრესირება და უფრო ძლიერ ჩემპიონატში გადასვლა მინდოდა. „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ჩემს მეუღლესაც დაუკავშირდა, რათა მას დავეყოლიებინე, თუმც მეუღლემ ჩემი პოზიცია დაიჭირა და უპასუხა, ჩვენ სხვა გეგმები გვაქვსო. იცით, როცა ის ფეხმძიმედ იყო, ყველანაირად ეცადნენ, რათა ბავშვი საქართველოში დაბადებულიყო. ვცდილობდით, აგვეხსნა, რომ საქართველოში სამუდამოდ დარჩენას არ ვაპირებდით, „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობა კი თავისას იჟინებდა...

ამ ყველაფრის გამო შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია...

— საქართველოს ნაკრებიდან სერიოზული წინადადება გქონდათ?

— მათ სურვილი ჰქონდათ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მეთამაშა, მაგრამ... მე მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებში მითამაშია და მართალია, ეროვნულში არასოდეს ვყოფილვარ, ვეჭვობ, მაინც პრობლემა გაჩნდებოდა...

# რის იმედს იძლევა იმედი?

## ბევრი რამ სახელმწიფოზეა



**თბილისში კიდევ ერთ საფეხბურთო სკოლას, „იმედს“ ვესტუმრეთ. როგორც უმრავლეს სკოლაში, ბავშვებს აქაც ხელოვნურსაფარიან მოედანზე უტარებენ წვრთნებს. ამ სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კახა გოგოლაძეა, რომელიც მწვრთნელადაც მუშაობს — 1995 და 1996 წლებში დაბადებულ ბავშვებს ავარჯიშებს და ჩვენც მას გავესაუბრეთ...**



— დიდი ხანი არ არის, რაც ფეხბურთელის კარიერა დაასრულეთ. მწვრთნელის ლიცენზიას თუ ფლობთ?

— B ლიცენზია მაქვს. ჩვენს სკოლაში ულიცენზიო მწვრთნელები არ მუშაობენ.

— ალბათ სკოლა თვითდაფინანსებაზეა...

— ერთი ბავშვი 30 ლარს იხდის. სამწუხაროდ, ბურთების და ეკიპირების შეძენაც მათ უწევთ.

— შეღავათები თუ აქვთ?

— გარკვეული შეღავათები გვაქვს, გამორჩეულად ნიჭიერ ბავშვებს კი გადასახადისგან სრულად ვათავისუფლებთ.

— სამედიცინო შემოწმებას თუ უტარებთ მოზარდებს?

— თავს უფლებას ვერ მივცემ, ბავშვი ვავარჯიშო, თუ მას ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს. შეიძლება, ერთ დღეს სავალალო შედეგი მივიღოთ. ამიტომ ყველა ბავშვი მიგვყავს კლინიკაში და ჯანმრთელობის მდგომარეობას ვუმოწმებთ.

— ხელოვნურსაფარიან მოედნებზე ვარჯიში რამდენად კარგია მოზარდისთვის?

— ცხადია, მინდორს არაფერი შეედრება. ამჟამად ასე გვიწევს მუშაობა, მაგრამ ცოტა შორეულ პერსპექტივაში ჩვენს სკოლას აქვს დაგეგმილი კარგი სტანდარტული სტადიონის გაკეთება.

— რამ გადაგაწყვეტინათ ბავშვთა მწვრთნელად მუშაობა?

— ფეხბურთის ფანატიკურმა სიყვარულმა და იმ დიდმა გამოცდილებამ, რაც კარიერის დროს დამიგროვდა. ბევრ კარგ მწვრთნელთან მიმუშავია — რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გიგლა იმნაძე, ჯონი ჯანელიძე, სპარტაკ არჩვაძე, ელგუჯა გუგუშვილი... თითოეული მათგანისგან ბევრი ვისწავლე და მინდა, ეს ახლა მეც გადავცე თაობებს და ქართულ ფეხბურთს, როგორც მწვრთნელმა წავეხმარო.

— გამოცდილების გარდა მწვრთნელისთვის ყოველდღიურად ინფორმაციების მიღება აუცილებელია. ამაზე რას იტყვით?

— რა თქმა უნდა, მწვრთნელი სულ ინფორმაციის მოპოვებაში უნდა იყოს. მე სულ 4 წელია, რაც მწვრთნელად ვმუშაობ და ჯერ კიდევ უამრავი რამ მაქვს სასწავლი. სხვაგვარად წინსვლა გამორიცხულია.

— ქართულ ბავშვთა ფეხბურთში უამრავი პრობლემაა. როგორ უნდა გამოსწორდეს მდგომარეობა?

— სახელმწიფოზეა ბევრი დამოკიდებული. სკოლების უმრავლესობა თვითდაფინანსებაზეა, რაც თავისთავად ძალიან ცუდია. სკოლებს მხარდაჭერა ესაჭიროებათ, რათა განვითარდნენ. საქართველოში უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელია, მათ მოფრთხილება უნდათ. თუ ბავშვთა ფეხბურთს სათანადოდ მივხედავთ, ჩვენს ფეხბურთს მომავალი ექნება.

**ნუკრი ლოლაძე**



სარბიელის არქივიდან

რუსებს ალექსანდრე იაშვილი და სანდრო იაშვილი ერთი ადამიანი ეგონათ

# მარცვალაძე-ალადაშვილს იაშვილიც შეუერთდა

**მახაჩყალის** „ანჟიმ“ თურქული შეკრება დაიწყო და გადაწყვეტილი ამბავია: დღე-დღეზე კონტრაქტი გაუფორმდებათ კახა ალადაშვილს, ოთარ მარცვალაძესა და სანდრო იაშვილს.

მარცვალაძე-ალადაშვილის გადაბირების ამბავს ომარ თეთრაძის გუნდი არც აქამდე მალავდა, იაშვილზე კი ხამამაღლა არ საუბრობდნენ, თუმც ჩვენ ადრეც გვეწერა, რომ სანდრო თურქეთში უნდა წაჰყოლოდა დაღესტნურ კლუბს.

საქართველოს ჩემპიონატის 2006-2007 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელსა და ბომბარდირს მეორე უცხოური შანსი ეძლევა: გეცოდინებათ, შარშანწინ სანდრო შვეიცარიულ „თუნში“ გადავიდა, სადაც სუსტად ითამაშა და საქართველოში დაბრუნდა, კერძოდ, ბოლო რამდენიმე თვე ბოლნისის „სიონში“ გაატარა.

23 წლის იაშვილი ერთ დროს საქართველოს უპერსპექტიულეს თავდამსხმელად ითვლებოდა, თუმც იმედები ვერ გაამართლა. იმედია, დაკარგულ წლებს როგორმე აინაზღაურებს...

ჰო, ზოგ რუსულ ვებგვერდს სანდრო „კარლსრუეს“ ალექსანდრე იაშვილში აერია და სათაურიც ასეთი გამოფინა — „სენსაციური ტრანსფერი გერმანიიდან“.

„ანჟიში“ ახლა 8 ქართველია: მარცვალაძე, ალადაშვილი, იაშვილი, ედიკ საჯაია, ზურაბ არზიანი, გოჩა ხოჯავა და რევაზ ჯიქია.

**ილია ნანობაშვილი**

# დავით ლომაიას ზარიამ უხმო



**თბილისის** „ვიტ ჯორჯიას“ ცენტრალური მცველი დავით ლომაია უკრაინულ „ზარიაში“ ვარჯიშობს. ეს ის კლუბია, სადაც სხვადასხვა დროს არაერთ ქართველს უთამაშია...

ბოლოს „ზარიაში“ გიორგი ციმაკურიძე იყო, რომელიც რამდენიმე კვირის წინ ტრანსფერზე დააყენეს და ამჟამად ლუგანსკელებთან ერთად არ ვარჯიშობს.

# ლილუაშვილს შობა გაუგრძელდა

**სლოვაკურმა** „ნიტრამ“ სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება ქართველი ფორვარდის, ირაკლი ლილუაშვილის გარეშე დაიწყო.

„ნიტრას“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, შობის ბრწყინვალე დღესასწაულის გამო ირაკლი ლილუაშვილმა გუნდის ხელმძღვანელობას შვებულების გაგრძელება სთხოვა და ისინიც დათანხმდნენ.

ქართველი ფეხბურთელი გუნდს კვირის ბოლოს შეუერთდება.

ჩემპიონატის პირველი ნახევრის შემდეგ „ნიტრა“ 12-გუნდა ჩემპიონატში მე-11 ადგილზეა.

**კახა ზალამბერიძე**

# ინებეთ: ხიზანიშვილი ბლექბერნის კაპიტანი

**ზურაბ ხიზანიშვილი** „ბლექბერნის“ კაპიტანი გახდა... ცხადია, ეს ყველაფერი ერთ რიგით მატჩში, კერძოდ, ინგლისის ასოციაციის თასზე მოხდა, სადაც „ბლექბერნმა“ „ბლით სპარტანსს“ 1:0 სძლია.

„ვარდების“ თავკაცმა სემ ალარდაისმა სუსტ მეტოქესთან მეორე შემადგენლობა დააყენა და „ხიზანასაც“ ამად ერგო კაპიტნის სამკლავური.

ჩვენიანმა 90 წუთი ითამაშა.

ვნახოთ, ეგებ, ალარდაისი პოლ ინსივით უბრად არ დარჩეს ქართველთან და თამაშის საშუალება ხშირად მისცეს. თუმცა ჯერ არც ისაა გამორიცხული, „ბლექბერნმა“ ზურაბი რომელიმე კლუბში გაანათხოვროს ან გაყიდოს.

**ილია ნანობაშვილი**



# დავით მუჯირი: ნამდვილ მუჯირს კიდევ ნახავთ!

## ლოკომოტივი ასათიანში ფულს არ გააკეთებს

**შარშან** ამ დროს მოსკოვის „ლოკომოტივმა“ დავით მუჯირი დიდი იმედებით შეიძინა და 10-ნომრიანი მაისურაც გადასცა, თუმცა ჩვენიანმა ვერ გაამართლა.

აკი, „მუმუმ“ ჩვენთან საუბარშიც რამდენჯერმე თქვა, მწვრთნელი რაშიდ რახიმოვი შანსს არ მაძლევსო. რახიმოვმა მხოლოდ ბოლო ტურებში ათამაშა მუჯირი და მანაც „სპარტაკთან“ გადამწყვეტი გოლი შეაგდო.

აი, საერთო ჯამში კი დავითს სეზონი ჩაუვარდა: „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი ნიკოლაი ნაუმოვი არც მალავს, რომ ჩვენიანით უკმაყოფილოა.

„მასთან სერიოზული საუბარი მქონდა და პირდაპირ განვუცხადე: შენ „კრილიაში“ კაპიტანი იყავი და სეზონის დაწყებამდე ჩვენი გუნდის პოტენციურ ლიდერად გთვლიდით. საბოლოოდ კი, რა აჩვენე?!

თუმცა ისიც ვიცი, რომ მუჯირს ტრავმამ ბევრი დააკლო, მას ფეხი ავტომანქანასა და ავტოფარეხს შორის მოჰყვა, რის გამოც წვივის კუნთი თითქმის ძვლამდე გაეჭრა. შეგვეშინდა, დავითს ფეხი საერთოდ არ დაეკარგა. ეს გასაგებია. მან რომ ფეხბურთის თამაში იცის, ბოლო ტურებში დაამტკიცა კიდეც“.

მუჯირი კი ნაუმოვს დაჰპირებია — „ნიკალაი ვასილიჩ, თქვენ ნამდვილ დავით მუჯირს კიდევ ნახავთ“.

ნაუმოვი მალხაზ ასათიანის საკითხსაც შეეხო. კერძოდ, კიევის „დინამოს“ მისი გამოსყიდვის ექსკლუზიური უფლება აქვსო...

„ასათიანს ჩვენთან სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა და იჯარით გაშვება გვთხოვა. მალხაზი კიევში ისე წავიდა, მასში კომპენსაცია არ მოგვითხოვია, რადგან ვიცით, რომ იური სიომინს ეს ფეხბურთელი ძალიან მოსწონს. კიეველებს ასათიანის გამოსყიდვა სიმბოლურ ფასად შეუძლიათ, რაკიღა ჩვენ მალხაზში ფულის გაკეთებას არ ვგეგმავთ“.

სავარაუდოდ, „ასათა“ სხვა გუნდში გააგრძელებს თამაშს. ცხადზე ცხადია, რომ ჩვენიანი რახიმოვის სიმპათიებით არ სარგებლობს...

**ილია ნანობაშვილი**



დავით მუჯირი



ნიკოლაი ნაუმოვი



მალხაზ ასათიანი

# სალუქვაძე ლომების მომთვინიერებელთან?

**ყაზანის** „რუბინი“ თურქულ ბელეკში წავიდა შეკრებაზე და გუნდს სამივე ქართველი ახლავს: ლაშა სალუქვაძე, ნუკრი რევიშვილი და დავით კვირკველია.

ითქვა, რომ სალუქვაძით რუსული „ტომი“ დაინტერესებულა.

ამ გუნდს ცნობილი ვლადიმირ ნეპომნიაშჩი თავკაცობს, რომლის გაწვრთნილმა კამერუნის ნაკრებმა 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფუროორი მოახდინა.

„ტომი“ პრემიერლიგის საშუალო დონის კლუბია, თუმც საკმაოდ ხვავრიელი ბიუჯეტით. სალუქვაძეს „რუბინთან“ კონტრაქტი ამოეწურა და ჯერ არ გაუგრძელებია, ისევე, როგორც რევიშვილს.

რუსებმა სალუქვაძე კრასნოდარის „კუბანთანაც“ დააკავშირეს...

**ილია ნანობაშვილი**

# ოდიკაძე-ეტო: ხელი ხელს!



სარბიელის არქივიდან

**დავით ოდიკაძე** გუშინ დილით უნგრეთში გაემგზავრა და, შესაძლოა, გაზეთის კითხვისას ოფიციალურად უკვე „დიორ ეტოს“ ფეხბურთელი იყოს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მარჯვენა ნახევარმცველს თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა, კარიერის გაგრძელების რამდენიმე გზა ჰქონდა და არჩევანი „დიორ ეტოზე“ შეაჩერა.

გადაწყვეტილი ამბავია — უნგრელები გასინჯვის გარეშე უფორმებენ კონტრაქტს ჩვენიანს.

„ჩემი არჩევანი იმან განაპირობა, რომ უნგრეთი დასავლეთ ევროპასთან უფრო ახლოსაა“ — გვითხრა „ოდომ“.

„დიორ ეტომ“ წინა სეზონში უნგრეთის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, ამჟამად კი პირველი წრის შემდეგ მე-13 საფეხურზეა — თუმც მეოთხე ადგილოსანს ოდენ 6 ქულით ჩამორჩება.

ეს ის გუნდია, შარშან ზაფხულს „ზესტაფონი“ რომ გააგდო უეფას თასის პირველი ეტაპიდან.

**ილია ნანობაშვილი**

# ყველაფრით კმაყოფილი



სარბიელის არქივიდან

**საქართველოს მე-20 ეროვნულ ჩემპიონატში შესვენებაა და ალბათ ენა არავის მოუბრუნდება იმის სათქმელად, რომ თბილისის „ვიტ ჯორჯია“ ლიდერობას არ იმსახურებს. ვიტელებმა სტაბილურად იარეს ზამთრამდე და მდევრები გვარიანად მოიტოვეს.**
**ჯერ ძნელია, ითქვას, ვინ გახდება ჩემპიონი, თუმც ყველაზე დიდი ნაბიჯი ამისკენ „ვიტ ჯორჯიას“ აქვს გადადგმული.**
**ნარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, კლუბის სწორი პოლიტიკა და მწვრთნელია.**
**„სარბიელმაც“ ჩემპიონატის პირველი ნახევრის საუკეთესო მწვრთნელად ვიტელთა თავკაცი ნესტორ მუმლაძე დაასახელა...**

— პირველ ყოვლისა, დიდი მადლობა „სარბიელს“ ასეთი დაფასებისთვის. მიხარია, რომ ჟურნალისტები ნაშრომს ხედავენ და ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ცხადია, ჩემპიონატის პირველ ნახევარს დადებითად აფასებთ...**

— რა თქმა უნდა, წარმატებულად გავიარეთ ეს პერიოდი და ბიჭებს კიდევ ერთხელ ვეუბნები მადლობას. მათ წარმატებისკენ შესაშური სწრაფვა გამოავლინეს და იმედი მაქვს, ასე იქნება მომავალშიც.

**— თქვენი გუნდის საუკეთესო თამაში რომელი იყო?**

— ჩემი აზრით, „ზესტაფონთან“. იქ გუნდმა ისეთი თამაში აჩვენა, როგორიც მსურდა. წარმოიდგინეთ, წლის ბოლო შეხვედრას ზესტაფონში თამაშობ. ბევრი რამ გასათვალისწინებელი იყო, მაგრამ ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის და წელიწადიც მაჟორულ ნოტაზე დავასრულეთ.

**— „დინამოსთანაც“ კარგი მატჩი ჩაატარეთ...**

— ძალიან საინტერესო მატჩი იყო, მაგრამ ვერ მოვიგეთ...

**— და ყველაზე ცუდი შეხვედრა?**

— მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი მატჩი „ლოკომოტივთან“ წავაგეთ, ვთვლი, რომ მაშინ გუნდს ცუდად არ უთამაშია, უბრალოდ, ფეხბურთია და შეიძლება კარგად ითამაშო, მაგრამ წააგო. „ლოკომოტივთან“ მატჩის მერე ბიჭებს მადლობაც ვუთხარი. ყველაზე ცუდი თამაში ბოლნისში „სიონთან“ ჩავატარეთ — ძალიან უხარისხო ფეხბურთი ვაჩვენეთ.

**— საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თქვენი გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი სტაბილურად ხვდება...**

— ძალიან მახარებს ის, რომ 3-4 ფეხბურთელს საქართველოს ნაკრებში იძახებენ. ეს ჩემთვისაც დიდი სტიმულია. რა თქმა უნდა, ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდიდან ფეხბურთელები უნდა გამოირჩეოდნენ. კარგია, როცა რამდენიმე ხვდება ნაკრების ძირითადში, მახარებს ისიც, რომ ვახტანგ კვარაცხელია ჩემპიონატის ბომბარდირობისთვის იბრძვის...

**— თქვენი აზრით, კიდევ ვინ იმსახურებს „ვიტ ჯორჯიადან“ ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებას?**

— გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი რომ გასინჯონ, ურიგო არ იქნება.

**— სამშაბათის ვარჯიშები პრობლემას ხომ არ გიქმნით?**

— როცა ჩემპიონატი დაძაბულია და პირველობისკენ იწევ, არ არის სასურველი რამდენიმე ფეხბურთელის არყოლა, თუმცა ექტორ რაულ კუპერისთვის ხელის შეშლა არც მიფიქრია. საერთო ჯამში, ამ ვარჯიშებს ჩვენთვის ზიანი არ მოუტანია, თანაც ფეხბურთელები იქიდან კმაყოფილნი ბრუნდებიან.

**ნუკრი ლოლაძე**

# ლიცენზირება ქართულ ფეხბურთში

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში ჩატარდა სწავლება-სემინარები ლიცენზირების საკითხებზე.

განხილულ იქნა: სპორტული, ინფრასტრუქტურული, საკადრო, სამედიცინო, სამართლებრივი და ფინანსური საკითხები.

სემინარებს დაესწრნენ უმაღლესი და პირველი ლიგების საფეხბურთო კლუბების დირექტორები, ლიცენზირების მენეჯერები, ექიმები, ფინანსისტები და სტადიონების წარმომადგენლები.

*სფფ-ის პრესსამსახური*



www.gff.ge

# ელბაქიძე ზესტაფონშია



სარბიელის არქივიდან

**თბილისის** „ამერიდან“ კიდევ ერთი ფეხბურთელი გადავიდა „ზესტაფონში“.

მცველი გიორგი ელბაქიძე უკვე იმერულ კლუბთან ერთად ვარჯიშობს და, როგორც შევიტყვეთ, მალე კონტრაქტსაც გააფორმებს.

კლუბებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს და დღე-დღეზე ყველაფერი უნდა გაირკვეს.

შეგახსენებთ: ცოტა ხნის წინ „ამერიდან“ „ზესტაფონში“ თავდამსხმელი რატი წინამძღვრიშვილიც გადავიდა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ვიტ ჯორჯიაც ტოპ-350-შია

**კარგა** ხანია, მსოფლიოს ტოპ-350 კლუბში ორი ქართული გუნდი აღარ ყოფილა. იყო მხოლოდ თბილისის „დინამო“ — ახლა კი „ვიტ ჯორჯიაც“ სიაშია.

„დინამო“ ექვს გუნდთან ერთად 244-248-ე ადგილებზეა, ხოლო ვიტელები 284-292-ე საფეხურებს იყოფენ 9 კლუბთან ერთად.

ცხრილის სათავეში დაბრუნდა „მანჩესტერ იუნაიტედი“, ხოლო წინა თვეში ლიდერმყოფი „ბარსელონა“ მეოთხე ადგილზეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (2) | მანჩესტერი | 292 |
| 2 | (4) | ბაიერნი | 272 |
| 3 | (3) | ლივერპული | 267 |
| 4 | (1) | ბარსელონა | 266 |
| 5 | (5) | ბოკა | 262 |
| 6 | (6) | ჩელსი | 253 |
| 7 | (9) | რომა | 240 |
| 8 | (10) | ესტუდიანტესი | 230 |
| 9 | (11) | ფიორენტინა | 230 |
| 10 | (12) | სან პაულუ | 223 |
| 224 | (248) | დინამო | 75 |
| 284 | (367) | ვიტ ჯორჯია | 69 |

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს ჩემპიონატი: მსოფლიოში 63-ე

**მსოფლიო** ფეხბურთის საერთაშორისო სტატისტიკის ასოციაციამ საუკეთესო ჩემპიონატების ასეული გამოაქვეყნა.

საქართველოს პირველობა პლანეტაზე სიძლიერით 63-ე ყოფილა და აღსანიშნავია, რომ ასეულში ვერ მოხვდა აზერბაიჯანი, ქვეყანა, რომელსაც ქართველი ფეხბურთელები ჭიანჭველებივით ესევიან.

პირველი ადგილი, ცხადია, ინგლისის პრემიერლიგამ დაიკავა.

საინტერესოა, რომ ათეულშია უკრაინის ჩემპიონატიც, ხოლო რუსეთის პრემიერლიგა ოდენ მე-17-ზეა.

ცხრილი პირველ რიგში ამა თუ იმ ქვეყნის გუნდების საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლის შედეგებითაა შედგენილი.

| | | |
|---|---|---|
| 1. | ინგლისი | 1192 |
| 2. | იტალია | 1031 |
| 3. | არგენტინა | 1020 |
| 4. | ესპანეთი | 952 |
| 5. | ბრაზილია | 942 |
| 6. | გერმანია | 922 |
| 7. | საფრანგეთი | 847 |
| 8. | მექსიკა | 683 |
| 9. | პორტუგალია | 649 |
| 10. | უკრაინა | 620 |
| 63. | საქართველო | 283 |

**ილია ნანობაშვილი**

## კვირის ქრონიკა

### კვიპროსმა ლარნაკა შემოთვალა

**მსოფლიოს** 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრები 28 მარტს კვიპროსს ესტუმრება.

კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეს მატჩი ქალაქ ლარნაკაში, სტადიონ „ანტონის პაპადოპულოსზე“ გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ კვიპროსს 11 ოქტომბერს უმასპინძლა და 1:1 ეთამაშა.

### კვახაძემ ავსტრია იუარა

**თბილისის** „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანმა ალექსანდრე კვახაძემ ავსტრიული „ალტახის“ წინადადება იუარა და სეზონის ბოლომდე გუნდში დარჩენა გადაწყვიტა.

ავსტრიელები კვახაძეს გამზადებულ კონტრაქტს სთავაზობდნენ, თუმცა „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძესთან კონსულტაციების შემდეგ 24 წლის ფეხბურთელმა წასვლა გადაიფიქრა.

### ონიანი გამგელდა

**„ზესტაფონიდან“** წასული როინ ონიანი ზუგდიდის „მგლებში“ გადავიდა.

ონიანმა მეგრულ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 2009 წლის ბოლომდე ითამაშებს ბესიკ შეროზიას გუნდში.

ფეხბურთელი უკვე შეუერთდა ზუგდიდელებს და მზადებასაც შეუფერხებლად დაიწყებს „მგლებთან“ ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# რუსი მოდის და არც მოდის

**რუსეთის** ძიუდოს ფედერაცია აპრილში საქართველოში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ჩატარების წინააღმდეგია. ჩვენი მეზობლები ევროპირველობის ერევანში ან ბაქოში გადატანას ითხოვენ.

ევროპის ძიუდოს ფედერაციას ქართული ფედერაციისთვის ჯერ არაფერი მოუწერია, თუმც ჯერ გადაწყვეტილიც არაფერია. ყველაფერი, ალბათ, 24-25 იანვარს თბილისში გასამართი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის შემდეგ გაირკვევა. ოღონდ ისიც ვთქვათ, რომ ევროპის ძიუდოს ფედერაციის საიტზე ევროპირველობის ჩატარების ადგილად თბილისია მითითებული.

რუსეთის დელეგაცია კი იმ ქვეყნების რიცხვშია, რომლებმაც ქართულ მხარეს განაცხადი გამოუგზავნეს თვის მიწურულს გასამართ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად და ქართულ მხარეს თანამშრომლობაც შესთავაზეს. კერძოდ, ჩვენები რუსებს საკუთარი ხარჯებით უმასპინძლებენ და მერე იგივეს გაკეთება რუსებს მოუწევთ.

გამოდის, რომ მეზობლები თბილისის ტურნირზე ჩამოსვლას გეგმავენ. და ეს თუ ასეა, მაშინ ცოტა უცნაურიც იქნება, რა მოტივით უნდა იუარონ ევროპის ჩემპიონატზე ჩამოსვლა და, შესაბამისად, სხვა ქვეყანაში გადატანა...

# ცირეკიძეს და ზვიადაურს თბილისზე ვერ ნახავთ!



შოთა ხაბარელი

**ჩვენმა** ძიუდოს ნაკრებმა 24-25 იანვარს გასამართი თბილისის მსოფლიოს თასისთვის მზადება დაიწყო — ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა 40 ძიუდოისტი გაცხრილა და მათგან 28-კაციანი სია ჩამოწერა.

ნაკრებმა სასტუმრო „ბატესტაში" დაიდო ბინა, ვარჯიშებს კი დიღომში მდებარე შოთა ჩოჩიშვილის სახელობის დარბაზში ატარებს.

თბილისურ ტატამზე ზურაბ ზვიადაური, ირაკლი ცირეკიძე და დავით ქევხიშვილი არ იჭიდავებენ. ოლიმპიური ჩემპიონი ცირეკიძე 7-8 თებერვალს პარიზის სუპერთასზე გამოვა და 100 კილოგრამში ცდის ძალებს.

ნესტორ ხერგიანი, ზაზა კედელაშვილი და გრიგოლ მამრიკიშვილი ჩვეულზე ერთით მაღალ წონაში იჭიდავებენ. მამრიკიშვილი, სავარაუდოდ, შემდგომშიც ახალ წონაში გამოვა.

**ლევან მაისურაძე**

60 კგ

ამირან პაპინაშვილი
ბეთქილ შუკვანი
იოსებ ნიჟარაძე
ლევან ჩუბინიძე

66 კგ

ნესტორ ხერგიანი
მინდია ხომიზური
გიორგი ფერსაშვილი
შალვა ქარდავა

73 კგ

ზაზა კედელაშვილი
თენგიზ პაპოშვილი
დავით კუპრაშვილი
ამბაკო ავალიანი

81 კგ

ხვიჩა ხუციშვილი
გრიგოლ შინჯიკაშვილი
გიორგი ბაინდურაშვილი
ლევან წიკლაური

90 კგ

ვარლამ ლიპარტელიანი
მინდია ბოდაველი
გრიგოლ მამრიკიშვილი
რევაზ ჩიკოიძე

100 კგ

ლომერ ქორჟოლიანი
დავით ლორიაშვილი
დიმიტრი ტურაშვილი
ვალერი იმერლიშვილი

+100 კგ

ლაშა გუჯეჯიანი
ზვიად ხანჯალიაშვილი
ალექსი დავითაშვილი
ადამ ოქრუაშვილი

რაგბი

# დათვები ჩვენამდე აფრიკას ნახავენ

**რუსეთის** მორაგბეთა ნაკრები, რომელიც ქართველი „ლელოების" საერთათასო მეტოქეა, მომზადებას სამხრეთ აფრიკაში გაივლის. „დათვები" აფრიკის კონტინენტზე 27 იანვრამდე დარჩებიან და სამ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. რუსები 15 იანვარს პრეტორიის უნივერსიტეტის გუნდს ეთამაშებიან; 20 იანვარს „?უმარის"; ხოლო 25-ში „ბლუ ბულზის" მეორე შემადგენლობებს.

ჩვენმა მეზობლებმა სამხრეთ აფრიკაში 32 მორაგბე წაიყვანეს. აქედან ლეგიონერი მხოლოდ ერთი, „ლესტერის" მოთამაშე ვასილი არტიომოვია.

შეგახსენებთ, რომ საქართველო — რუსეთის მატჩი 2009 წლის 21 მარტს უკრაინაში ჩატარდება. საპასუხო შეხვედრაში კი საქართველო რუსებს 2010 წელს საფრანგეთში უმასპინძლებს.

**ლევან მაისურაძე**

მთის თხილამურობა

# აბრამიშვილმა იტალია მოიგო



**20 წლის** იასონ აბრამიშვილი ერთადერთი მოქმედი ქართველი სამთო-მოთხილამურეა, რომელიც ოლიმპიადაზე გამოსულა. ახლა კი იტალიაში სანტა კარეტინა ვალფურვაში სლალომი მოიგო.

ტურნირზე 100-მდე სპორტსმენს შორის ორი ქართველი იყო — აბრამიშვილის გარდა, 19 წლის ვახტანგ თედიაშვილიც ცდიდა ძალებს.

იასონმა პირველ ცდაზე 46,09 წამი იკმარა, მეორეზე კი — 45,29 და ნახევარი წამით გადაასწრო მეორეადგილოსან შვეიცარიელ სიმონ ბისლინს.

მეორე ქართველი მხოლოდ 25-ე ადგილს დასჯერდა.

**ნიკა ძოწაძე**

კალათბურთი



თსუ-დან „ნტდ-თბილისში" გადასულ **დავით ბარბაქაძეს** გული წყდება აწ უკვე ყოფილი გუნდი რომ დაშლის პირასაა, თუმცა გახარებულია იმით, რომ კარგ გუნდში მოხვდა.
26 წლის ბარბაქაძე საკალათბურთო სამყაროში „ველურას" მეტსახელითაა ცნობილი.
მას ამაზეც ვკითხეთ და ბევრ სხვა საინტერესო ამბებზეც...

# 0.07 წამი: დაუკარით, ქორწილია!

— რატომ შეიცვალე გუნდი?

— „სახალხო ბანკმა" თსუ-ს სპონსორობა შეუწყვიტა. გუნდი დამფინანსებლის გარეშე დარჩა და კალათბურთელებსაც უხელფასოდ გვიწევდა თამაში. ეს იყო მთავარი მიზეზი...

— მოკლედ, თსუ ველარ იქნება ძველებურად ამბიციური...

— რასაკვირველია, თსუ-ს ამბიციები შესუსტდება, რადგან გუნდიდან წავიდნენ და. კიდევ წავლენ წამყვანი მოთამაშეები. მართალია, მარკოიშვილი და ხეცურიანი ჯერ კიდევ თსუ-ში არიან, მაგრამ ესეც დროებითია.

— და რას გვეტყვით ნტდ-ს ამბიციებზე?

— ნტდ ჩემპიონობისთვის იბრძვის და დიდი პოტენციალი აქვს.

— კმაყოფილი ხარ საკუთარი გადაწყვეტილებით?

— თსუ-დან წამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ ეს ყველაფერი ფინანსებმა განაპირობა. ერთი წელი ვითამაშე თსუ-ში და თანაგუნდელები ერთი ოჯახივით ვიყავით.

— რომელი უფრო მებრძოლი გუნდია: თსუ თუ ნტდ?

— ბევრ ქართულ გუნდში მითამაშია, მაგრამ თსუ-ს დარი მეგობრული ატმოსფერო არსად ყოფილა. ნტდ-შიც თბილად მიმიღეს და ვნახოთ...

— რამდენად იცნობ ნტდ-ს მოთამაშეებს?

— აზერბაიჯანის ნაკრებში ოთხი წელი ვთამაშობდით ერთად. C დივიზიონში ევროპის ჩემპიონებიც გავხდით ზედიზედ ორჯერ. ასე რომ, მათთან თამაში ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამ ფაქტმა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა არჩევანის გაკეთებაში.

— ნტდ-დან ვის გამოარჩევდი?

— მიშა ჩიტაშვილს, ზაურ პაშაევს, გიორგი გლოველს, გიორგი ტეტელაშვილს...

— შენი აზრით, როდის და სად მოახდინე ყველაზე უკეთ საკუთარი თავის წარმოჩენა?

— შარშან თასის ნახევარფინალში. თსუ — „ენერჯის" თამაშში, როცა ბოლო წამებზე ჩავაგდე გადამწყვეტი ბურთი.

— რამდენად ამბიციური ხარ?

— ამბიციური ნამდვილად ვარ. ყოველთვის ვცდილობ, მოედანზე მაქსიმუმი გავაკეთო და ბოლომდე დავიხარჯო, მაგრამ ყოფილა თამაშები, როცა ძალებიც დამიზოგავს სხვა უფრო ძლიერი თამაშისთვის.

— რას გვეტყვი შენს მეტსახელზე?

— 17-18 წლის ასაკში, როცა ნიკო ჩერქეზიშვილთან ვთამაშობდი, ბურთი კალათში ჩავტენე და კალათი გატყდა. ამის გამო შემარქვეს ბიჭებმა ველურა.

— რამდენად მიზანდასახული ხარ?

— ერთი შემთხვევა მახსენდება. თსუ — „ენერჯის" თამაშზე „ენერჯის" გულშემატკივარ გოგონას ჩამოვართვი პირობა, რომ მოგების შემთხვევაში ცოლად გამომყვებოდა. 0,07 წამზე ჩავაგდე ბურთი და მოვიგეთ. ის პირობა, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო, მაგრამ მოგება მიზნად დავისახე და ამისთვის მართლა ყველაფერი გავაკეთე.

— შენი იდეალი ვინ არის?

— 20-21 წლიდან ვადევნებ თვალს პეჟა სტოიაკოვიჩის თამაშს და ძალიან მომწონს. კიდევ ვინს კარტერის ქომაგი ვარ.

**ანა მახარაშვილი**

# ნიკოლაძე ფეხზე დადგა

**სუპერლიგის** ვიცე-ჩემპიონ „ავიამშენის" გამთამაშებელმა გიორგი ნიკოლაძემ ტრავმა მოირჩინა და ვარჯიში დაიწყო. ნიკოლაძემ მარჯვენა ფეხის კოჭი „დინამოსთან" პირველ წრის ბოლოსწინა მატჩში ამოიბრუნა და მერე სსსსუ-სთან დაპირისპირებაც გამოტოვა.

„ავიას" გამთამაშებელმა ორი კვირა იუქმა და ახლა სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

ხელბურთი

# ზოგს უჭირს და ზოგს ულხინს

## ქართველებმა კრიზისში ოქროსკენ გაიწიეს



სერგო დათუკაშვილი ჩემპიონობისკენ მიიწევს

**ქართული ხელბურთის ლეგიონმა პირველი წრე მოილია და ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპისთვის მზადებასაც შეუდგა. ვიდრე მეორე წრე გახურებულა, ჩვენებურების გუნდებს და მათ მონაგარს გადავხედოთ...**

**ამბის** მოყოლა ირაკლი ჩიქოვანის „მეტალოპლასტიკით“ დავიწყოთ, რადგან დიდი შანსია, მალე სერბულ გრანდში კიდევ ერთი ქართველი, რატი მსხვილიძეც გადავიდეს. რატის საქმეს დღე-დღეზე უნდა მოეფინოს ნათელი...

16-გუნდა ჩემპიონატში ჩიქოვანის გუნდს 22 ქულით მესამე ადგილი უკავია და საჩემპიონო შანსები ჯერაც არ დაუკარგავს. ცხრილის თავში „კოლუბარა“ მოქცეულა 26 ქულით. მეორე ადგილზე კი „პარტიზანია“ — 25 ქულით.

საინტერესოა, რომ ჩვენებურის გუნდმა პირველ წრეში ორივე კონკურენტის დამარცხება მოახერხა. „კოლუბარას“ შინ 29:25, სტუმრად კი დაძაბულ მატჩში „პარტიზანს“ 29:28 მოუგო. ცუდი ის არის, რომ „მეტალოპლასტიკამ“ მოსაგები თამაშები ვერ მოიგო და ამიტომაც მხოლოდ მესამე ადგილზეა.

ჩიქოვანი გუნდის ლიდერი ნამდვილად არ არის, თუმცა ნელ-ნელა ძირითად შემადგენლობას უშინაურდება. სერბები სამეორეწრეოდ საფრანგეთში გადიან შეკრებას და ამხანაგურ მატჩებსაც ატარებენ. როგორც ჩანს, ეკონომიკური კრიზისი ძალიანაც არ დააწვათ მხრებზე.

კრიზისი ვახსენეთ და ბარემ რუმინულ ამბებს გადავწვდეთ, რადგან ვლადიმერ რუსიას „დინამოს“ ფინანსური პრობლემები აქვს და ჩვენებურს 2 თვეა ხელფასი არ აუღია. ზოგი მოთამაშე კი უარეს დღეშია. „დინამოს“ 16 ქულა აქვს და 4-ით ჩამორჩება ლიდერებს „კონსტანცას“ და „ბაკაუს“. რუსიამ გვითხრა, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, რადგან კონკურენტებზე უკეთესი კალენდარი გვაქვსო. აქვე ვთქვათ, რომ ვოვა გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და საშუალოდ 5-6 გოლიც გააქვს მატჩში. „დინამო“ შეკრებას რუმინეთშივე, ერთ-ერთ კურორტზე გადის.

მეორე რუმინული გუნდი კი, სადაც ქართველი თამაშობს, „ბაკაუა“. შოთა თევზაძის „ბაკაუ“ ცხრილის თავშია და ოქროს მედლისკენ ილტვის. თევზაძე გუნდის შეუცვლელი მოთამაშეა.

**რევაზ ჭანტურიას** მაკედონიური „მეტალურგი“ კი ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და მხოლოდ ბურთების უარესი მაჩვენებლით აგებს „ვარდართან“. მაკედონიური ოქროს ბედს, როგორც წესი, მუდამ ეს ორი გუნდი არკვევს ხოლმე და ამ სეზონშიც ასე იქნება. რაც შეეხება ჭანტურიას, ის ძირითადის მოთამაშეა და საკმაოდ სარგებლიანიც. გოლებიც გააქვს და პასებსაც არიგებს.

საქართველოს ნაკრების ლიდერის სერგო დათუკაშვილის სლოვენიური „გორენიე“ კი 3 ქულით ჩამორჩება „კოპერს“, თუმც ჯერ გარკვეული აქაც არაფერია. სერგო „გორენიეს“ წამყვანი მოთამაშეა და ამ გუნდის საიტზე თითქმის ყველა მატჩის მიმოხილვაში საკმაოდ კარგად არის მოხსენიებული. ქართველი გოლ-პასის გარდა, სტაბილური თამაშითაც გამოირჩევა.

თურქეთში მოთამაშე ლეგიონერების გუნდები კი, ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვინ ჩივის, ცხრილის ფსკერზე არიან. 12-გუნდა პირველობაში მე-10 ადგილი უკავია „ორმანსფორს“, სადაც გაგა სეთურიძე, გიორგი ნატროშვილი, ლევან ოსიყმაშვილი და შოთა გრიშიკაშვილი თამაშობენ. ამათგან შოთა გამორჩეულია. ცხრილში ერთი საფეხურით დაბალ ადგილზე კი **ლევან ბერძენიშვილის და გაგა სამყურაშვილის** „ჩაიკურია“. ორივე ქართველი ძირითადის მოთამაშეა, თუმცა ძნელად რომ, მათმა გუნდმა უმაღლეს ლიგაში დარჩენა მოახერხოს.

**ლექსო მაისურაძე**

წყალბურთი



ეს აუზი მალე სხვანაირი გახდება

# აუზში წყალს ჩაასხამენ

**ექვს** თვეში საქართველოს საერთაშორისო სტანდარტების მქონე აუზი ექნება. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე აუზი, რომელიც ჯერ კიდევ 1991 წელს აშენდა, რა ხანია, უმოქმედოდ იყო.

აუზის რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხას — 3,2 მილიონ ლარს, ოლიმპიური კომიტეტი და კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო გაიღებენ.

სამშენებლო სამუშაოებს კომპანია „რედიქსი“ ჩაატარებს. 50-მეტრიანის გარდა ამოქმედდება ორი მცირე ზომის აუზი, რომლებიც პატარა მოცურავეებს და წყალბურთელებს მოემსახურებათ.

ეს აუზი წყალბურთელებისთვის საბაზო ადგილად გადაიქცევა. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც — საერთაშორისო სტანდარტების აუზს, რომ თავი დავანებოთ, აქამდე ნაკრებს სავარჯიშო აუზის პრობლემაც მუდმივად ჰქონდა....

სხვათა შორის, რევაზ ჩომახიძემ საქართველოში ჩამოსვლის ერთ-ერთ პირობად საერთაშორისო სტანდარტების მქონე აუზის ქონაც მოითხოვა და როგორც ჩანს, ამანაც დააჩქარა აუზის აღდგენა.

გახსნა 1 ივლისისთვის არის დაგეგმილი და ჩაფიქრებულია, რომ ამ დროს საქართველოს და მსოფლიოს ვეტერან წყალბურთელთა მატჩი ჩატარდეს.

**ნიკა კოპაძე**

კალათბურთი

# ცხრილმა მაკაბი უთასოდ დატოვა



თასის ახლანდელი მფლობელი „ავიამშენი“

**ქართველი** კალათბურთელები სეზონს თასის გათამაშებით განაახლებენ, რომელიც 24-27 იანვარს გაიმართება. თასის მეშვიდე გამარჯვებული ოლიმპიური სისტემით გამოვლინდება.

მეოთხედფინალი და ნახევარფინალი რუსთავში, „ქიმიკოსთა“ დარბაზში ჩატარდება, ფინალურ მატჩს კი სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

გუნდები სუპერლიგის მიმდინარე ცხრილის მიხედვით დაწყვილდნენ, ანუ პირველადგილოსანი მერვეადგილოსანს შეხვდება და ასე შემდეგ. რაც შეეხება სატურნირო ცხრილის ფსკერზე მყოფ „მაკაბის“, ის თასის გათამაშებაში სწორედ ბოლო, მეცხრეადგილოსნის სტატუსის გამო ვერ მოხვდა.

### თასის განრიგი

24.01.09
შაბათი. რუსთავი
1/4 ფინალი
**ნტდ — დინამო 12:00**
**სსსუ — თსუ 14:00**
**ავიამშენი — ბათუმი 16:00**
**ენერჯი ინვესტი — შსს 18:00**
25.01.09
კვირა. რუსთავი
1/2 ფინალი
**III-IV — II-VII 13:00**
**I-VIII — IV-V 15:00**
27.01.09
სამშაბათი. სპორტის სასახლე
**ფინალი 16:15**

### საქართველოს თასის ყველა ფინალი

2003 წელი
**ბასკო 85:77 აზოტი**
2004 წელი
**დინამო 75:72 სტუ**
2005 წელი
**სტუ 90:84 ავიამშენი**
2006 წელი
**თსუ-ნიკორა 81:79(დ.დ.) ავიამშენი**
2007 წელი
**ავიამშენი 83:79 აზოტი**
2008 წელი
**ავიამშენი 110:90 თსუ**

ჭადრაკი

# ქალთა ლიდერი მათნაძე კაცებს ვერ მოერია



**ესპანურ** ალმერიაში ვაჟთა და ქალთა გაერთიანებული საჭადრაკო ტურნირი დასრულდა. ერთადერთმა ქართველმა მონაწილემ, საერთაშორისო დიდოსტატმა ანა მათნაძემ, რომელიც ახლა ბარსელონაში ცხოვრობს, 6 ქულა დააგროვა.

ანამ ამ შედეგით ქალთა შორის 1-2 ადგილი გაიყო ეკვადორელ მარტა ფიეროსთან. საერთო მაჩვენებლით კი 10-22-ე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი კი 7,5 ქულით არგენტინელი მარსელო პანელო გახდა.

აქვე ვთქვათ, რომ ალმერიის ტურნირზე 119-მა მოჭადრაკემ შვეიცარული სისტემით ითამაშა. მათნაძემ საწყისი 7 ტური დაუმარცხებლად მოილია და 5,5 ქულასაც მოუყარა თავი. თუმცა მერე პერუელ კრისტინა კრუსთან დამარცხდა და ბოლო ტურში ალჟირელ აიმერ რიზოუკთან ფრეს გამორჩა.

**ნიკა კოპაძე**

# 20 წლის სტატისტიკა

# ერთა თასის დაწყებამდე ჩავიხედოთ რიცხვებში

*დამოუკიდებელი ქართული რაგბის სანაკრებო ისტორია 1989 წლის 12 სექტემბერს ქუთაისში დაიწყო. ჩვენმა „ლელოებმა" დავით კილასონიას თავკაცობით ამხანაგურ მატჩში ზიმბაბვე 16:3 დაამარცხეს. მას შემდეგ 20 წელი მიიწურა, ქართულმა რაგბიმ უმძიმესი გზა განვლო, ფინანსური კრიზისით დაწყებული, უმოედნობით გაგრძელებული და ჯერ არდამთავრებული.*

*წლეულს ნაკრები 7 თებერვალს გერმანიასთან მატჩით დაიწყებს 2009-10 ერთა თასს, რომელიც ამავდროულად 2011 წლის მსოფლიოს თასის ორწლიანი შესარჩევიცაა. მანამდე კი 20-წლიან სანაკრებო სტატისტიკაში კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ...*

### მწვრთნელები

ნაკრების პირველი მწვრთნელი დავით კილასონია იყო, მოგვიანებით კი გურამ „ბურძგლა" მოდებაძეს ეხმარებოდა.

პირველი დიდი წარმატებები კლოდ სორელის სახელს უკავშირდება. ფრანგმა „ბორჯღალის" გუნდს 2001 წელს ერთა თასი მოაგებინა, ამასთან ბუქარესტში აძლევინა გოროზი რუმინეთი, 2002 წელს მსოფლიოს თასის საგზური მოაპოვებინა, მაგრამ პლანეტის რჩეულთა ფორუმზე მისი გაწვრთნილები ვერაფრით გამოირჩნენ და საქართველოში მუსიე კლოდის მოღვაწეობაც ამით დასრულდა. ნუ დავუვიწყებთ ხუთი შეხვედრიდან რუსთა ოთხ ძლევას: 2002 წელს ეროვნულზე 17:13 გამარჯვება მსოფლიოს თასის შესარჩევში გადამწყვეტი იყო.

ეს იყო და, მას მერე ჩვენებს რუსებთან აღარ წაუფორხილებიათ, ოღონდ სხვათა თავკაცობით ჩაგრავდნენ „თეთრ დათვს".

შემდეგ დადგა ქართული ტრიოს საკმაოდ წარმატებული ეპოქა — მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი და პაატა ნარიმანაშვილი ნაკრებს ოთხწლიანი სრული ციკლით ხელმძღვანელობდნენ და მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მათ კურატორად მიხეილ ბურძგლა ითვლებოდა, შემდეგ კი ოფიციალურ საერთაშორისო ოქმებში მთავარ მწვრთნელად ჭეიშვილი იწერებოდა, თავკაცობა მაინც სამივეს ეთვლება. მათ ხელში ნაკრებმა 2007 წელს მეორედ და გაცილებით ეფექტურად ითამაშა მსოფლიოს თასზე.

2008 წლიდან კი ეროვნულ გუნდს ავსტრალიელი ტიმ ლეინი მოძღვრავს და ერთწლიანი გადასახედიდან მშვენიერ შთაბეჭდილებასაც ტოვებს. გუნდი მრავალფეროვნად ბურთაობს, ერთა თასზე ექვსივე თამაში მოიგო და ქართველებს მეორედ მოაგებინა ევროპის მცირე ექვსი ერი.

### კაპიტნები

ნაკრები 19 მორაგბეს გაუყვანია მოედანზე. პირველად ეს პატივი ერგო განსვენებულ ოლეგ ლიპარტელიანს.

ყველაზე მეტჯერ „ლელოებს" უყოჩა ილია ზედგინიძემ, ამასთან იმდენად შორს მოიტოვა სხვები, რომ ალბათ კარგა ხანს ვერავინ დაეწევა.

მსოფლიოს თასზე რვა მატჩში კაპიტნის ტვირთი სამმა მორაგბემ ზიდა. 2003 წლის ავსტრალიის მსოფლიოს თასზე ინგლისთან სადებიუტო თამაშში ლეგენდარულ მარტინ ჯონსონს ოპონირება ვასილ კაცაძემ გაუწია, რადგან ზედგენიძე ტრავმირებული იყო. სწორედ კაცაძე მოუძღვებოდა ჩვენებს ლეგენდარული მარტინ ჯონსონის გვერდით მდგომი. ილომ ავსტრალიაშიც და საფრანგეთშიც ორორჯერ უკაპიტნა ნაკრებს. 2007 წელს ირლანდიასთან ტკბილ-მწარედ გასახსენებელ მატჩში უმძიმესი ტრავმა მიიღო და ის ირაკლი აბუსერიძემ შეცვალა. „აბუ" იყო კაპიტანი ნამიბიასთან მოგებულ მატჩშიც.

### კეპი

პალიკო ჯიმშელაძეს ყველაზე მეტჯერ მოურგია სანაკრებო კვართი. მას ერთით ჩამორჩება და ალბათ გადაასწრებს 27 წლის მალხაზ ურჯუკაშვილი. შორიახლოს ტრიალებს მოქმედი კაპიტანი ირაკლი აბუსერიძეც. ორმოცდაათიანთა კლუბის კიდევ ერთი წევრია კიდევ ერთი ვეტერანი აქსენტი გიორგაძე, თუმც მან უკვე თავი დაანება ნაკრებში თამაშს.

ვერცხლის კეპით, ანუ +40 თამაშით თავს იწონებს ძველი გვარდიის ხუთი ჯარისკაცი.

### მექულეები

აქაც პალიკო ჯიმშელაძე პირველობს და გვარიანი უპირატესობითაც. მასთან ყველაზე ახლოს ისევ მალხაზ ურჯუკაშვილია. ქუთაისური სკოლის სიამაყე ნუგზარ ძაგნიძემ რაგბის თამაშს თავი გასულ საუკუნეში დაანება. მერაბ კვირიკაშვილს კი ბოლო ხანს ეროვნულში არარეგულარულად უწევს თამაში, ასე რომ ახლო მომავალში პალიკოს ისევ მახო თუ დაეწევა.

### მელელოვეები

მახო ურჯუკაშვილი აქ უკვე ლიდერია. მისი უახლოესი მდევარი ნაკრების და ფრანგული „მონპელიეს" გოლიათი მეორეხაზელი მამუკა გორგოძეა. მეტოქის ლელოსკენ დაძრული ეს დევი ყველა გზადშემხვედრს თელავს და მორკინალის კვალობაზე ისე სწრაფად ზრდის ლელოთა მონაგარს, რომ ალბათ მალე მოექცევა თავში ქართველ მელელოვეთა სიას.

ესეც ვთქვათ: „ბორჯღალოსნებმა" მსოფლიოს თასებზე რვა თამაშში ექვსი ლელო მოინაგრეს. აი, მათი ავტორებიც — დავით დადუნაშვილი, გიორგი შკინინი, აქვენტი გიორგაძე, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა და ზვიად მაისურაძე

**ლევან მაისურაძე**



მალხაზ ურჯუკაშვილი



ილია ზედგინიძე

საქართველოს ნაკრების მონაგარი 1989-2008 წლებში

106 თამაში — 38 შინ, 49 გარეთ, 19 ნეიტრალურზე

63 მოგება, 39 წაგება, 4 ფრე

ქულა 2407:2033 (+374) ლელო 294-223 (+71)

### მელელოვეები

| | |
|---|---|
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 15 |
| ილია ზედგინიძე | 14 |
| მამუკა გორგოძე | 13 |
| ბესიკ ხამაშურიძე | 12 |
| თედო ზიბზიბაძე | 11 |
| აქსენტი გიორგაძე | 11 |
| არჩილ ქავთარაშვილი | 10 |
| ლევან ცაბაძე | 10 |
| გია ლაბაძე | 10 |
| ირაკლი მაჩხანელი | 10 |
| პალიკო ჯიმშელაძე | 9 |
| ვასილ კაცაძე | 8 |
| ბესო უდესიანი | 8 |
| გოდერძი შველიძე | 7 |
| დავით დადუნაშვილი | 7 |
| ნიკო იურინი | 6 |
| ბადრი ხეხელაშვილი | 6 |
| დავით ბოლღაშვილი | 5 |
| ვიქტორ დიდებულიძე | 5 |
| გიორგი შკინინი | 5 |
| ზვიად მაისურაძე | 5 |
| რატი ურუშაძე | 5 |

### კეპები

**ლვინისფერი კეპი**

| | |
|---|---|
| პალიკო ჯიმშელაძე | 57 |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 56 |
| ირაკლი აბუსერიძე | 54 |
| აქსენტი გიორგაძე | 51 |

**ვერცხლის კეპი**

| | |
|---|---|
| ილია ზედგინიძე | 49 |
| გია ლაბაძე | 47 |
| გოდერძი შველიძე | 46 |
| ზურა მჭედლიშვილი | 45 |
| ვიქტორ დიდებულიძე | 45 |

* * *

| | |
|---|---|
| თედო ზიბზიბაძე | 37 |
| ბიძინა სამხარაძე | 37 |
| ვანო ნადირაძე | 34 |
| ვასილ კაცაძე | 34 |
| ოთარ ბარკალაია | 34 |
| ბესო უდესიანი | 34 |
| ლევან ცაბაძე | 33 |
| ირაკლი გიორგაძე | 31 |
| გიორგი შკინინი | 31 |
| რატი ურუშაძე | 31 |
| მევლუდ მთიულიშვილი | 30 |

*20 წელიწადში ნაკრებში 194-მა მორაგბემ ითამაშა*

### კაპიტნები

| | |
|---|---|
| ილია ზედგინიძე | 32 |
| ზურაბ მჭედლიშვილი | 12 |
| ლევან ცაბაძე | 12 |
| დიმიტრი ობოლაძე | 11 |
| ირაკლი აბუსერიძე | 10 |
| ნუგზარ ძაგნიძე | 7 |
| ოლეგ ლიპარტელიანი | 3 |
| პალიკო ჯიმშელაძე | 3 |
| ბესო უდესიანი | 3 |
| გია ლაბაძე | 2 |
| ვასილ კაცაძე | 2 |
| დავით ბოლღაშვილი | 2 |
| ალეკო ხვედელიძე | 1 |
| თამაზ ფხაკაძე | 1 |
| გია რაფავა | 1 |
| ვანო ნადირაძე | 1 |
| ბესიკ ხამაშურიძე | 1 |
| ვიქტორ დიდებულიძე | 1 |
| გოდერძი შველიძე | 1 |



პალიკო ჯიმშელაძე



სარდალი კლოდ სორელი და მისი კაპიტანი ლევან ცაბაძე

### მეტოქეებთან

| | მ | წ | ფ |
|---|---|---|---|
| არგენტინა | 0 | 1 | 0 |
| ბარბაროსები | 0 | 1 | 0 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 |
| დანია | 1 | 0 | 0 |
| ესპანეთი | 5 | 2 | 1 |
| ზიმბაბვე | 2 | 1 | 0 |
| იაპონია | 0 | 1 | 0 |
| ინგლისი | 0 | 1 | 0 |
| ირლანდია | 0 | 3 | 0 |
| იტალია | 0 | 3 | 0 |
| იტალია A | 2 | 0 | 0 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 |
| ლუქსემბურგი | 0 | 0 | 1 |
| მაროკო | 1 | 0 | 0 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 |
| ნამიბია | 2 | 0 | 0 |
| პოლონეთი | 0 | 2 | 0 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 1 |
| რუმინეთი | 4 | 7 | 0 |
| რუსეთი | 10 | 1 | 1 |
| სამოა | 0 | 1 | 0 |
| სამხ. აფრიკა | 0 | 1 | 0 |
| სამხ. აფრიკა A | 0 | 3 | 0 |
| საფრანგეთი | 0 | 1 | 0 |
| საფრანგეთი A | 1 | 0 | 0 |
| ტონგა | 1 | 1 | 0 |
| უკრაინა | 7 | 0 | 0 |
| ურუგვაი | 1 | 2 | 0 |
| ყაზახეთი | 1 | 0 | 0 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 |
| შოტლანდია A | 0 | 1 | 0 |
| ჩეხეთი | 8 | 0 | 0 |
| ჩილე | 1 | 1 | 0 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 0 |
| სულ | 63 | 39 | 4 |

### მექულეები

| | თ | ქ | ლ | გ | ხ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალიკო ჯიმშელაძე | 57 | 320 | 9 | 61 | 48 | 3 |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 56 | 274 | 15 | 41 | 38 | 1 |
| ნუგზარ ძაგნიძე | 12 | 105 | 3 | 9 | 22 | 3 |
| მერაბ კვირიკაშვილი | 29 | 99 | 2 | 22 | 14 | 1 |
| კახა მაჩიტიძე | 18 | 63 | 2 | 10 | 7 | 4 |
| შოთა მოდებაძე | 4 | 62 | 3 | 4 | 13 | - |
| ნიკო იურინი | 17 | 53 | 6 | 4 | 3 | 2 |
| ოთარ ბარკალაია | 34 | 47 | - | 7 | 10 | 1 |
| ბობა კვინიხიძე | 6 | 43 | 1 | 7 | 8 | - |
| ლაშა მალაღურაძე | 10 | 34 | 1 | 4 | 5 | 2 |

### მწვრთნელები

| | თ | მ | ფ | წ |
|---|---|---|---|---|
| დავით კილასონია (1989-90) | 3 | 2 | - | 1 |
| თემურ ბენდიაშვილი (1990-93) | 8 | 5 | 1 | 2 |
| დუგლას კავთელაშვილი (1993-95) | 4 | 4 | - | - |
| გურამ მოდებაძე (1995-1998) | 13 | 8 | - | 5 |
| კლოდ სორელი (1997-2003) | 28 | 19 | 1 | 8 |
| მიხეილ ბურძგლა (2004) | 5 | 2 | 1 | 2 |
| მალხაზ ჭეიშვილი (2004-07) | 34 | 19 | 2 | 13 |
| დავით ჩავლეიშვილი (2004-07) | 36 | 20 | 2 | 14 |
| პაატა ნარიმანაშვილი (2004-07) | 30 | 17 | 2 | 11 |
| ტიმ ლეინი (2008-) | 8 | 6 | - | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 2008 წლის რჩეული 15

უპოპულარულესმა სარაგბო ვებგვერდმა **planetrugby**-მ 2008 წლის სიმბოლური გუნდი დაასახელა, რომელშიც პრაქტიკულად ყველა რჩეული მოხვდა, ირბ-ს ვერსიით წლის საუკეთესო მორაგბის, უელსელი შეინ უილიამსით დაწყებული და ბოლო წლების უცვლელი „სიმბოლისტების" — ახალზელანდიელიკარტერმაკქოუს წყსილით დამთავრებული




**მილს მულიაინა**
ახალი ზელანდია, ოკლენდ ბლუზი
28 წლის, 184 სმ, 92 კგ
ნაკრებში 68 თამაში, 24 ლელო




**ნაპოლიონი ნალაგა**
ფიჯი, მონფერანი (საფრ)
21 წლის, 188 სმ, 100 კგ
ფიჯის ნაკრებში ჯერ არ უთამაშია




**კონრად სმითი**
ახალი ზელანდია, ველინგტონ ჰარიკეინზი
27 წლის, 186 სმ, 95 კგ
ნაკრებში 24 თამაში, 10 ლელო




**იან დე ვილიერსი**
სამხრეთ აფრიკა, სტორმერზი
27 წლის, 190 სმ, 103 კგ
ნაკრებში 33 თამაში, 17 ლელო




**შეინ უილიამსი**
უელსი, სვანსია ოსფრიზი
31 წლის, 170 სმ, 80 კგ
ნაკრებში 61 თამაში, 44 ლელო




**დან კარტერი**
ახალი ზელანდია, პერპინიანი (საფრ)
26 წლის, 179 სმ, 91 კგ
ნაკრებში 59 თამაში, 25 ლელო, 879 ქულა




**მაიკ ბლერი**
შოტლანდია, ედინბურგი
27 წლის, 180 სმ, 85 კგ
ნაკრებში 50 თამაში, 5 ლელო




**სერჯიო პარისე**
იტალია, სტად ფრანსე (საფრ)
25 წლის, 196 სმ, 11 კგ
ნაკრებში 48 თამაში, 6 ლელო




**რიჩი მაკქოუ**
ახალი ზელანდია, კენტერბერი კრუზეიდერსი
28 წლის, 187 სმ, 107 კგ
ნაკრებში 70 თამაში, 14 ლელო




**როკი ელსომი**
ავსტრალია, სიდნეი ვარათაზი
27 წლის, 197 სმ, 112 კგ
ნაკრებში 58 თამაში, 7 ლელო




**ალი უილიამსი**
ახალი ზელანდია. ოკლენდ ბლუზი
27 წლის, 202 სმ, 112 კგ
ნაკრებში 62 თამაში, 7 ლელო




**ბაკის ბოთა**
სამხრეთ აფრიკა, პრეტორია ბულზი
29 წლის, 202 სმ, 120 კგ
ნაკრებში 42 თამაში, 7 ლელო




**გრეგ სომერვილი**
ახალი ზელანდია, კენტერბერი კრუზეიდერსი
31 წლის, 187 სმ, 115 კგ
ნაკრებში 67 თამაში, 1 ლელო




**ჯონ სმითი**
სამხრეთ აფრიკა, შარქსი
30 წლის, 188 სმ, 117 კგ
ნაკრებში 80 თამაში, 4 ლელო




**ტონი ვუდკოკი**
ახალი ზელანდია, ოკლენდ ბლუზი
27 წლის, 184 სმ, 118 კგ
ნაკრებში 49 ქულა, 5 ლელო

# ცეცხლი თოვლში

## ოლე ეინარ ბიორნდალენი არც ცვდება და არც თავდება

ბიატლონი საქართველოში უცხო ხილია, მაგრამ თოვლიან ქვეყნებში მცხოვრებთათვის ის ყოფის ნაწილია. თანამედროვეობის საუკეთესო ბიათლეტს, ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ოლე ეინარ ბიორნდალენს მშობლიურ ნორვეგიაში აღმერთებენ და ძეგლიც კი დაუდგეს, მიუხედავად იმისა, რომ ის კიდევ კარგა ხანს არ აპირებს მოლიპული გზიდან გადასვლას...




— ახლახან პრესკონფერენციაზე თქვით, რომ მოტივაციის ნაკლებობას არასდროს განიცდით. ცოტა დაუჯერებელია, რომ არაერთხელ დაპყრობილი მწვერვალისკენ ლტოვა ამდენი გამარჯვების შემდეგაც არ გინელდებათ...

— იცით, რაშია საქმე... საერთოდ ეს რთული საკითხია, რომლის პრესკონფერენციაზე განხილვა მაინცდამაინც მიზანშეწონილი არაა. კარგად მახსოვს შეგრძნება, როდესაც ნაგანოში (1998) პირველი ოლიმპიური ოქრო მოვიგე. განსაკუთრებული ემოცია დამეუფლა, სრულიად სხვაგვარი, ვიდრე შემდგომ ოქროებზე. 24 წლისა ვიყავი და მედალი მოვიპოვე ოთხწლიანი უმძიმესი შრომის შედეგად. ამასთან, ორჯერ მომიხდა გამოსვლა, რადგან პირველი შეჯიბრი დიდთოვლობის და ნისლის გამო შეწყდა. მეორე დღეს თავიდან დავიწყეთ და ყველაფერი იდეალურად გამომივიდა: ძალიან სწრაფად და ზუსტად ვისროლე, სწრაფად ვიარე და მოვიგე კიდეც. მაგრამ უცნაურმა განცდამ შემიპყრო. სიხარული ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა, მერე და მერე კი გამიძლიერდა იმის შეგრძნება, რომ ეს ჩემი პიკი იყო და ამაზე მაღლა ვეღარ ავხტებოდი. თანაც პიკიდან ერთადერთი გზა არსებობს — დაბლა უნდა დაეშვა. მერეღა მივხვდი, რომ სპორტში ყველაზე საინტერესო გამარჯვება კი არა, ის გზაა, რომელსაც გამარჯვებისკენ მიყავხარ. განსაკუთრებით ამ გზის უკანასკნელი მონაკვეთი, როდესაც მცირე შეცდომის უფლებაც არ გაქვს...

არსებობს კიდევ არაერთი მიზეზი, რომელთა გამოც მე გამუდმებით მივისწრაფი მაქსიმუმისკენ. მართლა ძალიან მიყვარს შეჯიბრი. მაქეზებს გულშემატკივართა მოლოდინიც: ძალიან ბევრი ელის, რომ გავალ თოვლის ბილიკზე და მოვიგებ. დავასახელებ ასეთ მიზეზსაც: კმაყოფილებას მგვრის იმის შეგრძნება, რომ ჩემი გამოსვლით ხელს ვუწყობ ჩვენი სახეობის პოპულარობის ზრდას. ბიატლონი ხომ სპორტის შედარებით ახალი სახეობაა. აი, მაგალითად, თქვენ რით ხართ დაკავებული?

— წყალში ხტომით...

— თუ არ ვცდები, ეგ სახეობა ოლიმპიურ პროგრამაში ერთ-ერთი უძველესია და განვითარების ასეულ წელიწადში იდეალურად დამუშავდა. ასეა, ვთქვათ, მძლეოსნობაც, იქ რეკორდები ნამცეცობით იზრდება. ბიატლონში კი კიდევ უამრავი რამაა დასახვეწი. რამდენიმე წელია, ვმუშაობ ფირმა „მადშუზთან" — სხვათა შორის, ესეც მმატებს მოტივაციას — იქ თავს ერთად ვიმტვრევთ, როგორ გავზარდოთ თოვლზე თხილამურებით სრიალის ეფექტი. ბიატლონი მრავალ ელემენტს შეიცავს და ყოველთვის შეიძლება რომელიმეს გაუმჯობესება.

— უკვე გადაწყვიტეთ, რას იზამთ ვანკუვერის ოლიმპიადის შემდეგ?

— კი. ვივარჯიშებ. მინდა, 2014 წელს სოჭშიც გამოვიდე, საინტერესო უნდა იყოს.

— იმ დროს ხომ 40 წლისა იქნებით?!

— ამ ასაკშიც შეიძლება კარგი შედეგის მიღწევა, თუ საკუთარ შესაძლებლობებს ზუსტად გათვლი. რაც შეეხება ქვედა ზღვარს, ბიათლეტმა სულ ცოტა 21-22 წლის ასაკში უნდა მიიქციოს ყურადღება. ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციამ კონტინენტური დონის ტურნირებზე ასაკობრივი ცენზი დააწესა. არა მგონია, ასეთი მიდგომა სწორი იყოს.

— თქვენ თუ გამოსულხართ ოდესმე კონტინენტური დონის ტურნირებზე?

— არა. ევროპის ჩემპიონატზეც კი არასდროს გავსულვარ.

— სამაგიეროდ, მსოფლიოს თასზე უკვე 15 წელია, მონაწილეობთ. შეადარეთ ადრეული და თანამედროვე ბიატლონი...

— დღეს ყველაფერი შესამჩნევად გართულდა. გაიზარდა სირბილის სიჩქარე, სროლის ტემპი, სროლის სიზუსტე, კონკურენცია. ახლა გაცილებით მეტი სპორტსმენი აჩვენებს კარგ შედეგს, ვიდრე 15 წლის წინ. ვფიქრობ, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველობისთვის ძალიან მჭიდრო ბრძოლას გამართავს სულ ცოტა ხუთი სპორტსმენი.

— კიდევ აპირებთ ბიატლონისა და ბარის თხილამურობის შეთავსებას?

— რა თქმა უნდა. ეს წლეულსაც მქონდა გეგმაში, მაგრამ ფორმაში არ ვიყავი და უარის თქმა მომიხდა — უვარჯიშებელს სხვებთან გაჯიბრების მისხალი შანსიც არ მაქვს. როცა 20 კილომეტრზე წუთნახევრით ჩამოვრჩები საკუთარ რეკორდს, რა გამომივიდოდა?

— საერთოდ რატომ ჩაიფიქრეთ ეს შეთავსება? ერთობით თუ ბარის თხილამურობა ერთგვარი დამატებითი ბიზნესია?

— დამცინით? რა ბიზნესი უნდა იყოს? ფულის გამო ამ სახეობაში გადასვლა სრული უაზრობაა. პოპულარობითაც ჩამორჩება ბიატლონს და სპონსორებიც არ უდგას რიგში, რადგან ცუდი სარეკლამო საშუალებაა. თხილამურებით სირბილის დროს კომბინიზონზე რაიმე წარწერის გარჩევა თითქმის შეუძლებელია. აქ ჩემს გამოსვლას სულ სხვა მიზანი აქვს.

— კერძოდ?

— ახლო წარსულში ბიათლეტებზე ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, თითქოს ისინი თხილამურებით ძალიან ნელა დარბიან. გამეფებული იყო სტერეოტიპული აზრი: თუ მოთხილამურე არაფრად ვარგა და ძალიან ზანტია, მას სროლა უნდა ასწავლო, ბიატლონში გადაიყვანო და შედეგიც გარანტირებულია. 1998 წელს თავი ბარის თხილამურობაში გამოვცადე და საკმაოდ ძლიერებს გავასწარი. მოვიგე რამდენიმე ეტაპი და მსოფლიოს თასზე მეორე ადგილი დავიკავე. და როგორც მგონია, სწორედ მაშინ შეიცვალა მრავალთა ფსიქოლოგია. ხალხი მიხვდა, რომ ბიათლეტსაც შეუძლია სწრაფად სირბილი. გაგიმხელთ და, მიხარია, რომ სტერეოტიპის დამსხვრევაში მეც შევიტანე წვლილი.

— არ გშურთ ბარის მოთხილამურეების? ისინი განუწყვეტლივ ცდილობენ პროგრამის გაფართოებას, ბიატლონში კი წლების განმავლობაში ერთსა და იმავე დისტანციებზე მოძრაობთ...

— იცით, არის სპორტის სახეობა — ფორმულა ერთი. ოცი მანქანა ორი საათის განმავლობაში მოძრაობს ერთ წრიულ ტრასაზე, ამასთან ყველა ტრასა უმცირეს დეტალებამდე შესწავლილია არათუ მრბოლლების, არამედ მაყურებლების მიერაც. ერთი შეხედვით, მოსაწყენი სანახაობაა, ხომ? მაშ, რატომღა უყურებს მსოფლიო თვალმოუწყვეტლივ და რატომ აღმერთებს მრბოლებს? ჩემი აზრით, ბარის თხილამურობა არასწორ გზას ადგას. რაც უფრო იზრდება დისტანციათა ოდენობა, მით მცირდება ნამდვილ ვარსკვლავთა რიცხვი. ამ სპორტში აღარ მოვლენ ახალი ბიორნ დელი, ან ვლადიმირ სმირნოვი... არადა, სპორტს ხომ ვარსკვლავები ქმნიან? ასე მაგალითად, თავის დროზე ალბერტო ტომბამ მთის თხილამურობის პოპულარობა წარმოუდგენელ სიმაღლეზე ასწია...

ბიატლონში რამდენიმე წელი ბრწყინავდა თანავარსკვლავედი — ფრანკ ლიუკი, სვენ ფიშერი, რაფაელ პუარე, მე... უნდა შევიგნოთ უბრალო რამ: დისტანციათა და ჩემპიონთა გაზრდილი რიცხვი სულაც არ შობს ახალ ვარსკვლავებს.

— პოპულარობას როგორ ეგუებით? სამშობლოში ძეგლიც დაგიდგეს...

— თავიდან თმები ყალყზე დამიდგა. ვიძახდი — რა ძეგლი! ჯერ ხომ არ მოვმკვდარვარ! კარიერაც კი არ დამიმთავრებია-მეთქი... მაგრამ დამარწმუნეს, რომ 2002 წელს სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე ჩემი ტრიუმფი უფრო მყარად უნდა ჩამჯდარიყო გულშემატკივართა მეხსიერებაში. მერე ძალიან საინტერესო იყო სკულპტორთან მუშაობა. ნორვეგიელი ქალია, რომელიც შტატებში ცხოვრობს. დიდი ხანი ცოცხლად მადევნებდა თვალს, რომ უკეთ აღექვა ბიათლეტის მოძრაობის ბუნება. მერე მას სტუდიაშიც არაერთხელ შევხვდი. ვპოზირებდი, რჩევებს ვაძლევდი და ნამუშევრით კმაყოფილი დავრჩი. იოლი ხომ არაა, გაყინულ ქანდაკებაში მოძრაობის, ექსპრესიის და გამოხედვის გადატანა.

— რატომ აირჩიეთ საცხოვრებლად არა მშობლიური ნორვეგია, არამედ ავსტრიული ობერტილიხი?

— იქიდან ძალიან ახლოსაა ჩემი ცოლის სახლი. თანაც იქ ხელსაყრელი სავარჯიშო პირობებია. ზედ სახლთან მაქვს კარგი ტრასა, როგორიც ნორვეგიაში არ მქონებოდა. ჩემი ცოლიც ბიათლეტი იყო და 1993 წელს მსოფლიოს თასზე მეორე ადგილი დაიკავა. მაგრამ მერე ავარიაში მოჰყვა და სერიოზულად დაშავდა. სპორტს კი დაუბრუნდა, მაგრამ ძველებურად წარმატებით ვეღარ გამოდიოდა. გულდასაწყვეტი ისტორიაა.

— სპორტიდან წასვლის შემდეგ რა საქმეს მოეკიდებით? პუარესავით მწვრთნელი გახდებით, თუ დელის მსგავსად ეკიპირების ბიზნესში წახვალთ?

— სპორტული ტანისამოსის წარმოებით მცირედით ახლაც დაკავებული ვარ. სინამდვილეში ეს არც ისე დიდი შემოსავალია. ძალიან მინდა, გარკვეული ხანი ოჯახთან გავატარო, მამასთან ერთად, რომელსაც თითქმის ვერც ვნახულობ. დედა ხუთი წლის წინ გარდაიცვალა და მამას მას მერე განსაკუთრებით ვენატრები. ისედაც ძალიან ადრე მოვწყდი ოჯახს.

— თქვენი უმცროსი ძმაც პერსპექტიულ ბიათლეტად ითვლებოდა და რატომ დაანება თავი?

— ვფიქრობ, მისთვის ფსიქოლოგიურად იოლი არ იყო იმ სახეობაში თავის დამკვიდრება, სადაც მას გამუდმებით მე მადარებდნენ. რა არის სპორტი? ეს არა მხოლოდ ნიჭი და კვალიფიციური მუშაობაა, არამედ გარემოებებთან შეგუებაც. გარემოებაში ვგულისხმობ თუნდაც ხალხს, რომლებიც ვარჯიშში და შედეგის მიღწევაში გეხმარებიან. თუ მხარში შესაფერისი ხალხი არ გიდგას, ვარჯიში ორმაგად ძნელდება. ამ ყველაფერმა თავისი ქნა. სხვათა შორის, ჰანს ანტონი მწვრთნელი გახდა და ვინ იცის, კარგი სპეციალისტი დადგეს.



ტინა მაცე

# სლოვენია: სინათლე გვირაბის ბოლოს

**მთებიც** აქვთ, მოთხილამურეებიც ჰყავთ, ქვეყანაც უვარგათ და ევროკავშირშიც არიან. საუბარია სლოვენიელებზე, რომელთა ქვეყანა ჩვენსაზე პატარაა, მაგრამ განვითარებით საქართველოს ისე უსწრებს, როგორც იქაური მოთხილამურეები ჩვენებს. მთის თხილამურობაში მსოფლიო დონის ტურნირებსაც მასპინძლობს, სადაც საუკეთესოები იკრიბებიან.

10 იანვარს სლოვენიის სიდიდით მეორე ქალაქმა მარიბორმა მსოფლიოს თასის ეტაპი მიიღო და გიგანტური სლალომის ტიპის ტრასაზე თანამემამულე ტინა მაცეს გამარჯვებით ფრიადაც გაიხარა ათასობით სლოვენიელმა.

მაცი რიგიან სლალომისტად ითვლება, კარიერის განმავლობაში გიგანტურ სლალომსა და სხვა დისციპლინებში ჯამში ექვსი ეტაპი მოეგო და 2008-09 სეზონშიც არა უშავდა გამოდიოდა, ხუთჯერ მოხვდა ტოპ-ათეულში, მაგრამ გამარჯვება ყოველთვის თხილამურებშუა უსრიალდებოდა, შინაურ ტრასაზე კი ყინული გატეხა.

„ერთი წელი პირადი პრობლემები მიმუქებდა ცხოვრებას, სპორტულ სარბიელზეც ვერ მიმდიოდა ყველაფერი იდეალურად და აი, გამოჩნდა სინათლე გვირაბის ბოლოს. თანამემამულეთა მხარდაჭერამ ფრთები გამომაბა, გეფიცებით, მოვფრინავდი ტრასაზე და გულიც მიფრიალებდა. აქ სამი წლის წინაც მოვიგე, მაგრამ ამ გამარჯვებამ განსაკუთრებული სიხარული მომანიჭა“ — მაცე საუბარშიც დაფრინავდა.

ეტაპი ორ გზობად ჩატარდა და ორი ჩამოსრიალების დროთა ჯამით გამოვლინდა გამარჯვებული. მაცემ პირველ ჯერზეც კარგად ისრიალა, ტრასა წუთსა და 21,71 წამში მოითავა, მაგრამ მას იტალიელმა დენის კარბონმა ფინიშთან 0,09 წამით მიასწრო. დილის დედოფალიც ის შეიქნა. მაგრამ საღამო უკვე სლოვენიელმა იყოჩაღა 0,45 წამით აჯობა და მეორე ადგილზე გადაისროლა.

კარბონს ერთობ ეწყინა, გამარჯვება ხელიდან რომ გაუსხლტა. ეს იტალიელი გოგონა უშუალოდ გიგანტური სლალომის ტიპის ტრასებზე სპეციალიზირდება, გასულ სეზონში შვიდი ეტაპიდან არც მეტი არც ნაკლები ხუთი მოიგო, მაგრამ წლეულს არ უმართლებს და ახლა დაწინაურებულს ნავსის გატეხვის იმედი ჰქონდა, მაგრამ...

ისე კი, ამ ეტაპმა შესამჩნევი ცვლილებები ვერ შეიტანა საერთო ჩათვლაში, სადაც ერთიანდება ყველა დისციპლინა — სლალომი, გიგანტური სლალომი, სუპერგიგანტი და სწრაფდაშვება. ეტაპის მომგები მაცე ათეულს კი მიუახლოვდა, მაგრამ იქ შეღწევა ვერ შეძლო და მე-11 ადგილზე გაჩერდა. საერთო ჩათვლას კვლავ ლიდერობს გერმანელი მარია რეიში.

შაბათს კაცებმაც ჩაასრიალეს თავიანთი ეტაპი. ელიტარები შვეიცარიულ ადელბოდენში ასევე გიგანტურ სლალომში ცდიდნენ ერთმანეთს. ეს ტრასა მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეულია და დიდი შეჯიბრიც გაჩაღდა, გამარჯვება კი ავსტრიელ ბენიამინ რაიხს დარჩა, რომელიც საერთო ჩათვლაში ფრანგი ჟან-ბაპტის გრანჟის ზურგსუკან ჩასაფრებულიყო და ამ გამარჯვების წყალობით საერთო ჩათვლაში პირველობაც ჩამოართვა.

რაიხი გადასარევი მოთხილამურეა, წლების განმავლობაში მსოფლიოს თასებზე 33 გამარჯვება დააგროვა, საიდანაც 13 გიგანტურ სლალომში მოიპოვა, მაგრამ წლეულს პირველობისთვის გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდა, რადგან კონკურენცია წლიდან წლამდე იზრდება. შობიდან ახალ წლამდე ვარჯიშით თავი მოუკლავს, თურმე მხოლოდ ძილისწინ იძრობდა თხილამურებს. 2009 წელს საუკეთესო ფორმაში შეხვდა და აი შედეგიც — ორი ჩამოსრიალების ჯამში მან 2.29,95 დრო აჩვენა. მხოლოდ იტალიელმა მასიმილიანგო ბრანდონემ გაუძლო მის ტემპს და 0,24 წამით ჩამორჩენილმა პოდიუმზე დაუშვენა მხარი, სხვებმა კი სულ ცოტა წამით უარესი შედეგი აჩვენეს.

**ვანო ძოზიაშვილი**

# დაზვავებული სეზონი



**ზვავივით** მოულოდნელად დატეხილმა ტრავმამ დამარხა ნიკოლ ჰოსპის იმედები. მსოფლიოს ერთ-ერთმა ‚საუკეთესო სამთო მოთხილამურე ქალმა გასულ კვირას ზაგრებში მიმდინარე მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე მუხლის მყესები ისე გაიჭიმა, რომ სულ ცოტა ექვსი თვე ველარ გაეკარება თხილამურებს. მიუხედავად იმისა, რომ საოპერაციო არაფერი სჭირს, ეს სეზონის გამოტოვებას ნიშნავს.

ჰოსპი მანამდე არასდროს დაშავებულა ასე მძიმედ, ჯან-ღონით ალსავსე და ლოყებღაჟღაჟა 25 წლის ავსტრიელი წლეულსაც მშვენიერ ფორმაში იყო, საერთო ჩათვლაში მეექვსე ადგილი ეკავა და მხოლოდ 200 ქულით ჩამორჩებოდა ლიდერს, გერმანელ მარია რეიხს. ეს არც ისე დიდი სხვაობაა, ორ-სამ ეტაპში შეიძლება მისი გაბათილება და ჰოსპიც ალბათ ამ იმედით იძინებდა და ილვიძებდა. თებერვალს ფრანგულ ვალ დიზერში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზეც სულ ცოტა რაიმე სინჯის მედალს დაგეგმავდა, მაგრამ...

ჰოსპი სპეციალიზირებულია გიგანტურ სლალომში და ამ დისციპლინაში საუკეთესოთა შორისაა. 2007 წლის მსოფლიოს თასიც ამ დისციპლინაში უზარმაზარმა უპირატესობამ მოაგებინა. იმავ წელს შვედეთში, არეში მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

**ვანო ძოზიაშვილი**



# კვირის ქრონიკა

## ავსტრიული სნოუბორდი

**ავსტრიულ** კრაიშბერგში ჩატარდა მსოფლიოს თასის ეტაპი სნოუბორდში. კაცთა პარალელურ სლალომში გაიმარჯვა შვეიცარიელმა სიმონ შოხმა. მეორე-მესამე ადგილებზე კი სლოვენიელები — ფლინდერი და კოშირი გავიდნენ. ქალთა ანალოგიური დისციპლინა გერმანელმა ამელი კობერმა მოიგო. მეორე იაპონელი ტაკეუტი იყო, მესამეზე კი შეჯიბრის მასპინძელი ნოირურერი გავიდა.

## რუსებმა ირბინეს და ისროლეს

**გერმანულ** ობერჰოფში მსოფლიოს თასის მე-4 ეტაპი ჩატარდა ბიატლონში. ქალთა ესტაფეტაში 4x6 კმ-ზე გამარჯვება რუსებმა მოიპოვეს (1:16:47,7) და თან 1 საჯარიმო წრისა და 7 დამატებითი ვაზნის გამოყენება მოუხდათ. მეორე ადგილზე 70-წამიანი ჩამორჩენით უკრაინელი ქალები გავიდნენ (4 დამატებითი ვაზნა). მესამე ადგილი გერმანელებმა დაიკავეს ლიდერთან 90-წამიანი ჩამორჩენით (2 საჯარიმო წრე და 12 დამატებით ვაზნა). მეოთხეზე ფრანგები გავიდნენ, რომლებსაც ნაკრების ლიდერი სანდრინ ბეი აკლდათ, მეხუთე ადგილი კი ჩინელებს ხვდათ.

## ჩელიოსის რეკორდი

**ნჰლ**-ში „დეტროიტისა“ და „კოლუმბუსის“ მატჩისას (3:0) რეკორდი დამყარდა. დეტროიტელი მცველი კრის ჩელიოსისთვის ეს 880-ე ნჰლ-ური გამარჯვება გახლდათ. 46 წლის ვეტერანმა ჰოკეისტმა „ნიუ ჯერსის“ ოდინდელ ლიდერ სკოტ სტივენსს გადაუსწრო. სტივენსი შარშან შეიყვანეს ჰოკეის დიდების დარბაზში.

ჩელიოსი კი ლიგაში 25-ე სეზონს ატარებს, 1621 მატჩში 185 გოლი გაიტანა და 763 შედეგიანი პასი გააკეთა.

## დოპინგ-სიკვდილი 12 წუთის მერე

**რუსი** სპორტსმენები ამ ბოლო დროს დოპინგს ძალიან გაუშინაურდნენ. პეკინის ოლიმპიადის წინ მათმა სახელიანმა მძლეოსნებმა დოპინგსკანდალში გაჰყვეს თავი და ზაფხულის თამაშების გამოტოვებაც მოუხდათ. ახლა კიდევ დოპინგის მიღებაში რუსი ჰოკეისტი, 19 წლის ალექსეი ჩერეპანოვი ამხილეს, თუმცა მისი ამბავი ცუდად დამთავრდა.

ის, რომ ჩერეპანოვი დოპინგს იღებდა, მისი სიკვდილის შემდეგ სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა. ომსკის „ავანგარდის“ ჰოკეისტი დოპინგს ერთი წლის განმავლობაში მოიხმარდა.

ამ საქმეზე გამოძიებას იქაური პროკურატურა აწარმოებს. საინტერესოა, რომ პროკურორებს სხვა საკითხის გამოძიებაც მოუწევთ. აღმოჩნდა, რომ მოთამაშის ცუდად გახდომის შემდეგ სასწრაფოს ექიმებს ტექნიკური პრობლემების გამო დროულად ვერ აღმოუჩენიათ დახმარება, თორემ 12 წუთით ადრე რომ დაეწყოთ მკურნალობა, ჰოკეისტის გადარჩენა შესაძლებელი იყო.

## შუათითი

**19 წლის** ჩინელი მოციგურავე სუნ სიუნი, ვინც ჩინეთის ნაკრების ლიდერთაგანია, დიდი სპორტიდან ერთი წლით მოკვეთეს. გადაწყვეტილება ქვეყნის ციგურაობის ფედერაციამ მიიღო. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ შენიანში ჩატარებული ტურნირისას, 10 ათას მეტრზე გარბენის შემდეგ, სპორტსმენმა მაყურებელს შუათითი უჩვენა. დასჯილმა დაიჩივლა, გულშემატკივრები გამუდმებით მაგინებდნენ და ვერ მოვითმინეო.

## ცხადია, კანადა!

**კანადაში** დასრულდა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ჰოკეიში. რაიმე სენსაცია არ მომხდარა: ჩემპიონი ზედიზედ მეხუთედ კანადის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში 5:1 მოუგო შვედეთის ნაკრებს. მესამე ადგილი რუსებმა დაიკავეს სლოვაკეთის ძლევით — 5:2.

ჩემპიონატმა დასწრების რეკორდიც დაამყარა. თითოეულ მატჩს საშუალოდ 14 622 მაყურებელი ესწრებოდა, ფინალმა კი 20 380 ქომაგი შეკრიბა. როგორც ამბობენ, სარეკორდო დასწრების მიზეზი ჩემპიონატის ყველა მატჩის ერთ ქალაქში, კერძოდ დედაქალაქ ოტავაში ჩატარება გახდა. ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ კი კანადელი ჯონ ტავარესი აღიარეს.

## ჩემპიონი საკანში

**მსოფლიოს** ორგზის ჩემპიონი ფიგურულად მოციგურავე წყვილთა შორის, მაქსიმ სტავისკი ბულგარეთის სააპელაციო სასამართლომ დამნაშავედ სცნო და 2,5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. 24 წლის ფიგურისტმა წელიწადნახევრის წინ, საჭესთან მთვრალ მდგომარეობაში მჯდომმა, ავარია მოახდინა, რომლის დროსაც მოყვარული მოკრივე პეტარ პეტროვი დაიღუპა, მისი მეგობარი გოგონა კი მძიმედ დაშავდა.

# HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**12 იანვარი 12**

1944 ამერიკელი მოკრივე ჯო ფრეზერი
1949 გერმანელი ფეხბურთის მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი
1960 ამერიკელი კალათბურთელი დომინიკ უილკინსი
1968 ბრაზილიელი ფეხბურთელი მაურო სილვა
1969 ხორვატი ფეხბურთელი რობერტ პროსინეჩკი
1978 კოტდივუარელი ფეხბურთელი ბონავენტურ კალუ
1979 სლოვაკი ჰოკეისტი მარიან ჰოსა
1979 პოლონელი ფეხბურთელი გრეგორჟ რაშიაკი
1982 ფრანგი ჩოგბურთელი პოლ-ანრი მატიო
1985 უკრაინელი ფეხბურთელი არტიომ მილევსკი

**13 იანვარი 9**

1947 კატალონელი ფეხბურთელი და მწვრთნელი კარლ რექსახი
1969 იტალიელი მოთხილამურე სტეფანია ბელმონდო
1969 შოტლანდიელი სნუკერისტი სტივენ ჰენდრი
1970 იტალიელი ველომრბოლი მარკო პანტანი
1972 ავსტრალიელი ფეხბურთელი მარკ ბოსნიჩი
1972 ბელარუსი ტანმოვარჯიშე ვიტალი შერბო
1973 რუსი ჰოკეისტი ნიკოლაი ხაბიბულინი
1982 არგენტინელი ჩოგბურთელი გილერმო კორია

**14 იანვარი 8**

1948 რუსი ჰოკეისტი ვალერი ხარლამოვი
1971 ნორვეგიელი მოთხილამურე ლასე კიუსი
1971 ბერძენი ფეხბურთელი ანტონის ნიკოპოლიდისი
1973 იტალიელი ავტომრბოლი ჯანკარლო ფიზიკელა
1977 ინდოელი ავტომრბოლი ნარაინ კარტიკეიანი
1978 ამერიკელი სპრინტერი შონ კროუფორდი
1982 ესპანელი ფეხბურთელი ვიქტორ ვალდესი

**15 იანვარი 9**

1875 ამერიკელი მორბენალი ტომ ბერკი
1950 ფრანგი ფეხბურთელი მარიუს ტრეზორი
1965 ამერიკელი მოკრივე ბერნარდ ჰოპკინსი
1975 ფრანგი ჩოგბურთელი მარი პირსი
1979 ბულგარელი ფეხბურთელი მარტინ პეტროვი
1981 სენეგალელი ფეხბურთელი ელ ჰაჯი დიუფი
1981 შოტლანდიელი მორაგბე შონ ლამონტი

**16 იანვარი 9**

1911 ფრანგი ველომრბოლი როჟერ ლაპები
1935 ამერიკელი ავტომრბოლი ეიჯეი ფოიტი
1956 ჰოლანდიელი ფეხბურთის მწვრთნელი მარტინ იოლი
1958 რუსი მთამსვლელი ანატოლი ბუკრეევი
1969 ამერიკელი მოკრივე როი ჯონს-უმცროსი
1971 ესპანელი ჩოგბურთელი სერხი ბრუგუერა
1981 ინგლისელი ფეხბურთელი ბობი ზამორა
1982 თურქი ფეხბურთელი თუნჩაი სანლი
1983 ავსტრიელი ფეხბურთელი ემანუელ პოგატეცი

**17 იანვარი 7**

1905 არგენტინელი ფეხბურთელი გილერმო სტაბილე
1925 პაკისტანელი მოკრიკეტე აბდულ კარდარი
1940 კენიელი სტაიერი კიპჩოგე კეინო
1942 ამერიკელი მოკრივე მუჰამედ ალი
1971 ბრიტანელი ავტომრბოლი რიჩარდ ბარნსი
1982 ამერიკელი კალათბურთელი დუეინ უეიდი

**18 იანვარი 10**

1950 კანადელი ავტომრბოლი ჟილ ვილნევი
1961 კანადელი ჰოკეისტი მარკ მესიე
1961 ინგლისელი ფეხბურთელი პიტერ ბერდსლი
1966 რუსი მოჭადრაკე ალექსანდრ ხალიფმანი
1967 ჩილელი ფეხბურთელი ივან სამორანო
1971 ესპანელი ფეხბურთელი ხოსეპ გვარდიოლა
1978 რუმინელი ფეხბურთელი ბოგდან ლობონტი
1979 პორტუგალიელი ფეხბურთელი პაულო ფერეირა
1981 ბელგიელი ფეხბურთელი ოლივიე როხუსი
1985 იტალიელი ფეხბურთელი რიკარდო მონტოლივო



იტალიელი ველომრბოლი მარკო პანტანი, ველოსპორტის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო „მთიელი", მეტსახელად „პირატი". 2004 წელს კოკაინის გადაჭარბებული მიღებით 34 წლისა დაიღუპა



კარლოს საინსი



სტეფან პეტერანსელი

# ისევ ბებერი ხარის და მისი რქების ამბავი

„დაკარის" ავტორალი პროფესიულად ახლოსაც ვერ მიუვა რალის მსოფლიოს ჩემპიონატს, მაგრამ კარგადაა გარეკლამებული და ინტერესი ნამდვილად არ აკლია. საფრანგეთთან გამოთხოვების შემდეგ, ეს უსაშველოდ გრძელი ავტომოტო ქარავანი ახალ გზებს ეძებს და წლეულს სამხრეთ ამერიკაში შეიარა. ფინიში ტრადიციულად სენეგალის დედაქალაქ დაკარში იქნება.

სამხრეთ ამერიკაში ქარავანი არგენტინას და ჩილეს ესტუმრა. სტარტი ბუენოს აირესში აიღო, სამხრეთისკენ ჩაუყვა, მოიარა პატაგონიის უწყლო და მტვრიანი უდაბნო და ამ პარასკევს ანდების გადავლით ჩილეში ჩავიდა.

არგენტინულ მენდოსას და ჩილეს ვალპარაისოს შორის მთებზე გაჭიმული 243-კილომეტრიანი ეტაპი მოიგო ესპანელმა ვეტერანმა კარლოს საინსმა, ვისი სახელიც უცხო ნამდვილად არაა რალის მოყვარულებისთვის. „ელ მატადორად" წოდებულ ესპანელს თავის დროზე დიდი რალი აქვს დაპყრობილი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია და იმდენ ხანს და ისე სტაბილურად გამოდიოდა, რომ არაერთი რეკორდი დატოვა. საინსი ახლა 46 წლისაა, მაგრამ საჭეს ვერ ელევა და „დაკარში" გადმოინაცვლა, სადაც კონკურენცია ნაკლებია, მარშრუტი კი არანაკლებ რთული.

„ელ მატადორი" „ფოლკსვაგენით" გამოდის და ამ მანქანით 2009 წელს სამი ეტაპის მოგება მოასწრო, რისი წყალობითაც საერთო ჩათვლას დამაჯერებლად ლიდერობს და საბოლოო გამარჯვებისკენ ისეთივე ჟინით მიიწევს, როგორც ადრეულ წლებში მთლად უწვერული მიილტვოდა პირველი მოგებებისკენ.

ამასობაში ხიფათი შეემთხვა საინსის მთავარ კონკურენტს, ფრანგ სტეფან პეტერანსელს. ეს კაცი „დაკარის" ნამდვილი ლეგენდაა — ზედიზედ ცხრაჯერ მოუგია საბოლოო ჩათვლა. თავიდან მოტოციკლით კვეთდა საჰარის უდაბნოს და ექვსჯერ ორთვალათი იჩემპიონა, შემდეგ კი უფრო პრესტიჟულ მსუბუქ ავტოში გადაჯდა და სამი ჩემპიონობაც აქ დაამატა. მომავალში ესეც რომ მობეზრდება, ალბათ სატვირთოთიც ცდის ბედს და ასეთ იღბლიანს, ალბათ, იქაც ელის პოდიუმი. მაგრამ პეტერანსელის იღბალი ჯერ ვერ ჭრის საინსის ოსტატობასთან, პირიქით, უიღბლობადაც კი ქცეულა. ანდების გადასერვისას შარშან ჩემპიონობის მომტანი „მიცუბიში" გაუფუჭდა და ეტაპის შუა გზაზე შეწყვეტა მოუხდა.

„დაკარის" ქარავანს ყოველ წელიწადს მიაქვს არაერთი ადამიანის სიცოცხლე და სამწუხაროდ, არც წლევანდელი რბოლა მიდის უმსხვერპლოდ. ჩილეში გადასულმა ქარავანმა ორი კაცი მოკლა. ტექნიკური აღჭურვილობის ერთ-ერთმა მძიმე მანქანამ არასარბოლო პირობებში ჩვეულებრივ ტრასაზე რატომღაც შუა ზოლი გადაკვეთა და საპირისპირო მიმართულებით მოძრავ მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა, რომლის ორი მგზავრი დაიღუპა. შეიძლება, მათ სულაც არ აინტერესებდათ ავტორალი, ვინ იცის, რა საქმეზე მიდიოდნენ თავისი გზით და უცებ...

**ვანო კობიაშვილი**

## ბოლიდები: ვინ როდის

**ფორმულა** ერთში მონაწილე „რედ ბულმა" გამოაცხადა, რომ ახალი ბოლიდის პრეზენტაციას 9 თებერვალს, ესპანურ ხერესში მოახდენს. ბოლიდს, რომელსაც RB5 ჰქვია, „რენოს" ძრავით არის აღჭურვილი.

„რედ ბული" ყველაზე გვიან წარადგენს თავის ბოლიდს. პირველი კი ამას „ფერარი" გააკეთებს — 12 იანვარს. ეს „ფერარის" საცდელ ტრეკზე, ფიორანოში მოხდება, საჭეს კი ფელიპე მასა მიუჯდება. 15 იანვარს „ტოიოტას" პრეზენტაციაა, 16-ში „მაკლარენის". ერთი კვირის თავზე კი ბოლიდებს „რენო", „უილიამსი" და „BMW-ზაუბერი" წარადგენენ.

## ალონსო ფრთით შეეჯახა

**ფორმულა** ერთის ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს კენიაში უსიამოვნება შეემთხვა. კენიაში ის „რენოს" მეპატრონის, ფლავიო ბრიატორეს მიწვევით იმყოფებოდა. თვითმფრინავი, რომლითაც ალონსო ოჯახითურთ უნდა გამოფრენილიყო, ნაირობის აეროპორტის შენობას შეეჯახა და ფრთა დაუზიანდა. მეფორმულე და მისი ოჯახის ოთხი წევრი არ დაშავებულან.

## რაიკონენი ლაპლანდიაში

**„ფერარის"** ფინელი პილოტი კიმი რაიკონენი „ლაპლანდიის არქტიკულ რალიში" მიიღებს მონაწილეობას. ეს შეჯიბრი ტრადიციულია და წელს 44-ედ ჩატარდება. რაიკონენს შტურმანობას კაი ლინდსტრომი გაუწევს. ლინდსტრომი თავის მხრივ, რალიში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ტომი მიაკონენის შტურმანი გახლდათ წლების მანძილზე. ლაპლანდიურ რალიში წელს კიდევ ერთი განთქმული ფინელი ჩემპიონი მიკა ჰაკინენიც მიიღებს მონაწილეობას.

## ყმაწვილი ფორმულაში

**ფორმულა** 1-ში წელს დებიუტი ექნება შვეიცარიელ სებასტიენ ბუემის. ის „ტორო როსოს" საჯინიბოს პილოტი გახდა. ბუემი 20 წლისაა და შარშან GP2-ში „რედ ბულის" სათადარიგო პილოტი გახლდათ.



# შიშველი ოქრო

## გალინა პუნდიკმა კვარტეტი დაშალა

**უკრაინის** ქალ მოფარიკავეთა ნაკრებმა წელი გაშიშვლებით დაიწყო.

ოლგა ხარლანმა, ელენა ხომროვამ, ოლგა ჟოვნირმა და გალინა პუნდიკმა პეკინის ოლიმპიადის მოგების შემდეგ დიდი პოპულარობა მოიპოვეს სამშობლოში და არაერთი კომერციული წინადადებაც მიიღეს.

უკრაინელმა ლამაზმანებმა პეკინში ჯერ რუსეთი დაამარცხეს, მერე აშშ, ფინალში კი ჩინეთს სძლიეს.

ჟურნალმა XXL-მა დიდი გაჭირვებით დაითანხმა ამ ოთხიდან სამი გოგონა, რათა ფოტოსესიებში მიეღოთ მონაწილეობა. ერთადერთი, გალინა პუნდიკმა განაცხადა გაშიშვლებაზე კატეგორიული უარი.

**კახა ზალამბერიძე**





# სპარსეთის ყურის ბრიტი მპყრობელი

## ენდი მიურეიმ ერთ კვირაში უკვე მეორედ დასცა ფედერერი

დოხა. ყატარი. ექსმობილ ოუფენი
ჰარდი. საპრიზო 1 110 000 $

**ჩემპიონი: ენდი მიურეი**

გზად დაამარცხა:

**პირველი წრე**
ივან ნავარო 6:1 6:3

**მეორე წრე**
ფილიპ პეტშნერი 6:2 6:4

**მეოთხედფინალი**
სერგეი სტახანოვსკი 6:4 6:2

**ნახევარფინალი**
როჯერ ფედერერი 6:7(8) 6:2 6:2

**ფინალი**
ენდი როდიკი 6:4 6:2

**2008 წელს** პირველობადაკარგული როჯერ ფედერერი 2009 წელს კუთვნილის დაბრუნებას გეგმავდა, მაგრამ ჭაობში ჩავარდნილი ადამიანივით პირიქით, კიდევ მეტად ჩაიძირა. არავინ, და თავად ფედედერმაც არ უწყის, როგორ ჩააბარებს ის წლევანდელ გამოცდებს, მაგრამ მან უკვე ორჯერ მოასწრო ჩაჭრა და ორივეჯერ ბრიტ ენდი მიურეისთან. თითქოს ნადალი არ ეყოფოდა, შვეიცარიელს ახლა 21 წლის მიურეიც საშინელ დღეში აგდებს. რამდენიმე დღის წინ აბუ დაბის საჩვენებელ ტურნირში მასთან მარცხი იქნებ ძალიან არ ეტკინა, აი, მახლობელ ყატარში ეიტიპის ეგიდით გამართულ სუპერტურნირში მარცხმა კი ფედერერის უფორმობა და სერიოზული ნაკლოვანებები წარმოაჩინა. შვეიცარიელს აშკარად აკლია ფსიქოლოგიური მდგრადობა.

ტურნირის ბადემ როჯერი და მისი მახრჩობელა ნახევარფინალში გადაყარა ერთმანეთს. რეიტინგსის მეოთხე საფეხურზე მყარად ფეხმოკიდებული მიურეი თავიდანვე გოჯდაუთმობლად შეება ჩამოგდებულ მეფეს. ფედერერმა მე-11 გეიმში თითქმის გატეხა, როცა ორი ეისი ჩაუგდო და ლამის აართვა მოწოდება, მაგრამ მიურეიმ გაძლო, და სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა, რომელიც ისევ როჯერს დარჩა. თითქოს ეს ისევ ძველი, მხიარული როჯერი იყო. მაგრამ ზევით მისი ფსიქოლოგიური არამდგრადობა ვახსენეთ და მეორე სეტში სწორედ ამ პრობლემამ იჩინა თავი. მეექვსე გეიმში შვეიცარიელმა ვერ შეძლო მოწოდების შენარჩუნება და თანაბარ თამაშში სასწორის უფრო ახალგაზრდას მხარეს გადაიხარა. მერვე გეიმში მიურეიმ კიდევ ერთხელ წაართვა მოწოდება — ფედერერი უკვე გატეხილი იყო.

მეორე სეტი სულ რაღაც 31 წუთში მორჩა, მესამეში კი მიურეიმ საქმე აღარ გააჯანჯლა, თავიდანვე დააბრეიკა თავდაკარგული მეტოქე და ეს ხელიც წინას მსგავსად 6:2 მოიგეწა.



ფედერერი ცდილობდა, ნამატჩევს კომენტარებში მაინც შეენარჩუნებინა სიმშვიდე, 6 წლით უმცროს მეტოქეს გამარჯვება ტელევიზიის პირითაც მიულოცა და იმედი გამოთქვა — დიდი სლემის ტურნირებზე რომ შევხვდებით, იქ მე დამრჩება გამარჯვებაო. მაგრამ ჩოგბურთი ხომ მარტო ოთხი მეიჯორ-ტურნირი არაა. რეიტინგსია სხვა საშუალო ტურნირების შედეგებითაც ჯამდება და ასე წარამარა თუ დამარცხდება, ნადალისთვის პირველობის წართმევას როგორღა შეძლებს?

სხვათა შორის, ყატარული ტურნირი არც ნადალისთვის გამოდგა იღბლიანი. ესპანელმა ტიტულისთვის ბრძოლა ფედერერზე ადრე, მეოთხედფინალში შეწყვიტა, სადაც ბანალური — 4:6 4:6 ანგარიშით დათმო ფრანგ გაელ მონფილზთან. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, ნახევარფინალში ენდი როდიკმა მოუთავა ხელი, რომელიც ფინალში მიურეის შეერკინა და...

არა, მიურეი სეზონს მართლაც ფანტასტიკურად იწყებს. სპარსეთის ყურეში ამ ბრიტმა ორ კვირაში ალბათ მეტი ხეირი ნახა, ვიდრე ბრიტანულ-ამერიკულმა არმიამ ორ ომში. ხუმრობა იქით იყოს და ორი ვარსკვლავური ტურნირის მოგება მშვენიერი დასაწყისია.

**ვანო ძოზიაშვილი**

### რეიტინგსია

#### კაცები

| | | |
|---|---|---|
| 1 | რაფელ ნადალი (ესპანეთი) | 6 675 |
| 2 | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5 305 |
| 3 | ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 5 295 |
| 4 | ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 3 720 |
| 5 | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2 715 |
| 6 | ჯო ულფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 2 050 |
| 7 | ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 1 980 |
| 8 | ენდი როდიკი (აშშ) | 1 970 |
| 9 | ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ.) | 1 945 |
| 10 | ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1 775 |
| 11 | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1 725 |
| 12 | დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1 695 |
| 13 | სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1 510 |
| 14 | გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 1 475 |
| 15 | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1 420 |
| 16 | ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1 415 |
| 17 | რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 1 325 |
| 18 | ნიკოლას ალმარო (ესპანეთი) | 1 270 |
| 19 | იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 1 245 |
| 20 | ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1 215 |

#### ქალები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4 710 |
| 2 | სერენა უილიამსი (აშშ) | 3 866 |
| 3 | დინარა საფინა (რუსეთი) | 3 817 |
| 4 | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3 663 |
| 5 | ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3 457 |
| 6 | ვინუს უილიამსი (აშშ) | 3 272 |
| 7 | ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2 952 |
| 8 | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2 726 |
| 9 | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2 515 |
| 10 | აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2 286 |
| 11 | ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1 976 |
| 12 | კაროლინ ვოზნიაჩკი (დანია) | 1 678 |
| 13 | ფლავია პენეტა (იტალია) | 1 670 |
| 14 | პატიშ შნიდერი (შვეიცარია) | 1 590 |
| 15 | ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1 494 |
| 16 | ალის კორნე (საფრანგეთი) | 1 492 |
| 17 | მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1 410 |
| 18 | ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1 363 |
| 19 | დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1 337 |
| 20 | კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1 272 |

## დომინიკი და დომინიკა საფინზე და საფინაზე მაღლა

# ეს როგორ მოგვივიდა?!



დომინიკა ციბულკოვა და დომინიკ ჰრბატი

**მოულოდნელი** ამბავი შეემთხვათ დინარა და მარატ საფინებს. რუს და-ძმას დაგეგმილი ოქრო ჯიბიდან ამოაცალეს. საფინები ფავორიტებად ითვლებოდნენ ავსტრალიურ პერთში პარასკევს ჩამთავრებულ ჰოფმანის თასზე.

შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი გუნდური პრინციპით ტარდება, თითო ქვეყნის გუნდში თითო ქალ-ვაჟი თამაშობს ერთეულ და შერეულ წყვილთა მატჩებს. სულ კი ტურნირზე რვა გუნდია მიწვეული.

იმას ვამბობდით, და-ძმა საფინები გაუსაჩივრებელ ფავორიტებად ითვლებოდნენ-თქო. თავად შეხედეთ: ფინალში მათ სლოვაკთა წინააღმდეგ მოუხდათ თამაში და თავს წინასწარ გამარჯვებულად თვლიდნენ. სლოვაკთა წყვილში ქალი, დომინიკა ციბულკოვა მსოფლიო რეიტინგში მე-19 ჩოგანია და უძლიერესთა სიაში მხოლოდ ელენა იანკოვიჩსა და სერენა უილიამსს ჩამორჩენილ დინარა საფინას როგორ დაეზომება? უზარმაზარი იყო კაცებში სხვაობაც: დომინიკ ჰრბატი ადრე რიგიან ჩოგბურთელად ითვლებოდა, მაგრამ ბოლო ხანს კორტს ძველი სიხშირით და სიჩაუქით ველარ მოძრაობს და საერთოდ ამოვარდა რეიტინგის პირველი ასეულიდან. დღესდღეობით 250-ეა. მარატ საფინიც ვერაა ძველებურ ფორმაში, 29-ეა, მაგრამ ოდესღაც, ფედერერამდელ ეპოქაში, პირველობაც მოუსწრია, დიდი სლემის ორი ტურნირიც მოუგია და „რაღაც" ჰოფმანის თასი რა პრობლემად უნდა გახდომოდა? მით უმეტეს, რომ 2006 წელს ერთხელ უკვე მოეგო, ახლა კი მეტოქეებიც ვერ ჰყავდა შესაფერისი.

მაგრამ საფინები ბჭობდნენ, დომინიკები კი იცინოდნენ.

ფინალი ქალებმა გახსნეს. მანამდე ციბულკოვას მიჯრით ორგზის მძლეველი დინარა გასეირნების შეგრძნებით იქნევდა ჩოგანს და მეათე გეიმში გაძალიანებულ მეტოქეს ადრეულად ვერ მოუთავა ხელი, საქმე ტაიბრეიკამდე გაეწელა. მაგრამ მერყევი ფსიქოლოგიის მქონე დინარუშკამ ეს გაძალიანება ვერ აღიქვა ბუნებრივ გამაფრთხილებელ ნიშნად და პირველი სეტის მოგების შემდეგ კორტზე დაიძინა, ხოლო როცა გაიღვიძა, უკვე გვიანი იყო. ციბულკოვამ მეორე სეტი 6:1 მოუგო და ანგარიში გაუთანაბრა, რომელიც მერე კი გახელდა და ანერვიულდა კიდეც, მაგრამ მესამე დაგამწყვეტში ველარ შეატრიალა თამაში და ციბილკოვამ საეთო ანგაიშით 2:1 იმარჯვა.

იგივე შეემთხვა მარატ საფინსაც: მან პირველი სეტი ასევე ტაიბრეიკით მოიგო, მაგრამ ჰაიპარალო და ხეირიანად უვარჯიშებელმა რუსმა მერე ინიციატივა ჰრბატის დაუთმო და ასევე 1:2 დამარცხდა.



დინარა საფინა და მარატ საფინი

წყვილთა შეხვედრა აღარ გახდა საჭირო. გახარებულ სლოვაკებს თასს რომ გადასცემდნენ, ახმახი მარატი და მის მხარზე თავჩამოდებული დინარა გულდათუთქული ფიქრობდნენ — „ეს როგორ მოგვივიდა?!"

**ვანო ძოზიაშვილი**

ახლახანს ათენში ევროსაბჭოს კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტროთა წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ჩვენი ქვეყნიდან კონფერენციას კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის მრჩეველი **თამაზ თევზაძე** დაესწრო.

თამაზ თევზაძე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრია, თავის დროზე სპორტის მინისტრის მოადგილე და ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახლდათ. მისი ინიციატივით ხორციელდება საქართველოში „ფან ფუტბოლის" პროექტი... ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

კონფერენციას საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებიც, მათ შორის, უეფს პრეზიდენტი მიშელ პლატინიც დაესწრო. დელეგატებმა სამი ძირითადი საკითხი განიხილეს: ეთიკა სპორტში, სპორტის ავტონომია, არსებული პოლიტიკური გამოწვევები პანევროულ სპორტულ თანამშრომლობაში, რომლის ძირითადი თემაც დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა იყო და კონფერენციაზე ამ საკითხებთან დაკავშირებით რეზოლუციებიც მიიღეს...



# ევროპელები თუ ვართ...

— რა იგულისხმება სპორტის ავტონომიურობაში?

— აქ რამდენიმე ასპექტია. მაგალითად, სპორტი დიდად არის დამოკიდებული სპონსორთა თუ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამფინანსებლები წმინდა სპორტულ საკითხებში უნდა ჩაერიონ. ამასთანავე, სასურველია, რომ ქვეყნების კანონმდებლობა მაქსიმალურად ითვალისწინებდეს სპორტის ინტერესებს.

— **რადგან კონფერენციაზე ეს საკითხი დაისვა, გამოდის, რომ ავტონომიურობის პრობლემა არსებობს და აქტუალურია...**

— რა თქმა უნდა. თანაც ეს არ არის დღეს წამოჭრილი პრობლემა. ორი წლის წინ მოსკოვში გაიმართა მინისტრთა არაფორმალური შეხვედრა და სწორედ იქ ითქვა, რომ სპორტის ავტონომიურობა მომდევნო კონფერენციის საკითხი იქნებოდა. ამ ორი წლის განმავლობაში კი მუშაობა შესაბამის კომისიაში მიდიოდა.

— **კონფერენციას უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინიც ესწრებოდა. ფიფა და უეფა სხვა სპორტულ ორგანიზაციებთან შედარებით ყველაზე ავტონომიურები არიან...**

— სხვათა შორის, თავის დროზე დიდი ბრიტანეთის ინიციატივით „ევროპის სპორტის მიმოხილვა" მომზადდა. ამ 180-გვერდიან დოკუმენტში საკითხები სწორედ ფეხბურთის მაგალითზეა განხილული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ფეხბურთი ავტონომიურობითაც და სტრუქტურულადაც, ასე ვთქვათ, ყველაზე მოწესრიგებული სფეროა.

— **თუმცა ისიც გვახსოვს, რომ სწორედ ფეხბურთს ჰქონდა ყველაზე სერიოზული და გახმაურებული დაპირისპირება ევროპელ პოლიტიკოსებთან. „ბოსმანის საქმეს" ვგულისხმობ...**

— სხვადასხვა დოზით დაპირისპირება და აზრთა სხვადასხვაობა, ალბათ, ყოველთვის იქნება, მაგრამ ევროკავშირიც და სპორტული ორგანიზაციებიც მივიდნენ იმ აზრამდე, რომ თანამშრომლობა პრობლემების მოგვარების საუკეთესო გზაა და პლატინის მონაწილეობაც კონფერენციაში, ამის დასტურია...

მაგალითად, დღეს ძალიან აქტუალურია არასრულწლოვან ფეხბურთელთა მიგრაცია. ეს საკითხი უეფასთვისაც მნიშვნელოვანია და ევროპელი პოლიტიკოსებისთვისაც. აქედან გამომდინარე ყველა ხვდება, რომ თანამშრომლობა აუცილებელია.

— **რა გადაწყვეტილება მიიღო კონფერენციამ სპორტის ავტონომიასთან დაკავშირებით?**

— მიიღეს დადგენილება, რომელიც კითხვარების დაგზავნას ითვალისწინებს. მოგეხსენებათ, ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომ საჭიროა, რომ ეს განსხვავებები შესწავლილი და გათვალისწინებული იყოს. კითხვარიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

— **კონფერენციის ერთ-ერთი თემა სპორტის ეთიკაც იყო და ესეც განვმარტოთ. რა იგულისხმება ეთიკაში?**

— ეს არის დისკრიმინაციის, რასიზმის, არალეგალური ტოტალიზატორების, სპორტული ტრეფიკინგის პრობლემები.

— **რა სახის რეზოლუცია მიიღო კონფერენციამ ამასთან დაკავშირებით?**

— სახელმწიფოთა მთავრობებს ეთხოვათ, რომ დასჯადი გახადონ მსგავსი ტიპის გამოვლენები.

— **ამ პრობლემათაგან, ვთქვათ, საქართველოში, ყველა თანაბრად აქტუალური არ არის...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ ხომ თავს ევროპის ნაწილად ვთვლით და შესაბამისად, ყველა ეს საკითხი ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. ამათგან რომელიმე პრობლემა მომავალში ჩვენთან მწვავედ რომ დადგეს, მზად უნდა ვიყოთ. ანუ პრობლემათა პრევენციაც უნდა მოვახდინოთ და საკანონმდებლო ბაზაც გვქონდეს. ერთ ასეთ ამბავს გავიხსენებ. წლების წინ ერთ-ერთ კონფერენციაზე ვიყავი, რომელზეც ქსენოფობიასა და სხვა მსგავსი ტიპის პრობლემებზე იყო მსჯელობა. იქ ვთქვი, რომ საბჭოთა კავშირში ნაციონალური ნიშნით დისკრიმინაცია არსებობდა და მაგალითად საკავშირო ნაკრებები მოვიტანე. ევროპელებისთვის ეს სიახლე იყო და რეზოლუციაშიც ჩაწერეს, რომ სპორტულის გარდა, სხვა ნიშნით ნაკრებში სპორტსმენთა მიწვევა დაუშვებელი იყო. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ერთი კონკრეტული ქვეყნის პრობლემას ევროპა საერთო პრობლემად განიხილავს.

— **კონფერენციის თემა დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაც იყო...**

— დოპინგთან ბრძოლა კიდევ უფრო გამკაცრდება, თუმცა დაისვა პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის საკითხიც.

— **ანუ, სპორტსმენის დოპინგზე შემოწმება მის პირად ცხოვრებაში ჩარევას ნიშნავს?**

— არა, ასე არ არის. არსებობს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ქარტია, რომელიც განსაზღვრავს დოპინგ-კონტროლის ჩატარების მექანიზმს და პერიოდულობას. როცა პირად ცხოვრებაში ჩაურევლობაზე ითქვა, ამ პერიოდულობის დარღვევა იგულისხმებოდა. ანუ, სპორტსმენის ნებისმიერ დროს შემოწმება არ შეიძლება.

**გიორგი დარჯანია**

## რომელ უწყებას ექვემდებარება სპორტი ევროპის ქვეყნებში

საქართველოში, მოგეხსენებათ, სპორტს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო განაგებს. ასეა, ევროპის უმეტეს ქვეყნებშიც, თუმცა შიგადაშიგ, ცოტა არ იყოს, უცნაური გამონაკლისებიც გვხვდება. ასე მაგალითად, გერმანიაში სპორტი შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაშია, ხოლო ლუქსემბურგში საგარეო ვაჭრობასთან არის გაერთიანებული. მეორე მხრივ კი, ვინ იტყვის, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი სპორტის საკითხებს კარგად ვერ უძღვებაო...

ავსტრია: საზოგადოებისა და სპორტის ფედერალური კანცელარია

აზერბაიჯანი: ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო

ალბანეთი: კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო

ანდორა: განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო

ბელორუსია: სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო

ბელგია: ბიუჯეტის, ფინანსების, საზოგადოებრივი ადმინისტრაციისა და სპორტის სამინისტრო

ბოსნია-ჰერცოგოვინა: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ბულგარეთი: მინისტრთა საბჭოსთან არსებული ახალგაზრდობისა და სპორტის სახელმწიფო სააგენტო

გერმანია: შინაგან საქმეთა სამინისტრო

დანია: კულტურის სამინისტრო

დიდი ბრიტანეთი: კულტურის, საინფორმაციო საშუალებებისა და სპორტის დეპარტამენტი

ესპანეთი: სპორტის უმაღლესი საბჭო, განათლების, სოციალურ საკითხთა და სპორტის სამინისტრო

ესტონეთი: კულტურის სამინისტრო

ვატიკანი: სახელმწიფო სამდივნო

თურქეთი: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

ისრაელი: განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ისლანდია: კულტურისა და განათლების სამინისტრო

იტალია: მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი, სახელმწიფო მდივანი

კვიპროსი: სპორტულ ორგანიზაციათა სამინისტრო

ლიხტენშტაინი: კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ლატვია: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ლიტვა: ფიზიკური განათლებისა და სპორტის დეპარტამენტი

ლუქსემბურგი: ეკონომიკის, საგარეო ვაჭრობისა და სპორტის სამინისტრო

მაკედონია: ახალგაზრდობისა და სპორტის სააგენტო

მალტა: ახალგაზრდობისა და სპორტის საპარლამენტო სამდივნო

მოლდოვა: განათლების სამინისტრო

მონაკო: საგარეო ურთიერთობათა გენერალური სამდივნო

ჩერნოგორია: კულტურის, სპორტისა და საინფორმაციო საშუალებების სამინისტრო

ნორვეგია: კულტურისა და საეკლესიო საქმეთა სამინისტრო

პოლონეთი: სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო

პორტუგალია: ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო

რუმინეთი: ეროვნული სპორტული სააგენტო

რუსეთი: სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საბერძნეთი: კულტურის სამინისტრო

სან მარინო: კომუნიკაციის, ტრანსპორტის, ტურიზმისა და სპორტის სამინისტრო

საფრანგეთი: ჯანმრთელობის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო

საქართველო: კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

სერბეთი: ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო

სომხეთი: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

სლოვაკეთი: განათლების სამინისტრო

სლოვენია: განათლებისა და სპორტის სამინისტრო

უნგრეთი: ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო

ფინეთი: განათლების სამინისტრო

შვედეთი: კულტურის სამინისტრო

შვეიცარია: სპორტის ფედერალური საბჭო

უკრაინა: ახალგაზრდობის, სპორტისა და ოჯახის სამინისტრო

ჩეხეთი: განათლების, ახალგაზრდობისადა სპორტის სამინისტრო

ხორვატია: განათლებისა და სპორტის სამინისტრო

ჰოლანდია: ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტრო

ჩოგბურთი

# ჩიხლაძემ ერთიც დათმო და მეორეც



**ლადო ჩიხლაძემ** ახალი სეზონი მარცხით დაიწყო. გერმანულ შვაიდენბირგენში 10 ათას დოლარიან ტურნირზე ლადომ ძირითად ბადეში ითამაშა, თუმცა პირველივე წრეში ხორვატ ანტე ნაკიჩი ალფირევიჩთან 3:6 6:7 დამარცხდა.

ჩიხლაძე წყვილებშიც ჩოგნაობდა და ლატვიელ ლეინიექსთან ერთად უკვე ნახსენებ ხორვატ ჩოგბურთელს და მის თანამემამულეს 6:2 6:4 კი მოუგო მეოთხედფინალში, მაგრამ მერე მეორე ნომრად განთესილ ლატვიელ იუშკასთან და ჩეხ როსოლთან 3:6 4:6 დამარცხდა.

**ლევან მაისურაძე**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დღეს ბატონი შენ ხარ

## კვირიდან კვირამდე

**6 იანვარი**

შარლოტი 114:106 ბოსტონი
ორლანდო 89:80 ვაშინგტონი
ფილადელფია 104:96 ჰიუსტონი
ოკლაჰომა 107:99 ნიუ იორკი
მემფისი 87:94 მინესოტა
ჩიკაგო 99:94 საკრამენტო
დალასი 107:102 კლიპერსი
ლეიკერსი 105:116 ნიუ ორლეანი

**7 იანვარი**

კლივლენდი 111:81 შარლოტი
ატლანტა 102:106 ორლანდო
ვაშინგტონი 93:99 ტორონტო
ნიუ ჯერსი 100:89 მემფისი
ბოსტონი 85:89 ჰიუსტონი
მინესოტა 129:87 ოკლაჰომა
მილუოკი 105:110 ფილადელფია
დენვერი 108:97 მაიამი
იუტა 116:90 ნიუ ორლეანი
ფენიქსი 110:113 ინდიანა
პორტლენდი 84:83 დეტროიტი
გოლდენ სტეიტი 106:114 ლეიკერსი

**8 იანვარი**

დალასი 99:94 ნიუ იორკი
სან ანტონიო 106:84 კლიპერსი

**9 იანვარი**

ორლანდო 121:87 ატლანტა
ფილადელფია 93:87 შარლოტი
ტორონტო 103:82 მემფისი
კლივლენდი 98:83 ბოსტონი
ნიუ ორლეანი 107:80 კლიპერსი
ოკლაჰომა 96:98 ჰიუსტონი
ჩიკაგო 98:86 ვაშინგტონი
მილუოკი 104:102 ნიუ ჯერსი
დენვერი 90:93 დეტროიტი
საკრამენტო 115:119 მაიამი
ძირითადი დრო 104:104
ლეიკერსი 121:119 ინდიანა
ფენიქსი 128:100 დალასი

**10 იანვარი**

ვაშინგტონი 89:92 შარლოტი
მინესოტა 106:104 მილუოკი
ჩიკაგო 98:109 ოკლაჰომა
ძირითა დრო 94:94
ჰიუსტონი 96:76 ნიუ იორკი
იუტა 99:82 დეტროიტი
პორტლენდი 113:100 გოლდენ სტეიტი

## ლიგის ლიდერები

**ქულა**

| | | |
|---|---|---|
| დუეინ უეიდი (მაიამი) | 9.01 | 41 |
| დევიდ ვესტი (ნიუ ორლეანი) | 6.01 | 40 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 6.01 | 39 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 4.01 | 39 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 9.01 | 38 |
| დენი გრეინჯერი (ინდიანა) | 7.01 | 37 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 9.01 | 36 |
| დენი გრეინჯერი (ინდიანა) | 5.01 | 36 |
| კევინ მარტინი (საკრამენტო) | 5.01 | 36 |
| მაიკლ რედი (მილუოკი) | 5.01 | 35 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 6.01 | 34 |
| პაუ გასოლი (ლეიკერსი) | 7.01 | 33 |
| მაიკლ რედი (მილუოკი) | 10.01 | 32 |
| კრის ბოში (ტორონტო) | 9.01 | 32 |
| რენდი ფოი (მინესოტა) | 7.01 | 32 |
| ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი) | 7.01 | 32 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 6.01 | 32 |
| ერიკ გორდონი (კლიპერსი) | 6.01 | 32 |

**მოხსნა**

| | | |
|---|---|---|
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 4.01 | 20 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 7.01 | 19 |
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 6.01 | 19 |
| პაუ გასოლი (ლეიკერსი) | 7.01 | 18 |
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 9.01 | 17 |
| ანდრის ბიედრინში (გ. სტეიტი) | 7.01 | 17 |

**პასი**

| | | |
|---|---|---|
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 6.01 | 15 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 5.01 | 15 |
| ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 9.01 | 14 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 9.01 | 13 |
| რაჯონ რონდო (ბოსტონი) | 9.01 | 13 |

**ჩაჭრა**

| | | |
|---|---|---|
| დენი გრეინჯერი (ინდიანა) | 10.01 | 4 |
| აარონ ბრუქსი (ჰიუსტონი) | 10.01 | 4 |

**დაფარება**

| | | |
|---|---|---|
| ბრუკ ლოპესი (ნიუ ჯერსი) | 7.01 | 5 |
| კევინ გარნეტი (ბოსტონი) | 4.01 | 5 |

### კვირის მატჩი

6 იანვარი. ლოს ანჯელესი

**ლეიკერსი 105:116 ნიუ ორლეანი**

**26:32 30:29 36:28 13:27**

**ლეიკერსი:** ფიშერი (19), ბრაიანტი (39), რადმანოვიჩი (3), გასოლი (10), ბაინამი (7); ოდომი (12), არიზა (8), ვუიაჩიჩი (5), პაუელი (2)

**ნიუ ორლეანი:** პოლი (32 ქულა, 15 პასი), ბატლერი (10), სტოიაკოვიჩი (6), ვესტი (40 ქულა, 11 მოხსნა), ჩანდლერი (12); პოუზი (7), ბრაუნი (5), არმსტრონგი (4), ელი, დანიელსი



„ლეიკერსის" დამაქცევარი დევიდ ვესტი

**შარშან,** მაგრამ არცთუ დიდი ხნის წინ, 25 დეკემბერს, „ლეიკერსმა" შინ დასცა ძველი მეტოქე „ბოსტონი" და ზედიზედ მოგებათა 19-მატჩიანი სერია შეაწყვეტინა. მოქმედ ჩემპიონზე იმ წაგებამ ისე იმოქმედა, რომ მანამდე უძლეველმა მომდევნო ორ კვირაში კიდევ ხუთი თამაში დათმო.

ახლა კი „ლეიკერსსაც" გამოუჩნდა მჯობნი. ლოსანჯელესელებმა ბოლო 16 შინაური თამაშიდან 6 იანვარს პირველი წააგეს.

ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, რომ „ლეიკერსისთვისაც" ისევე დამთრგუნველი იქნება ამდენი მოგების შემდეგ წაფორხილება, მაგრამ ფაქტია: „ნიუ ორლეანმა" მაგრად გაამწარა კობი ბრაიანტის გუნდი.

„ლეიკერსს" ჰყავს გასული სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, ბოლო წლებში მოძლიერებული „ნიუ ორლეანი" კი მომავალ უძვირფასესს, 23 წლის სუპერგამთამაშებელ კრის პოლს ეყრდნობა, რომელიც შარშანდელ გამოკითხვაში მხოლოდ ბრაიანტს ჩამორჩა. 6 იანვარს ბრაიანტი მართლაც უძვირფასესის შესაფერისად თამაშობდა, პოლი მასზე უკეთესი იყო, მაგრამ ორივეს აჯობა „ნიუ ორლეანის" მძიმე ფორვარდმა დევიდ ვესტმა, რომელმაც 40 ქულა მოიხვეჭა და კარიერის რეკორდი გაიმეორა.

საზოგადოდ, მატჩი ღია და სანახაობრივი გამოვიდა. ორივე გუნდი შეტევაში უფრო იხარჯებოდა, ვიდრე დაცვაში და მესამე მეოთხედის შემდეგ ანგარიში 92:89 გახლდათ. ბრაიანტს გადამწყვეტი მეოთხედის წინ 16 სროლიდან 13 ჩაეგდო, ამასთან, ექვსივე სამქულიანი ზუსტად ეტყორცნა და 37 ქულით იწონებდა თავს, მაგრამ დაიწყო ბოლო პერიოდი და, საკალათბურთო ტერმინი რომ ვიხმაროთ, მას ხელებზე დაასხდნენ. ნიუორლეანელმა „კრაზანებმა" პირველებმა მოუჭირეს დაცვას და გამარჯვების გასაღებიც ეს აღმოჩნდა. ბრაიანტმა 12 წუთში მხოლოდ 2 ქულა გააზერხა. ამასობაში კი დევიდ ვესტი თავდაუზოგავად ბომბავდა მისი გუნდის კალათას. ზორბა ნიუორლეანელმა თავისი ოთხი ათეული ქულიდან 15 ამ დროს გააზერხა და „ლეიკერსს" პირადად აჯობა 15:13.

„სამი მეოთხედი ყველაფერი იდეალურად მიმდიოდა და გული ცუდს მიგრძნობდა, უნდა მივხვედრილიყავით, რომ აღარ მასროლინებდნენ" — შუბლს იჭმუხნიდა ბრაიანტი. ცხადია, წაგება უსიამო რამეა, მით უფრო, რომ „კობი და კო" მოგებას ასე არიან მიჩვეულები. თუმც ამ მარცხმა ვერ შეუერყია პოზიცია „ლეიკერსს", რომელიც მაინც უზარმაზარი უპირატესობით ლიდერობს დასავლეთში.

### სხვა გამორჩეული მატჩები

9 იანვარი. კლივლენდი

**კლივლენდი 98:83 ბოსტონი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (38), ვარეჟაო (14), უილიამსი (13), გიბსონი (10)

**ბოსტონი:** გარნეტი (18 ქულა, 15 მოხსნა), პერკინსი (13), რ. ალენი (12), პირსი (11), რონდო (5 ქულა, 13 მოხსნა)

**„კლივლენდმა"** შინ ზედიზედ მე-19 გამარჯვება მოიპოვა და შეინარჩუნა საკუთარ მოედანზე დაუმარცხებელის სახელი, თუმც ეს გამარჯვება სულაც არ იყო რიგითი. ლებრონ ჯეიმსმა და მისმა გუნდმა მაგრად შეარცხვინეს ჩემპიონი „ბოსტონი", რომელიც ბოლო ხანს მხოლოდ წაგებებს ახერხებს და ზედიზედ მეოთხე თამაში დათმო. თავად ლებრონი ულაპარაკოდ საუკეთესო იყო, 38 ქულიდან 23 მეორე ტაიმში გააკეთა და ერთ ეპიზოდში „კავალერია" 20 ქულით მოსწყვიტა ანგარიშარეულ ჩემპიონს.

9 იანვარი. დენვერი

**დენვერი 90:93 დეტროიტი**

**დენვერი:** ბილაფსი (30), ილარიო (15), მარტინი (14)

**დეტროიტი:** აივერსონი (23), პრინსი (19), აფლალო (17)

**ორივე** გუნდს აკლდა თითო ბომბარდირი — მასპინძლებს კარმელო ენტონი, სტუმრებს კი რიპ ჰემილტონი და ზედაც ტოპ-რეზერვი ანტონიო მაკდაიესი. მაგრამ ამ თამაშში მათი არყოფნა მტკივნეულად არავის ალუქვამს. ინტრიგა სულ სხვაგან ბუდობდა: ეს გუნდები ერთმანეთს პირველად შეეჯახნენ ერთმანეთს ალენ აივერსონისა და ჩონსი ბილაფსის ხმაურიანი გაცვლის შემდეგ.

იმ გაცვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ორივე გუნდში. აივერსონი იდეალურად როდი შეეწყო „დეტროიტს", პირიქით დაწყობილ გუნდში შეიტანა ყველასთვის იოლად შესამჩნევი არეულობა. ბილაფსი კი პირიქით, „დენვერის" ულაპარაკო ლიდერად იქცა და დასავლეთში ერთ-ერთ საუკეთესოდ აქცია. „დეტროიტის" ყოფილმა კაპიტანმა და 2004 წლის ფინალის უძვირფასესმა მოთამაშემ ძველ თანაგუნდელებს 30 ქულა აგემა, მაგრამ საერთო ლოგიკის საწინააღმდეგოდ მაინც ის გამოვიდა წაგებული. აივერსონმა არასტაბულირი თამაში (18 სროლიდან 12 გააფუჭა) პრინციპული შეხვედრის მოგებით გადაწონა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## NBAმბები

### მარჯვენა ხელმა მარცხენა აჯობა

**„დენვერის"** ლიდერი კარმელო ენტონი დაშავდა და კალათბურთს სამი კვირით ჩამოშორდა. ენტონიმ „ინდიანასთან" მატჩში მარჯვენა ხელი იტკინა, რენტგენმა კი თითის მოტეხილობა დაუდგინა. „ექიმებმა მითხრეს, რომ სამი კვირა ვერ ვითამაშებ. შესაძლოა, ერთი თვეც გამიცდეს. ოპერაციაზე უარი ვთქვით, რადგან რეაბილიტაცია მეტ დროს წაიღებდა. ტრავმა ძალიან განვიცადე, თუმც ახლა საშუალება მაქვს, მარცხენა ხელით სროლებზე ვიმუშაო" — თქვა ენტონიმ.

### მთვრალი საჭესთან

**„ფინიქსის"** მსროლელი ჯეისონ რიჩარდსონი სასამართლოს წინაშე წარსდგება. კალათბურთელი მანქანის მთვრალ მდგომარეობაში მართვისთვის დააკავეს. მას ორგანიზმში ალკოჰოლის დონე 0,08 პრომილე აღმოაჩნდა. სასამართლოს ჩატარების თარიღი ჯერ დაზუსტებული არ არის.

### შუქი რომ აენთო...

**ნბა-ს** 2006 წლის ჩემპიონი, მაიამელი ანტუან უოკერი საჭესთან მთვრალი დააკავეს. პოლიციას ეჭვი იმან გაუჩინა, რომ უოკერი ღამით ჩამქრალი ფარებით დააგელვებდა მანქანას. პოლიციელთა განცხადებით, მთვრალ კალათბურთელს საჭესთან პრაქტიკულად ეძინა. ანტუან უოკერს სამჯერ უთამაშია „ოლ სტარში", ჩემპიონი კი, „მაიამის" გარდა „ბოსტონშიც" გამხდარა.

## აღმოსავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ბოსტონი | 29 | 9 | 76,3 | 18-2 | 11-7 | 4 წაგ | 3-7 |
| ნიუ ჯერსი | 18 | 19 | 48,6 | 8-12 | 10-7 | 1 წაგ | 5-5 |
| ფილადელფია | 16 | 20 | 44,4 | 9-8 | 7-12 | 3 მოგ | 4-6 |
| ტორონტო | 16 | 21 | 43,2 | 8-9 | 8-12 | 2 მოგ | 6-4 |
| ნიუ იორკი | 13 | 22 | 37,1 | 8-8 | 5-14 | 3 წაგ | 2-8 |
| **ცენტრალური** | | | | | | | |
| კლივლენდი | 29 | 6 | 82,9 | 19-0 | 10-6 | 2 მოგ | 8-2 |
| დეტროიტი | 22 | 13 | 62,9 | 12-5 | 10-8 | 1 წაგ | 8-2 |
| მილუოკი | 18 | 21 | 46,2 | 11-6 | 7-15 | 1 წაგ | 5-5 |
| ჩიკაგო | 16 | 21 | 43,2 | 12-6 | 4-15 | 1 წაგ | 3-7 |
| ინდიანა | 13 | 23 | 36,1 | 7-9 | 6-14 | 1 წაგ | 4-6 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ორლანდო | 29 | 8 | 78,4 | 16-3 | 13-5 | 3 მოგ | 8-2 |
| ატლანტა | 22 | 13 | 62,9 | 15-3 | 7-10 | 2 წაგ | 7-3 |
| მაიამი | 19 | 16 | 54,3 | 12-6 | 7-10 | 1 მოგ | 6-4 |
| შარლოტი | 14 | 24 | 36,8 | 10-12 | 4-12 | 1 მოგ | 5-5 |
| ვაშინგტონი | 7 | 29 | 19,4 | 5-14 | 2-15 | 4 წაგ | 3-7 |

## დასავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | | | | | |
| სან ანტონიო | 24 | 11 | 68,6 | 14-6 | 10-5 | 4 მოგ | 9-1 |
| ნიუ ორლეანი | 22 | 11 | 66,7 | 12-4 | 10-7 | 1 მოგ | 6-4 |
| ჰიუსტონი | 24 | 15 | 61,5 | 12-4 | 12-11 | 3 მოგ | 5-5 |
| დალასი | 22 | 14 | 61,1 | 12-6 | 10-8 | 1 წაგ | 7-3 |
| მემფისი | 11 | 26 | 29,7 | 9-11 | 2-15 | 3 წაგ | 2-8 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| დენვერი | 25 | 13 | 65,8 | 14-5 | 11-8 | 1 წაგ | 7-3 |
| პორტლენდი | 22 | 14 | 61,1 | 14-4 | 8-10 | 2 მოგ | 6-4 |
| იუტა | 22 | 15 | 59,5 | 15-4 | 7-11 | 3 მოგ | 6-4 |
| მინესოტა | 11 | 25 | 30,6 | 6-12 | 5-13 | 5 მოგ | 7-3 |
| ოკლაჰომა | 6 | 32 | 15,8 | 4-16 | 2-16 | 1 მოგ | 3-7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლეიკერსი | 29 | 6 | 82,9 | 19-2 | 10-4 | 2 მოგ | 8-2 |
| ფინიქსი | 20 | 13 | 60,6 | 11-7 | 9-6 | 1 მოგ | 7-3 |
| გოლდენ სტეიტი | 10 | 28 | 26,3 | 6-8 | 4-20 | 5 წაგ | 2-8 |
| კლიპერსი | 8 | 28 | 22,2 | 3-14 | 5-14 | 10 წაგ | 0-10 |
| საკრამენტო | 8 | 29 | 21,6 | 6-12 | 2-17 | 5 წაგ | 1-9 |

კალათბურთი

# 2 დაფარება თურმე 18 მილიონი ღირს



ნბა-ში ახალი სკანდალი ტრიალებს, ჰელოუინით — „პორტლენდი“ დარიუს მაილზის წინააღმდეგ!

მაილზი 27 წლის კალათბურთელია, რომელიც ბოლოს „პორტლენდში“ თამაშობდა, მაგრამ 2006 წელს მუხლის უმძიმესი ტრავმის გამო კარიერის დასრულება მოუხდა. ოდესღაც ის ზეპერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა და უკანასკნელ კლუბთან მულტიმილიონიანი კონტრაქტი აკავშირებდა... 2010 წლამდე. ძაღლის თავიც აქაა დამარხული და მხარეებმა მის ამოთხრაზე რომ დაიწყეს დავა, სკანდალიც მას მერე აგორდა.

მაილზმა ორი წელი იმკურნალა და 2008 წლის შემოდგომას გადაწყვიტა დაბრუნება. ნბა-ს კანონების თანახმად, მას ხელფასი ძველმა გუნდმა უნდა უხადოს. განა ცოტაა? მარტო 2008-09 სეზონში 18 მილიონი ერგება, თუკი სულ მცირე 10 თამაშს ჩაატარებს ლიგის ნებისმიერ გუნდში. მაილზი გუნდიდან გუნდში დადის და ფულას სთხოვს თუნდაც დროებით თავშესაფარს. ამასობაში უკვე მოაგროვა 8 თამაში. „პორტლენდის“ გულის გასახეთქად რჩება მხოლოდ ორი მატჩი და 18 მილიონი მაილზისაა!

იოლი 18 მილიონის მაძიებელმა კალათბურთელმა თავიდან „ბოსტონს“ მიაშურა და თითქმის ჩაჯდა ამ გუნდის ძირითადში, მაგრამ მხოლოდ 6 საგამოფენო თამაშის ჩატარება მოასწრო, მერე კი „ბოსტონმა“ „პორტლენდის“ ზეწოლით გაუშვა. კარგა ხანი არავის აყვანდა, სულ ახლახანს კი „მემფისმა“ ორ თამაშში შეუშვა ჯამში 9 წუთით და მაილზმაც 2 დაფარება გააკეთა, მაგრამ ამ გუნდმაც დაითხოვა. ახლა „კლივლენდი“ უტრიალებს, რაც უნდა იყოს, ძალიან კარგი მოთამაშეა.

„პორტლენდი“ კი ამასობაში სულ გადაირია. მისმა პრეზიდენტმა ლარი მილერმა ულტიმატუმების წერილები დააგზავნა ყველა კლუბში — ვინც მაგ ბიჭს ხელს მოკიდებს, მასთან ყველანაირ სამომავლო ურთიერთობას გავწყვეტთო.

გაგრძელება აუცილებლად იქნება.

**ირაკლი ფირაშვილი**

ქართული ლეგიონი გასულ კვირაში

# ფაჩულიას გნიპმა ორლანდო გაუცდინა

**ბაციების** გამო აგერ უკვე ორი მატჩია ვერ თამაშობს ზაზა ფაჩულია. მისმა „ატლანტამ“ კი მიჯრით ორი მატჩი ლონიერ „ორლანდოსთან“ წააგო. ჯორჯიელები „მეჯიქს“ ჯერ შინ დაუხვდნენ და ბრძოლაც გაუმართეს — 102:106. თუმცა საპასუხო მატჩში მოედანი 34-ქულიანი მარცხით თავდახრილებმა დატოვეს.

ესტონეთში „ტარტუ როკმა“ „კალევს“ ჩააკითხა და კარგი გაკვეთილიც ჩაუტარა — 103:83 მოუგო. ჩვენებურმა გიორგი ცინცაძემ გულუხვობა გამოიჩინა, მართალია თვითონ 5 ქულას და 2 მოხსნას დასჯერდა, მაგრამ თანაგუნდელებს 9 პასი ჩამოურიგა. სარგებლიანი იყო ვიქტორ სანიკიძეც 18 წუთში 13 ქულა და 6 მოხსნა გააზერხა.

ჩემპიონატისგან განსხვავებით ესტონელებმა ევროჩელენჯზე ვერ ივარგეს და იტალიაში „ვირტუსთან“ 85:95 წააგეს. სანიკიძეს არ უთამაშია. ცინცაძე კი 23 წუთში 2 ქულას, 5 პასს, 1 მოხსნას და 1 ჩაჭრას დასჯერდა. მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევს“ კი ორივე ფრონტზე ხელი მოეცარა. კიეველები შინაურ ჩემპიონატში „აზოვმაშთან“ სტუმრად 75:77 დამარცხდნენ. მეტოქე თავიდანვე დაწინაურდა და ტაიმი 46:35 მოიგო. მარკოიშვილი კი 18 წუთში 4-4 ქულას და მოხსნას დასჯერდა.

ევროჩენჯზე კი „კალევთან“ 76:82 წაგებულ თამაშში მარკოიშვილი 37 წუთში 10 ქულას, 4 მოხსნას, 2 პასს და 1 ჩაჭრას გამორჩა. წაგების მიუხედავად ბოლო ტურში შინ გერმანულ „სკაილანერს“ უნდა მოუგონ.

იგივე მდგომარეობაშია ესპანური „კახოსოლი“. ტაირონ ელისის გუნდმა ბელგიაში „ლიეჟთან“ 62:69 წააგო და ახლა ჯგუფიდან გასასვლელად საკუთარ მოედანზე ლატვიური „ვენტსპილის“ დამარცხება მართებს. ელისმა 30 წუთში 5 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი გააკეთა.

**ნიკა ქოპაძე**

# კეთილი მოხუცი



იყო და... იყო, იყო. ჩვენი თაობის ჟურნალისტებმა დროული, მაგრამ მხნე ადამიანი გავიცანით ოდესღაც. დრო მიდიოდა, ჩვენც წლები გვეტყობოდა, მაგრამ კეთილი მოხუცი არ იცვლებოდა. სალამს ვერ დაასწრებდი, ღიმილიანი სახით დადიოდა განუყრელ „მეგობარ“ ფოტოაპარატთან ერთად. აჩხაკუნებდა ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე...

როგორც ყველას ამქვეყნად, ალბათ, მასაც ბევრი რამ აწუხებდა, მაგრამ თითქმის არავის გვახსოვს მოწუწუნე და მოწყენილი.

**ელდარ მალხაზიშვილი** აწი ვერაფერს გადაიღებს. ასეთია ცხოვრების წესი, მაგრამ უფრო ძველ და ჩვენი თაობის ჟურნალისტებს არასდროს დაგვავიწყდება დროული და ენერგიული კეთილი მოხუცი.

ჭადრაკი

# ნონა ბრუნდება



**ნონა გაფრინდაშვილი** 19 წლიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ჩემპიონატზე ითამაშებს...

ხუთ გზის მსოფლიოს ჩემპიონი 16-28 იანვარს ჭადრაკის სასახლეში გასამართ ეროვნულ პირველობაზე გამოვა. პირველობაზე 12 მოჭადრაკე ითამაშებს. გაფრინდაშვილის გარდა ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ: სოფო გვეტაძე, მარიამ დანელია, სოფო გურამიშვილი, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, სალომე მელია, ნინო ხურციძე, ნაზი პაიკიძე, მირანდა მიქაძე, მერი არაბიძე და ქეთი წაწალაშვილი.

12 მოჭადრაკეს შორის უნდა ყოფილიყო რამდენიმე სხვა მოჭადრაკე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ გამოვლენ ჩემპიონატში.

მაია ჩიბურდანიძე ისვენებს, ანა მათნაძე ბარსელონაშია, ლელა ჯავახიშვილი ბავშვს ელოდება, ხოლო ნანა ძაგნიძე გიბრალტარის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე აპირებს თამაშს. ეს ტურნირი შიდა პირველობას ემთხვევა.

# ქართული სამეული ესპანეთში

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დასრულდა „ჭადრაკი-მშვიდობის ელჩი“-ს ჩემპიონატი 20-წლამდელ გოგონებსა და ვაჟებს შორის.

მთავარი პრიზი ბარსელონას საჭადრაკო კლუბ „პეონა იპეოას“ სამი საგზური იყო. კატალონიურ კლუბში თამაშის უფლება ჩემპიონმა ლევან ბრეგვაძემ (6 ქულა), გოგონათა შორის გამარჯვებულმა სოფო გურამიშვილმა (4,5 ქულა) და ნათია ჯალაბაძემ მოიპოვეს. ამ უკანასკნელს 2250-ზე ნაკლებ რეიტინგიან მოჭადრაკეთა შორის უკეთესი შედეგი ჰქონდა — 4,5.

ეს სამეული ესპანეთის სეგუნდადივიზიონში ითამაშებს, ტურნირი კი 1 თებერვალს დაიწყება და ორ თვეს გასტანს. ესპანეთის საკლუბო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ კი ქართველი მოჭადრაკეები კანარის კუნძულზე გადაინაცვლებენ და საერთაშორისო ტურნირში თამაშებენ.

სამბო



ოლეგ იაძე





გიორგი გოგუაძე

# სპორტი და პოლიტიკა

## მღვრთნელის სიტყვამ სამბოს პრეზიდენტი დააკარგინა

**სამბოს** ფედერაცია პრეზიდენტმა გიორგი გოგუაძემ დატოვა. ნაკრების ხელმძღვანელები და ფედერაციის წარმომადგენლები გულმოდგინედ კი ცდილობდნენ გოგუაძე დარჩენაზე დაეყოლიებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. პრეზიდიუმის რიგგარეშე სხდომას 27-დან 20 დელეგატი დაესწრო და გოგუაძის თხოვნა გადადგომაზე ერთხმად დააკმაყოფილა. შეგახსენებთ, გიორგი გოგუაძე „სახალხო ბანკის“ ყოფილი პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტის დეპუტატია.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და ნაკრების თავკაცმა ოლეგ იაძემ კი ეს თქვა: „აგვისტოში განვითარებული მოვლენების გამო რუსეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი გამოვტოვეთ. მაშინ ვთქვი, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთთან კავშირში არ უნდა ყოფილიყო. იმ დროს გოგუაძეს არაფერი უთქვამს, თუმც გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ მისი გადადგომის მიზეზი სწორედ ჩემი განცხადება ყოფილა“.

ნაკრების თავკაცმა გოგუაძეს გაწეული მუშაობისთვის მადლობაც გადაუხადა. ხოლო რიგგარეშე ყრილობა 5 მარტს ჩატარდება. მანამდე კი კანდიდატი უნდა მოიძებნოს, ვინც სამბოს კვლავ დაუდგება მხარში. იაძემ იმედი გამოთქვა, რომ სამბოს რუსეთში მცხოვრები ქართველები დააფინანსებენ, ანაც ჩვენ ქვეყანაში მოსაქმე რუსული კომპანიები.

ოლეგ იაძემ არც ის გამორიცხა, რომ სამბოს ფედერაცია, შესაძლოა, სულაც დაიშალოს.

**ნიკა ქოპაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გავიხედე, გამოვიხედე, ანუ ჩვენთან მუდამ კრიზისია...

სეზონის ნახევარი უკანაა. ესპანურმა „ელ მუნდო დეპორტივომ“ სეზონის პირველ ნახევარში ფეხბურთელ-მწვრთნელ-ჩინოვნიკთა საინტერესო გამონათქვამები შეკრიბა და გამოაქვეყნა...



ბერნდ შუსტერის გაშვებამდე რამდენიმე დღით ადრე რამონ კალდერონი ამბობდა, კატასტროფა უნდა მოხდეს, რომ გავათავისუფლოო

**ბერნდ შუსტერი**, „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი (1 სექტემბერი): „სათადარიგოთა სკამის ჯერ ერთ მხარეს გავიხედე, მერე მეორე მხარეს და სამწუხაროდ, ვერც ერთი თავდამსხმელი ვერ აღმოვაჩინე“.

**პრედრაგ მიატოვიჩი**, „რეალის“ სპორტული დირექტორი (17 სექტემბერი): „კრიშტიანუ რონალდუს და დავიდ ვილიას გარეშეც მშვენივრად ვთამაშობთ“.

**ფაბიო კანავარო**, „რეალის“ მცველი (20 ოქტომბერი): „გაოგნებული ვარ, რატომ არ აქვთ სანტი კასორლას და დავით ვილიას ამბიცია? რატომ არ სურთ „რეალში“ გადმოსვლა?“

**ბერნდ შუსტერი** (28 ნოემბერი): „ჯერ არ ვიცით, ვის ვიყიდით. საშობაო საჩუქრებს დროზე ადრე არ ხსნიან“.

**რამონ კალდერონი**, „რეალის“ პრეზიდენტი (2 დეკემბერი): „კატასტროფა თუ არ მოხდა, ბერნდ შუსტერი „რეალს“ მწვრთნელად დარჩება“.

**ბერნდ შუსტერი**, (7 დეკემბერი): „ბარსელონას“ „კამპ ნოუზე“ დამარცხება ამ წუთას შეუძლებელია“.

**იოზეფ ბლატერი**, ფიფას პრეზიდენტი (5 ივნისი): „ფეხბურთში მონათმფლობელობის თანამედროვე ფორმებია გაბატონებული. კრიშტიანუ რონალდუ ამის მაგალითია“.

**ალექს ფერგიუსონი**, „მანჩესტერის“ მწვრთნელი (25 ნოემბერი): „კარლოს ტევესი უნდათ? ჩვენ უკვე შევეგუეთ „რეალის“ ხუმრობებს“.

**ალექს ფერგიუსონი** (19 დეკემბერი): „ვის, „რეალს“? მაგ მაფიოზებს ვირუსს არ მივყიდით“.

**მარკუს სენა**, „ვილიარეალის“ ფეხბურთელი (25 ნოემბერი): „კრიშტიანუ რონალდუ, შესაძლოა, გოლებს ვერ იტანს, მაგრამ თამაშში უშუალოდ მონაწილეობს“.

**ხოსეპ გვარდიოლა**, „ბარსელონას“ მწვრთნელი (13 სექტემბერი, „რასინგთან“ მატჩის წინ): „თუ წავაგებთ, ყველას პანღურებს ამოგვკრავენ“.

**მიჩელ სალგადო**, „რეალის“ მცველი (13 დეკემბერი): „ძალიან მიკვირს, „ბარსელონა“ უკვე რომ ზეიმობს ჩემპიონობას. ძალიან მალე მათ სეზონი ძალიან გრძელი მოეჩვენებათ“.

**მარკ ინოლა**, „ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტი (27 ნოემბერი): „ჩვენ შევხვდით მოურინიოს. ის ფენომენალური სპეციალისტია და „ბარსელონას“ ბრწყინვალე მწვრთნელიც იქნებოდა“.

**ხუან ლაპორტა**, „ბარსელონას“ პრეზიდენტი (3 დეკემბერი): „მოურინიო? არა, სჯობს, აქცენტი კარგ თამაშზე გავაკეთოთ“.

**რონალდინიო**, „მილანის“ ნახევარმცველი (13 დეკემბერი): „სამსახურის მერე გართობა მიყვარს. გასართობად დისკოთეკები არსებობს. მორალისტებმა კი დაახვიონ“.

**ენრიკე სერესო**, „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი (10 ოქტომბერი): „ჩვენ კრიზისში არ ვართ. ჩვენთან ყოველთვის ასეთი ვითარებაა“.

**ხოსე მარია დელ ნიდო**, „სევილიას“ პრეზიდენტი (15 დეკემბერი): „ამ ზაფხულს 50 მილიონი ევრო მოვიგეთ“.

**დიეგო მარადონა**, დიდი არგენტინელი ფეხბურთელი (9 სექტემბერი): „იოზეფ ბლატერი ჩვენთვის მუშაობს. ჩვენ მის გარეშეც ვითამაშებთ ფეხბურთს, ის კი უჩვენოდ ვერაფერს გააკეთებს“.

**კაკა**, „მილანის“ ნახევარმცველი (25 ნოემბერი): „კარიერის „სან პაულუში“ დასრულება მსურს, მერე კი ბიბლია მინდა შევისწავლო“.

**რობინიო**, „რეალიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლის მერე (30 ნოემბერი): „მანჩესტერში ნაღდად გვქომაგობენ, მადრიდში კი სტადიონზე ისე მოდიოდნენ, თითქოს თეატრი ყოფილიყო“.

**მარკო ამელია**, „პალერმოს“ მეკარე (2 დეკემბერი): „რონალდოს პენალტი იოლად ავუღე. იცით, რატომ? ისე დაარტყა, როგორც ფლეისტეიშენში ურტყამენ“.

**დანიელ გუისა**, „ფენერბაჰჩეს“ თავდამსხმელი (12 სექტემბერი): „წონასწორობიდან იოლად რომ არ გამოვდიოდე, ფეხბურთელი კი არა, ქვისმთლელი ვიქნებოდი.

**არსენ ვენგერი**, „არსენალის“ მწვრთნელი (13 სექტემბერი): „ფეხბურთი სუპერმარკეტი არ გეგონოთ“.

**ჟოზე მოურინიო**, „ინტერის“ მწვრთნელი (27 დეკემბერი): „ჟურნალისტებს უნდათ, რომ საათობით ველაპარაკო. ამას ვერ ვიტან. მართლა ვერ ვიტან!“

**კოტე ქაქელია**





რა ფასი აქვს მონათმფლობელობასთან მებრძოლ იოზეფ ბლატერს მარადონას გარეშე?





# კანუტეს პალესტინა ფული დაუჯდა

**ფრედერიკ კანუტე** ესპანეთის ფეხბურთის ფედრაციამ პალესტინის მხარდაჭერისთვის დააჯარიმა, მაგრამ თანხის ოდენობა დამალა.

მუსულმანმა მალელმა ფეხბურთელმა ოთშაბათს „დეპორტივოსთან“ სათასო მატჩში (2:1) გოლი გაიტანა, მაისურა თავზე გადაიფარა და შიდა მაისურაზე დაწერილი „პალესტინა“ გამოაჩინა.

„ძალიან მადლობლები ვართ კანუტესი, რომელსაც გამბედაობა ეყო და პალესტინელი ხალხის მხარდაჭერა საჯაროდ გამოხატა. სპორტსმენებიც ჩვეულებრივი, ემოციური ადამიანები არიან და სხვათა უფლებების დარღვევას აპროტესტებენ — თქვა ესპანეთში პალესტინის ელჩმა მაჰმუდ ალაუანენამ ნამატჩევს — ჩვენ ერთად უნდა მივაღწიოთ მშვიდობას რეგიონში. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია გაარკვევს დასასჯელია თუ არა კანუტე. მახსოვს, ერთხელ მაიკლ ოუენმა ლივერპულელ მუშებს დაუჭირა მხარი“.

„ჩვენ ვებრძვით ტერორიზმს და არა პალესტინელ ხალხს — ეს კი ესპანეთში ისრაელის ელჩის რაფაელ შულცის სიტყვებია — ისრაელის ნაკრებში ორი პალესტინელი მუსულმანი ფეხბურთელი თამაშობს, მაგრამ არანაირი პრობლემა არ აქვთ და ისინი გულშემატკივრებს ძალიან უყვართ“.





ფრანკ რიბერი დუბაის ზოოპარკში ლომის ბოკვერთანაც გაერთო და საგზაო ნიშანიც დაამტვრია

# აბა, დუბაი! ორი კაცი და გავდივართ!

## რიბერიმ საჭით შეუბერა

**ავტობუსი** ბურთი რომ არ არის, ფრანკ რიბერიმაც იცის, მაგრამ საჭეს მაინც მიუჯდა და ფინტაობა სცადა.

ფრანგმა „ბაიერნი“ მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად დუბაიში დააშინა, სადაც გუნდი შეკრებაზეა.

რიბერიმ სასტუმროს კუთვნილი ავტობუსი გააჭენა — შენობის გარშემო საპატიო წრე დაარტყა, მაგრამ ერთ მოსახვევში ველარ შეეტია, ტროტუარზე ახტა, ორი საგზაო ნიშანი მოგლიჯა და მერელა გააჩერა.

რიბერის გუნდში ცელქი ბიჭის სახელი აქვს და როგორც მისი თანაგუნდელები ამბობენ, ხუმრობაც დახვეწილი სცოდნია, ოღონდ ვერავინ იფიქრებდა, რომ შუმახერ-ჰემილტონობაზე გაიქაჩებოდა.

„არა უშავს — ხელი დააფარა იურგენ კლინსმანმა — ფრანკს გართობა უნდოდა“.

ული ჰიონესი კი გააბრაზა რიბერის შოუმ, ხოლო ტიმ ბოროვსკიმ განაცხადა, ყველანი ცოტათი შეგვაშინაო.

ფრანგ ნახევარმცველს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება, თუმცა რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ შეიძლება ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე წავიდეს: „როგორ შევპირდე კლუბს, რომ კონტრაქტის ბოლომდე დავრჩები? ვინ იცის, რა მოხდება ამ ხნის განმავლობაში“.

# რონალდუ ბორდიურს შეასკდა



**მსოფლიოს** საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ ავარიაში მოჰყვა. ის „მანჩესტერის“ ვარჯიშზე მიდიოდა, როცა გვირაბში ბორდიურს შეასკდა. ინციდენტს სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია და რონალდუ უვნებლად გადარჩა. მისი „ფერარისა“ კი, რა მოგახსენოთ...



# მოჯების ოჯახის პირობითი ციხე

**„იუვენტუსის“** ყოფილ გენერალურ მენეჯერს ლუჩანო მოჯის 18 თვით თავისუფლების პირობითი აღკვეთა მიუსაჯეს.

2006 წლის კალჩოპოლის სკ ალის მთავარი პერსონაჟი სატრანსფერო სააგენტო GEA-სთან ერთად თაღლითობაში ამხილეს.

ამავე სააგენტოში იყვნენ მოჯის შვილი ალესანდრო და მარჩელო ლიპის ბიჭი დავიდე ლიპი.

ალესანდრო მოჯის 14 თვე აკმარეს და მისი სასჯელიც პირობითია.

„გამწარებული და გულგატეხილი ვარ — თქვა ალესანდრომ — ორ ფეხბურთელს ტელეფონით 30 წამი ველაპარაკე და ამისთვის მასამართლებენ“.

პროკურორმა ლუჩანო მოჯისთვის ექვსი წელი მოითხოვა: ფეხბურთელებს აშანტაჟებდა, აშინებდა და კონტრაქტებზე ხელს ძალით აწერინებდაო.



ფეხბურთელების აგენტი ფრანკო ძავალია და მისი შვილი ემანუელე გაამართლეს, ისევე როგორც ფრანჩესკო კერავოლო, პასკუალე გალო და დავიდე ლიპი.

**ირაკლი ნინიძე**

# მაგინებელი მიგელი

**„რასინგი“** — „ვალენსიას“ მერვედფინალური სათასო მატჩის (1:1) მსაჯმა კარლოს გომესმა „ზემოთ“ წარსადგენ პატაკში საინტერესო რამე ჩაწერა.

მსაჯმა ვალენსიელი ვისენტე 87-ე წუთზე გააძევა, სამ წუთში კი მას თანაგუნდელი მიგელიც დააწია.

აი, რა ჩაწერა პატაკში გომესმა: „ლუის მიგელის (№23) გაძევების შემდეგ მან გვერდით მსაჯს დაუყვირა: „ბ...შვილო, მოგკლავ, შე ბ...შვილო! მერე ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამიდან წამომხტარმა თანაგუნდელებმა დააკავეს“.

# ვინ, სად, როდის?

**ორი კვირის წინ სტივენ ჯერარდმა პაბში დიჯეის მუშტი ხია და ერთი ხელის გაქნევა შეიძლება, ხუთწლიან პატიმრობად დაუსვან. ჩასვამენ თუ არა „ლივერპულის“ კაპიტანს, სასამართლო გაარკვევს, მანამდე სხვადასხვა დანაშაულის გამო ნაციხარ ფეხბურთელებზე მოგითხრობთ.**

## დანკან ფერგიუსონი

შარიანი შოტლანდიელი ფორვარდი სასამართლოში ლამის უფრო მეტჯერაა ნამყოფი, ვიდრე გოლი გაუტანია. პირველი პროფესიონალი ფეხბურთელია, რომელიც მოედანზე ჩხუბისთვის ციხის გზას გაუყენეს.

1994 წელს „რეინჯერსში“ თამაშისას, „რეით როვერსთან“ საშინაო მატჩში ჯონ მაკსტეის თავი დაჰკრა, რისთვისაც 44 დღე ციხეში გაატარა.

მერე, უკვე „ევერტონში“ გადასულ ფერგიუსონს, სახლში ქურდები ესტუმრნენ. აქ კი გამოჩნდა, რომ შოტლანდიელს თავდასხმის გარდა თავდაცვაც შეუძლია. ერთი ქურდი ისე მიბეგვა, სამი დღე მკურნალობდნენ, მეორე კი გაექცა.

## მაიკი ტომასი

უელსის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა კარიერა 1993 წელს „რექსემში“ გენიალურად დაასრულა — ყალბი ფულის კეთებისთვის (10 და 20 გირვანქიანებს ბეჭდავდა) წელიწადნახევარი მიუსაჯეს.

ამჟამად მანჩესტერის რადიოში მომუშავე ტომასმა „მანჩესტერის“ კაპიტან როი კინზე თქვა: „კინი კვირაში 50 ათას გირვანქას იღებს. მეც ამდენივე მქონდა, სანამ პოლიცია ჩემს საბეჭდ მანქანას იპოვიდა“.

## ჯეიმს კოტერილი

2006 წლის ნოემბერში „ბრისტოლ როვერსთან“ სათასო მატჩისას „ბაროუს“ მცველმა კოტერილმა მეტოქე შონ რიგს ყბაში მუშტი ისე გამეტებით ჰკრა, რომ ორგან ჩაულეწა.

რიგს მეტალის ფირფიტები ჩაუსვეს, რომლებიც მთელი ცხოვრება უნდა ატაროს.

2007-ის იანვარში ჯეიმს კოტერილს ოთხთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ბოლოში მოიხდა და ერთ თვეში გაათავისუფლეს, ოღონდ ელექტრონიგნალის გადამცემი გააყოლეს, რომელიც მარტამდე უნდა ეტარებინა.

## ფისტონ მანუელა

2005-ის სექტემბერში, „სტეინს თაუნის“ ანგოლელმა ფეხბურთელმა ფისტონ მანუელამ ზინედინ ზიდანის ილეთი გამოიყენა.

„დანსტეიბლ თაუნთან“ სათასო მატჩში მარკ კეფორდს ცხვირ-პირში თავური გლიჯა. მანუელა და მისი მეტოქე სარლი ბურთისთვის შეიბნენ. კეფორდი ჩაერია და მანუელას ხელი ჰკრა, პასუხად კი ისეთი დარტყმა მიიღო, რომ სახეზე კანი გადაეხსნა და ცხრა ნაკერი დასჭირდა.

ანგოლელ ფეხბურთელს ციხის ორთვიანი საგზური გამოუწერეს.

## დევიდ პერტრიჯი

უელსის ნაკრებისა და „ბრისტოლ როვერსის“ მცველმა 2005 წლის ოქტომბერში ძმაკაცებთან ერთად ლოთ-ფართი მოაწყო ბრისტოლის ცენტრში, რაც დიდი ჩხუბით დამთავრდა.

პერტრიჯი ღამის კლუბში გაილეშა და ქალს სახეში სასმელი შეასხა. კლუბიდან გააგდეს, სადაც თანამეინახეებთან ერთად დაბრუნდა, მაგრამ შიგნით აღარ შეუშვეს. ამ დროს ატყდა ჩხუბი დაცვის ბიჭებთან და მალე პოლიციამ პერტრიჯის ბანდა აიყვანა.

უელსელი ორი თვით ჩააყუდეს, სხვა მუშტისმჭნევლები კი 28 დღით.

## ლი ჰიუზი

„ვესტ ბრომვიჩის“ მეგოლე 2004 წელს „მერსედესით“ „რენოს“ დაეჯახა, რომლის ერთი მგზავრი, ოთხი შვილის მამა დუგლას გრემი გარდაიცვალა.

ლი ჰიუზს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ 2007-ში გამოუშვეს. პატიმრობაში იგი ფეხბურთს ციხის გუნდში თამაშობდა.

ციხიდან გამოსულმა კონტრაქტი „ოლდემთან“ გააფორმა, სადაც კვირაში 1800 გირვანქას უხდიან.

## ლუკ მაკკორმიკი

„პლიმუთის“ მეკარე ლუკ მაკკორმიკი შარშან 7 ივნისს ქორწილიდან მთვრალი ბრუნდებოდა და „რეინჯ როვერით“ „ტოიოტას“ შეასკდა.

ავარიამ „ტოიოტაში“ ორი ძმა — რვა და ათი წლისანი — იმსხვერპლა. მაკკორმიკს შვიდწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

## სტიგ ტოფტინგი

ვეება დანიელმა ნახევარმცველმა 2002 წლის ივნისში (მაშინ „ბოლტონში“ თამაშობდა), კოპენჰაგენის რესტორანში იჩხუბა. ერთს ბოთლი ესროლა, მეორეს ყბაში უთავაზა და ოთხთვიან პატიმრობას გამოჰკრა ხელი.

სასჯელი 2003 წლის ივლისში მოიხადა. მერე ჩინეთში გააგრძელა კარიერა და იქიდან სამშობლოში, „ორჰუსში“ დაბრუნდა.

2004 წლის დეკემბერში კლუბის საშობაო ზეიმზე თანაგუნდელს შემოსცხო და გუნდიდან გააგდეს. ახლა „რანდერსში“ მწვრთნელის თანაშემწეა.

## ეშლი ტიმსი

„კემბრიჯის“ მეკარეს, ალბათ, ფული შემოაკლდა და გამდიდრება სხვათა სექსზე გადაწყვიტა.

ტიმსმა ერთ-ერთი პრემიერლიგელი ფეხბურთელის და 19 წლის გოგოს სიყვარულის ამბავი ვიდეოზე გადაიღო და აშანტაჟებდა. 15 ათასი გირვანქა მოითხოვა კასეტაში პრემიერლიგელისგან, მაგრამ პოლიციამ მიაგნო და შარშან სექტემბერში 20 თვით გისოსებს მიღმა გაამგზავრა.

## ჯოი ბარტონი

2007 წლის დეკემბერში „ნიუკასლის“ მთვრალმა ფეხბურთელმა ჯოი ბარტონმა ლივერპულში 16 წლის ბიჭს კბილები ჩაუმტვრია და წაქცეულს წიხლიც მიაყოლა. შარშან მაისში ციხეში ჩააყუდეს და 77 დღის შემდეგ, 28 ივლისს გამოუშვეს. ჯერჯერობით ბოლო ნაციხარი პრემიერლიგელია.

2007-სავე გაზაფხულზე, როცა „სიტიში“ თამაშობდა, თანაგუნდელ უსმან დაბოს ვარჯიშზე თავპირი გაუერთიანა. კლუბიდან მოკვეთეს, 100 ათასი გირვანქით დააჯარიმეს და სასამართლომ ოთხთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა.



დანკან ფერგიუსონი




სტიგ ტოფტინგი

**რომან თურქია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფერადი ტრანსფერები ლუდიდან ინდაურამდე

**42 მილიონი ევრო გადაუხადა შარშან „სიტიმ“ „რეალს“ რობინიოში: ესაა პრემიერლიგის სატრანსფერო რეკორდი, მაგრამ ოდესღაც ფეხბურთელს 40 ლიტრ ლუდშიც კი ცვლიდნენ...**



ერნი ბლენკინსოპი

**პირველი** ათასგირვანქიანი ტრანსფერი ინგლისში 1905 წელს გაიჩარხა, 16 წლის შემდეგ კი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური გარიგება შედგა.

ინგლისის ნაკრების მომავალი კაპიტანი ერნი ბლენკინსოპი „კადვორტიდან“ „ჰალში“ გადავიდა. მასში ჰალელებმა 200 გირვანქა და 40 ლიტრი ლუდი გადაიხადეს.

კადვორტელთა პატრონმა მარტომ ჩაცეცხლა სასმელი თუ თავის ფეხბურთელებსაც უწილადა, უცნობია.

1982 წელს ირლანდიელი ფორვარდი ტონი კასკარინო „კროკენჰილიდან“ „ჯილინგემმა“ სავარჯიშო ტრენაჟორის სანაცვლოდ წაიყვანა. ტრენაჟორში გაცვლილმა ირლანდიელმა 19-წლიან კარიერაში „ჯილინგემი“, „მილუოლი“, „ასტონ ვილა“, „სელტიკი“, „ჩელსი“, „მარსელი“, „ნანსი“, „ცრვენა ზვეზდა“ გამოიცვალა და 629 მატჩში 248 გოლი შეაგდო.

იან რაიტი „კრისტალ პალასმა“ 1985 წელს სამოყვარულო „გრინვიჩბოროდან“ შეიძინა. ფასი — ჰანტელების ერთი კომპლექტი. „კრისტალ პალასმა“ „ჰანტელები“ 1991-ში „არსენალს“ 2 მილონ 500 ათას გირვანქად მიჰყიდა და რაიტი „მეთოფეების“ ლეგენდა გახდა — 128 გოლი 221 მატჩში.

ინგლისის ნაკრების მაისურის 79-ჯერ მომრგები ჯონ ბარნსი, ასევე სამოყვარულო კლუბიდან „სადბერიდან“ „უოტფორდმა“ რომ იყიდა, ფული არ გადაუხდია. მოყვარულებს სათამაშო ფორმა მიუთვალა. „უოტფორდში“ შვიდი წელი ითამაშა, მერე „ლივერპულში“ გადავიდა და ამ კლუბის ისტორიაში შევიდა.

გარი პალისტერი, ვინაც ცხრა წლი „მანჩესტერში“ (1989-98) გაატარა, მანამდე „მიდლსბროში“ იყო, სადაც „ბილინგემ თაუნიდან“ გადაიყვანეს. რა მიიღეს ბილინგემელებმა სანაცვლოდ? ცოტა მეტი, ვიდრე „სადბერიმ“ — ფორმის გარდა კარის ბადე და რამდენიმე ბურთი.

ამჟამად „ატონ ვილას“ ფეხბურთელი ზატ ნაითი 1999-2007 წლებში „ფულემში“ თამაშობდა. „ფულემმა“ იგი „რაშოლიდან“ წაიყვანა და სამოყვარულო კლუბს 30 სავარჯიშო ფორმა უბოძა.

უცნაურ გარიგებებში ინგლისელებს არ ჩამორჩებიან რუმინელები. მაგალითად, ქალაქ ლუპენის „მინერულას“ მეკარე ბელგრადეანი „ჯიულიში“ რომ გადასულიყო, ლუპენის მერმა „ჯიულის“ პატრონს ქალაქში გაზსადენის შეყვანა მოსთხოვა.

მეოთხე დივიზიონის „რეკოლტიდან“ „შტენმიკსში“ გადასასვლელად მეკარე ბარგანმა საკუთარი ტრანსფერი 12 დოლარად და ერთ მანქანა შეშად შეაფასა.

მარიუშ ჩიოარო 2006 წელს „არდამ“ „რეგალ ჰორნიას“ 15 კილო სოსისად მიჰყიდა. გაბრაზებულმა ჩიოარომ კარიერა დაასრულა და სამუშაოდ ესპანეთში წავიდა, სადაც ფერმაში მოეწყო.

2002-ში ნორვეგიელი ფეხბურთელი კენეტ კრისტენსენი მეოთხე დივიზიონის „ვინბიარტიდან“ „ფლუიში“ რომ გადადიოდა, მყიდველმა კლუბმა მოთამაშე აწონა და 75 კილო გამოვიდა. ზუსტად ამდენი კილო ხამანწკა მიუწონა „ფლუიმ“ „ვინბიარტას“ და გარიგებაც გაფორმდა.

მეოცე საუკუნის ყველაზე სახალისო და თაღლითური ტრანსფერი კი პრემიერლიგაში შედგა. სენეგალელი ალი დია 1996 წელს ნახევრადპროფესიულ „ბლით როვერსში“ თამაშობდა. მანამდე საფრანგეთის და გერმანიის მესამე ლიგები მოიარა, მაგრამ ფეხბურთელობისა არაფერი ეტყობოდა.

სამაგიეროდ, გენიალური იდეა ესტუმრა. დიამ და მისმა აგენტმა მზაკვრული გეგმა მოიფიქრეს. „საუთჰემპტონის“ მწვრთნელს დიას აგენტმა დაურეკა, თავი ჟორჟ ვეად (ლიბერიელი მაშინ უკვე „ოქროს ბურთის“ მფლობელი იყო) გაასაღა და უთხრა, რომ მისი ბიძაშვილი ალი დია ნაკრების ფეხბურთელია, პსჟ-შიც უთამაშია და „საუთჰემპტონი“ ხომ არ იყიდისო.

გრემ სუნესმა ალი დია ერთი თვით აიყვანა გუნდში.

თავიდან, რა თქმა უნდა, დუბლშემადგენლობაში უნდა ეთამაშა, მაგრამ წვიმის გამო მატჩი არ შედგა და სუნესმა მეორე დღეს „ლიდსთან“ მატჩის განაცხადში შეიყვანა.

შეხვედრის 33-ე წუთზე მეტ ლე ტისიე დაშავდა და მის ნაცვლად მწვრთნელმა ალი დია შეუშვა.

„მოედანზე ისე დარბოდა, როგორც ინდაური ყინულზე. ამის შემყურეს ძალიან შემრცხვა“ — თქვა მოგვიანებით ლე ტისიემ.

გრემ სუნესსაც შერცხვა და „ინდაური“ 53-ე წუთზე შეცვალა. მატჩის მეორე დღეს ალი დია ფიზიოთერაპევტთან მიიყვანეს დაგრეხილი კუნთების გასასწორებლად და იმ დღესვე გზა დაულოცეს.

მერე კიდევ გაიელვა სადღაც მეექვსე ლიგაში და მას შემდეგ ინგლისში აღარ უნახავთ.

**ბაჩა ხუციშვილი**





ალი დია გრემ სუნესის ყველაზე დიდი სირცხვილია

## კვირის ქრონიკა

### ბრაიტნერმა ბატე დაჩვერა

**გერმანული** სააგენტო „სპორტ 1“-ის ინფორმაციით, მიუნხენის „ბაიერნი“ ბელარუსული ბატე-ს თავდამსხმელით ვიტალი როდიონოვით დაინტერესდა. მიუნხენელებს მინსკში თავისი გზირი, წარსულში დიდი ფეხბურთელი პაულ ბრაიტნერი მიუვლენია, რომელმაც როდიონოვი საქმეში კიდევ ერთხელ ნახა. შეგახსენებთ, რომ ბატე-მ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა.

### ფინეთი გახანგრძლივდა

**ფინეთის** ნაკრების მწვრთნელმა სტიუარდ ბატსერმა იქაურ ფედერაციასთან კონტრაქტი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატამდე გაახანგრძლივა. 55 წლის ბრიტანელი ამ პოსტზე 2007 წელს დაინიშნა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევ ციკლში მისმა გუნდმა სამ თამაშში 4 ქულა დააგროვა. ამათგან გამოსარჩევია ფრე (3:3) გერმანიასთან.

### შეუსრულებელი პირობები

**ლაპარაკი** უკრაინის ნაკრებისა და სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ნახევარმცველის ანატოლი ტიმოშჩუკის „ბაიერნში“ შესაძლო გადაბარგების შესახებ, გრძელდება.

წინა კვირაში მიუნხენელთა გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა თქვა: „ტიმოშჩუკმა თავისი მოთხოვნები გაგვაცნო, მაგრამ ისინი ჩვენთვის მიუღებელია და მათ შესრულებას ვერ შევძლებთ. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა ფეხბურთელი ჩვენს პირობებს“.

### მარტინსის თიაქარი

**„ნიუკასლის“** თავდამსხმელ ობაფემი მარტინსს ორშაბათს გერმანიაში თიაქრის ოპერაციას უკეთებენ. 24 წლის ნიგერიელს 14 დეკემბრის მერე არ უთამაშია, როცა „პორტსმუთთან“ შეხვედრისას დაშავდა.

„მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როდის დავუბრუნდები მოედანს“ — დაიჩივლა მარტინსმა. სავარაუდოდ, ეს რამდენიმე კვირაში მოხდება.

### რას ჩაუწერენ უჰრინს კონტრაქტში?

**რუმინულ** „კლუჟს“, რომელმაც გეხსომებათ, შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშა, ახალი მწვრთნელი ეყოლება — დუშან უჰრინი-უმცროსი. ჩეხეთის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელის შვილი აქამდე სხვა რუმინულ კლუბში „ტიმიშოარაში“ მუშაობდა, „კლუჟში“ კი იტალიელ მაურიციო ტრომბეტას შეცვლის. უჰრინის კონტრაქტის პირობები უკვე შეთანხმებულია და ის სეზონში 300 ათას ევროს მიიღებს.

თუმცა არსებობს საფრთხე, რომ რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტის გაფორმება აკრძალოს. საქმე ის არის, რომ იქაური რეგლამენტით, მწვრთნელის ერთ ლიგაში მოთამაშე კლუბიდან კლუბში გადასვლა, მხოლოდ სეზონის დასრულების მერე შეიძლება. ამ შემთხვევაში — თუკი „კლუჟი“ უჰრინს მწვრთნელად ზაფხულამდე ვერ დანიშნავს — მას სპორტულ დირექტორად გააფორმებენ, მწვრთნელის ფუნქციებს კი, ფაქტობრივად, მაინც შეასრულებს.

### კოვაჩმა ბუცები ჩამოკიდა

**ხორვატმა** ნახევარმცველმა ნიკო კოვაჩმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. 37 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც 83 სანაკრებო შეხვედრაში 15 გოლი გაიტანა, ამის თაობაზე „როიტერს“ განუცხადა.

„გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა — თქვა კოვაჩმა — ეროვნულ ნაკრებში თამაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩემს კარიერაში. თუმცა პატარა აღარ ვარ და მესმის, რომ ახალგაზრდებს უნდა დავუთმო გზა. ნაკრებში რამდენიმე ძალიან კარგი ფეხბურთელია, რომლებსაც ჩემს პოზიციაზე თამაში შეუძლიათ. დარწმუნებული ვარ, სლავენ ბილიჩს ჩემი შემცვლელის პოვნა არ გაუჭირდება. საკლუბო კარიერის დასრულებას კი ჯერ არ ვაპირებ“.

### კრასიმირ ბალაკოვის მონატრებული სამშობლო

**მსოფლიოს** 1994 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი ბულგარელი კრასიმირ ბალაკოვი ბურგასის „ჩერნომორეცის“ მწვრთნელად დაინიშნა.

ბალაკოვს მთელი 18 წელია, სამშობლოში არ უმუშავია. ფეხბურთელობისას პორტუგალიურ და გერმანულ კლუბებში თამაშობდა, მერე კი შვეიცარიული კლუბების, „სენტ გალენის“ და „გრასჰოპერის“ მწვრთნელი გახლდათ.

### 9 მილიონი ზაფხულში

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ გლაზგოს „სელტიკს“ მეკარის არტურ ბორუცის შეძენა სურს. როგორც ინგლისური „სანი“ იუწყება, ესპანელები მეკარეში 9 მილიონი გირვანქის გადახდაზე არიან ყაბულს. ამავე წყაროს ცნობით, გარიგება ზაფხულისთვის არის დაგეგმილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჰანს იორგ ბუტი ბუნდესლიგის რეკორდსმენი მეგოლე მეკარეა




გერდ მიულერი არაერთი რეკორდის მფლობელია




გრაფიტეზე მეტი ორთაბრძოლა არავის მოუგია




ნური საჰინი ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია

# ბუნდესრეკორდები

**სანამ ბუნდესლიგას დათვივით სძინავს, ურიგო არ იქნება, თუ გერმანიის ჩემპიონატების „ციფრულ" ისტორიას გადავავლებთ თვალს. გთავაზობთ ბუნდესლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ რეკორდებს და სხვა საინტერესო რიცხვებს...**

**34** — წინა სეზონში „ბაიერნი" პირველივე ტურიდან მოექცა ცხრილის თავში და 34 ტურის განმავლობაში დაბლა არ ჩამოცურებულა. მსგავსი რამ არც ერთ სხვა გუნდს არ გაუკეთებია გერმანიის ჩემპიონატის ისტორიაში.

„ბაიერნმა" იგივე მოახერხა 1972-73 და 1984-85 წლების სეზონებშიც.

⚽ ⚽ ⚽

**602** — „აინტრახტის" ფეხბურთელმა კარლ ჰაინც კერბელმა 1972-91 წლებში 602 მატჩი ითამაშა ბუნდესლიგაში და ამ მწვერვალს ჯერჯერობით სხვა ვერავინ შესწვდა.

⚽ ⚽ ⚽

**43** — „შალკეს" ფეხბურთელი კლაუს ფიხტელი 43 წლის იყო, როცა 1988 წლის 21 მაისს ბუნდესლიგაში ბოლო თამაში ჩაატარა.

⚽ ⚽ ⚽

**11** — „ლევერკუზენის" ფორვარდმა ულფ კირსტენმა 2002 წლის 30 მარტს „კაიზესლაუტერნს" მე-11 წამზე გაუტანა და ბაიერნელი ჯოვანი ელბერის რეკორდი გაიმეორა. ელბერმა „ჰამბურგთან" მეთერთმეტე წამზე, 1998 წლის 31 იანვარს შეაგდო. აღსანიშნავია, რომ კირსტენისთვის ის გოლი ბოლო იყო „ლევერკუზენის" შემადგენლობაში.

⚽ ⚽ ⚽

**20** — მიუნხენის „ბაიერნი" 20-ჯერ, ყველაზე მეტჯერ გახდა ბუნდესლიგის ჩემპიონი. ბუნდესლიგის შექმნამდე კი ერთხელ, 1932-ში მოიპოვეს ტიტული.

⚽ ⚽ ⚽

**35** — ბუნდესლიგის ისტორიაში პირველი ჰეთ ტრიქის (1963-64) ავტორია „კარლსრუეს" თავდამსხმელი ოტო გეისერტი. მან „ნიურნბერგის" კარში სამი გოლის გატანას 35 წუთი მოანდომა.

⚽ ⚽ ⚽

**46** — „ჰამბურგი" ერთადერთი კლუბია, რომელიც ბუნდესლიგის დაარსებიდან (1963) 46 წლის განმავლობაში მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდნილა.

⚽ ⚽ ⚽

**11** — 2001 წლის 6 აპრილს „ვოლფსბურგის" წინააღმდეგ „კოტბუსის" ძირითად შემადგენლობაში 11-მა ლეგიონერმა ითამაშა. მათ შორის: ორი ხორვატი, ორი ბოსნიელი, ორი უნგრელი, ბრაზილიელი, რუმინელი, პოლონელი, ალბანელი და ბენინელი. ეს ერთადერთი შემთხვევაა ბუნდესლიგაში, როცა სასტარტო თერთმეტეულში გერმანელის ხსენება არ იყო.

⚽ ⚽ ⚽

**37 714** — წინა სეზონში ბუნდესლიგის მატჩებს საშუალოდ 37 ათას 714 მაყურებელი დაესწრო, რაც რეკორდია ევროპის ქვეყნების ჩემპიონატებში.

⚽ ⚽ ⚽

**20** — ასევე წინა სეზონში „ვერდერის" 20-მა ფეხბურთელმა გაიტანა გოლი. ამდენი მეგოლეები „მუსიკოსებს" ერთი სეზონის განმავლობაში მანამდე არ ჰყოლიათ.

⚽ ⚽ ⚽

**2** — 1991-92 და 2006-07 წლების სეზონებში „შტუტგარტი" ორი ტურის მერე ცხრილში ბოლო ადგილზე იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბუნდესჩემპიონი გახდა...

⚽ ⚽ ⚽

**45,5** — „ვოლფსბურგის" ბრაზილიელმა ფორვარდმა გრაფიტემ წინა სეზონში ორთაბრძოლების სარეკორდო, 45,5 პროცენტი მოიგო.

⚽ ⚽ ⚽

**168** — „ბაიერნი"-„ჰოფენჰაიმის" მატჩი (2008 წლის 5 დეკემბერი) 168 ქვეყანაში გადასცეს. მანამდე ბუნდესლიგის მატჩის ტრანსლაცია ამდენ ქვეყანაში არ მომხდარა.

⚽ ⚽ ⚽

**365** — „ბაიერნის" ფორვარდმა გერდ მიულერმა შვიდ წელიწადში (1964-71) 365 გოლი გაიტანა და ეს რეკოდი დღესაც ხელუხლებელია.

⚽ ⚽ ⚽

**40** — გერდ მიულერის კიდევ ერთი რეკორდი. 1971-72 წლების სეზონში 40 გოლი შეაგდო. ის შვიდჯერ გახდა ბუნდესლიგის ბომბარდირი.

⚽ ⚽ ⚽

**16** — „დორტმუნდის" თურქი ნახევარმცველი ნური საჰინი 16 წლის, 11 თვის და ერთი დღის იყო, როცა დებიუტი ჰქონდა გერმანიის ჩემპიონატში და ბუნდესლიგის ისტორიაში უყრმესი ფეხბურთელი შეიქნა. ეს მოხდა 2005 წლის 6 აგვისტოს, პირველ ტურში „ვოლფსბურგთან".

⚽ ⚽ ⚽

**88 075** — სარეკორდო რაოდენობის გულშემატკივარი შეიკრიბა 1969 წლის 26 სექტემბერს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" მეექვსე ტურის მატჩზე. „ჰერტამ" „კიოლნს" 1:0 მოუგო.

⚽ ⚽ ⚽

**101** — 1971-72 წლების სეზონში „ბაიერნმა" 101 გოლი გაიტანა და აქედან 40 გერდ მიულერის ანგარიშზეა.

⚽ ⚽ ⚽

**910** — „ბოხუმის" მეკარემ რეინ ვან დუინჰოვენმა 2003-04 წლების სეზონში საშინაო მატჩებში 910 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვა.

⚽ ⚽ ⚽

**884** — „შტუტგარტის" მეკარის ტიმო ჰილდებრანდის „მშრალი" სერია (2003-04) 884 წუთს გაგრძელდა და მეცხრე ტურში „ვერდერის" ფორვარდმა ანგელოს ხარისტეასმა შეწყვიტა.

⚽ ⚽ ⚽

**3** — 1963-64 წლებში ბუნდესლიგაში მხოლოდ სამი ლეგიონერი თამაშობდა. ავსტრიელი ვილჰელმ ჰუბერტსი „აინტრახტში", ჰოლანდიელი იაკობუს პრინსი „კაიზერსლაუტერნში" და იუგოსლავი პეტარ რადენკოვიჩი „მიუნხენ-1860"-ში. ესენი იყვნენ პირველი ლეგიონერები გერმანიაში.

⚽ ⚽ ⚽

**7** — ბილეფელდის „არმინია" ბუნდესლიგიდან გავარდნა-დაბრუნებაში რეკორდსმენია. შვიდჯერ ჩავიდა და ამოვიდა.

⚽ ⚽ ⚽

**3 000** — ბუნდესლიგის ამჟამინდელი ლიდერი „ჰოფენჰაიმი" სოფლიდანაა, სადაც სამი ათასი მოსახლეა.

⚽ ⚽ ⚽

1997 წლის 19 დეკემბერს ბუნდესლიგის ისტორიაში მეკარემ პირველად გაიტანა გოლი. „დორტმუნდი"-„შალკეს" მატჩის ბოლო წუთზე, როცა სტუმრები 1:2-ს იგებდნენ, მასპინძელი იენს ლემანი მეტოქის საჯარიმოში ჩავიდა და თავურით გაათანაბრა.

⚽ ⚽ ⚽

**26** — კიდევ ერთი მეგოლე მეკარეა ჰანს იორგ ბუტი, რომელმაც ბუნდესლიგაში 26 გოლი გაიტანა. ამათგან 19 „ჰამბურგში" თამაშისას, 9 კი — „ლევერკუზენში". ამჟამად „ბაიერნის" სათადარიგოა.

⚽ ⚽ ⚽

**30 000** — ბუნდესლიგის ისტორიაში 30 000-ე გოლი ალექსანდრ ბოროდიუკის ანგარიშზეა. იგი „შალკეში", „ფრაიბურგსა" და „ჰანოვერში" 1989-96 წლებში თამაშობდა.

⚽ ⚽ ⚽

**12:0** — 1978 წლის 29 აპრილს ჩემპიონატის ბოლო ტურში „მიონხენგლადბახმა" „დორტმუნდს" თორმეტბურთიანი სახვაობით მოუგო და ესაა ბუნდესლიგის სარეკორდო ანგარიში.

⚽ ⚽ ⚽

**6** — „კიოლნის" ფორვარდმა დიტერ მიულერმა ერთ მატჩში ექვსი გოლი გაიტანა და მსგავსი ვერავინ გაიმეორა. ეს მოხდა 1977 წლის 17 აგვისტოს „კიოლნისა" და „ვერდერის" შეხვედრაში, რომელიც 7:3 დასრულდა.

**ირაკლი ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კვირის ქრონიკა

## ლევერკუზენი იუწყება

**„ლევერკუზენის“** ოფიციალური ვებგვერდი შემადგენლობაში ორი ცვლილების შესახებ იუწყება. გუნდში 35 წლის ტომაშ ზდებლი მივიდა, ვინც 2003 წლიდან „ბოხუმში“ თამაშობდა. „ბოხუმში“ პოლონელმა ფეხბურთელმა 189 ბუნდესლიგური მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა.

მეორე ცვლილება კი 20 წლის მცველის, იენს ჰეგელერის „აუგსბურგში“ იჯარით გაშვებაა. „აუგსბურგი“, შეგახსენებთ, მეორე ბუნდესლიგაში თამაშობს.

## მეგობრები გაიყარნენ

**„შალკედან“** დანიელი ფორვარდი პეტერ ლოვენკრანდსი მიდის. გელზენკირხენული კლუბის პრესსამსახურის განცხადებით, ფეხბურთელს კონტრაქტის ვადა ამა წლის 30 ივნისს ეწურებოდა, მაგრამ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ახლა გაწყდება. ლოვენკრანდსი „შალკეში“ 2,5 წლის წინ მივიდა და 44 ბუნდესლიგურ მატჩში 6 გოლი გაიტანა, ამ სეზონში კი მოედანზე არ გაუყვანიათ.

„ჩვენ ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება მივიღეთ და ერთმანეთს მეგობრებად ვშორდებით“ — თქვა დანიელმა.

## ბუნდესლიგის დაბადების მოწმობა

**ბუნდესლიგის** შემოდგომის ჩემპიონი „ჰოფენჰაიმი“ თანალიგელებში ყველაზე ახალგაზრდა გუნდია. მისი ფეხბურთელების საშუალო ასაკი 23,29 წელია.

ასაკით მეორეა „ლევერკუზენი“, რომელიც „ჰოფენჰაიმს“ მცირედით ჩამორჩა, ხოლო „ბაიერნი“ მე-14 ადგილზეა. „ბაიერნის“ დაბერება ოთხმა ფეხბურთელმა განაპირობა. მიროსლავ კლოზე 31 წლისაა, ლუკა ტონი და მასიმო ოდო 32-ისანი არიან, ხოლო ზე რობერტო — 34-ის.

„ჰოფენჰაიმი“ — 23,29; „ლევერკუზენი“ — 23,66; „ვოლფსბურგი“ —25,33; „ჰერტა“ — 25,61; „აინტრახტი“ და „ვერდერი“ — 25,79; „დორტმუნდი“ — 26,02; „მინხენგლადბახი“ — 26,12; „შტუტგარტი“ —26,21; „ჰამბურგი“ — 26,48; „ჰანოვერი“ — 26,60; „შალკე“ — 26,60; „კარლსრუე“ — 26,71; „არმინია“ — 26,93 „ბაიერნი“ — 27,26; „ბოხუმი“ — 27,68; „კიოლნი“ — 27,71, „კოტბუსი“ — 28,75.

## ჰაბუბამ ხუთი თქვა

**აფრიკის** ფეხბურთის კონფედერაციამ კონტინენტის 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელობის ხუთი კანდიდატი დაასახელა: განელი მიკაელ ესიენი და კოტდივუარელი დიდიე დროგბა „ჩელსიდან“, ტოგოელი ემანუელ ადებაიორი „არსენალიდან“, და ეგვიპტელები — მოჰამედ აბუტრიკა „ალ აჰლიდან“ და ამრ ზაკი „უიგანიდან“.

კონფედერაციის პრესმდივანმა სულეიმანუ ჰაბუბამ განაცხადა, რომ დაჯილდოების ცერემონია 10 თებერვალს ნიგერიაში გაიმართება.

აფრიკის 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელი „სევილიას“ მალელი მეჯოლე ფრედერიკ კანუტე გახდა.

## პიუგრენიე გათხოვდა

**„ზენიტის“** მცველი სებასტიენ პიუგრენიე ნახევარი სეზონით „ბოლტონს“ ათხოვეს.

ფრანგი ფეხბურთელი „ზენიტში“ შარშან ზაფხულს „ნანსიდან“ გადავიდა და ნევისპირულ კლუბში 14 მატჩი ითამაშა.

„ინგლისური ფეხბურთი ძალიან მიყვარს და მიხარია, რომ პრემიერლიგელი გავხდი — თქვა 26 წლის ფრანგმა — როგორც კი გავიგე „ბოლტონის“ დაინტერესების ამბავი, აგენტთან ერთად უმალ ინგლისში ჩავფრინდი და კონტრაქტი გავაფორმე“.

## ალის ფული დამალეს

**„სეტუბალის“** მარცხენა მცველი ალი სისოკო „პორტუმ“ იყიდა, მაგრამ არ გაამხილა, თუ რამდენი გადაიხადა ფრანგ მცველში.

სისოკო „სეტუბალში“ შარშან ივლისში „გენიონიდან“ გადაბარგდა და ძირითად შემადგენლობაში მალევე ჩაეწერა. ფრანგმა ამ სეზონის ყველა მატჩში ითამაშა. „ის ახალგაზრდაა, ფრანგული სკოლა აქვს გავლილი და დიდი პოტენციალი გაჩნია“ — თქვა „პორტუს“ მწვრთნელმა ჟესუალდო ფერეირამ 21 წლის მცველზე.

## მგლის ოკუბო

**„მალიორკას“** ყოფილი იაპონელი ფორვარდი იოშიტო ოკუბო „ვოლფსბურგში“ გადავიდა და თვისტომ მაკოტო ჰასებეს თანაგუნდელი გახდა. „ორი კლუბი ტრანსფერზე შეთანხმდა და კონტრაქტი გაფორმებულია“ — ნათქვამია იაპონური „ვისელ კობეს“ ოფიციალურ განცხადებაში. 26 წლის ოკუბო გერმანიაში ჩაფრინდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და „მგლებთან“ ხელშეკრულება გააფორმა.

იგი „მალიორკაში“ 2005-ის იანვრიდან 2006-ის ივნისამდე თამაშობდა და 39 მატჩში ხუთი გოლი შეაგდო. მერე სამშობლოში დაბრუნდა და „ოსაკაში“ გააგრძელა კარიერა, საიდანაც 2007 წლის დასაწყისში „კობეში“ გადაბარგდა. იაპონიის ჩემპიონატის 149 მატჩში 64 გოლი გაიტანა, ნაკრებში კი 33-ში — ხუთი.

# ხუთოსანი, რომელიც ლობეს ამტვრევდა

**6 იანვარს ვალერი ლობანოვსკის დაბადების დღე იყო, 70 წლისა გახდებოდა. წინა კვირაში, როცა ყველა უკრაინულმა არხმა ლობანოვსკის შესახებ სიუჟეტების მთელი ციკლი მოამზადა, ერთი ასეთიც იყო: ჟურნალისტმა მისი კლასელები, მათსავე საკლასო ოთახში შეკრიბა და განთქმულ ბავშვობის მეგობარზე ალაპარაკა. საინტერესო სიუჟეტი იყო და გვსურს, ლობანოვსკის ბავშვობისდროინდელი ამბებით დავიწყოთ მისი გახსენება...**



**ფეხბურთელობისას**

სსსრკ ჩემპიონი: 19961
სსრკ თასი: 1964
33 საუკეთესოთა შორის: 2 (1960, 1962)

**მწვრთნელობისას**

სსრკ ჩემპიონი: 8 (1974, 75, 77, 80, 81, 85, 86, 90)
სსრკ თასი: 6 (1974, 78, 82, 85, 87, 90)
უკრაინის ჩემპიონი: 5 (1997, 98, 99, 2000, 2001)
უკრაინის თასი: 3 (1998-2000)
თასების მფლობელთა თასი: 2 (1975, 86)
ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი: 1 (1983)
ევროპის სუპერთასი: 1 (1975)
მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილე: 2 (1986, 1990)

**როდესაც** ომის შემდგომ წლებში პატარა ბიჭი ბურთს დასდევდა, ცხადია, ვერავინ წარმოიდგენდა, წლების მერე ამხელა საფეხბურთო მოღვაწე თუ გახდებოდა. თანაც მაშინ ფეხბურთი მხოლოდ გართობა იყო. ვალერი ლობანოვსკი სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა და წიგნების კითხვაც უყვარდა. თუმცა თავისუფალ დროს მოიხელთებდა თუ არა, ბურთს დასდევდა.

ხარჯიანი საქმე იყო. ბუცები იმ დროს, აბა, სად იყო. ფეხსაცმელი კი, არც ახლაა ბურთზე სარტყმელად განკუთვნილი და მაშინ ხომ სულაც ერთ-ორ დღეში დაალებდა პირს ფეხბურთის თამაშის მერე. სწრაფად ცვდებოდა ბურთიც, თუმცა ვალერის დედას ბურთი ნაკლებად ადარდებდა, აი, ფეხსაცმლის დახევის გამო კი შვილს მუდამ ეჩხუბებოდა.

ფეხბურთი ლობეებსაც იწირავდა. ბიჭს ხის ლობე კარის მაგივრობას უწევდა და დამპალი ფიცრები ამდენ ტყაპუნს ვერ უძლებდა. ამ დროს მშველელად უფროსი ძმა, ევგენი ევლინებოდა-ხოლმე, ამძვრალი ფიცრის მაგიერ ახალს რომ უკეთებდა ლობეს და „კარიც“ ახლდებოდა.

დედა კი მაინც ცხარობდა: ბურთის დაჭრით, ფეხსაცმლის კი ლუმელში დაწვით იმუქრებოდა.

ძმის გარდა, მამაც ხელს უწყობდა შვილის გატაცებას. მამა ქარხანაში მუშაობდა, ძმა ინჟინერ-თბოენერგეტიკოსი იყო და მერე ინსტიტუტის დირექტორი გახდა.

ვალერი ლობანოვსკიმ სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა, მხოლოდ ერთი ოთხიანი გამოჰყვა, შემდეგ კი პოლიტექნიკური ინსტიტუტი — წარჩინებით.

ერთი ასეთი ამბავიც შეემთხვა, რაც საბჭოელ ჩინოვნიკთა სიბრიყვეზეც მიგვანიშნებს. ვალერი ლობანოვსკი უკვე განთქმული მწვრთნელი იყო, როდესაც საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტმა დადგენილება გამოსცა — საკავშირო უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდების მწვრთნელებს აუცილებლად ფიზკულტურის ინსტიტუტი უნდა ჰქონოდათ დამთავრებული. დადგენილება გამოსცეს და აღმოაჩინეს, რომ ერთადერთი მწვრთნელი, რომელსაც ჯიბეში ფიზკულტურელის დიპლომი არ ჰქონდა, ლობანოვსკი იყო. დადგენილების შესახებ სასწრაფოდ დაივიწყეს...

13 წლის ლობანოვსკიმ საფეხბურთო სკოლაში დაიწყო სიარული. ხშირად ამბობენ, ესა და ეს სპორტსმენი ამა და ამ მწვრთნელის აღმოჩენილიაო. ლობანოვსკის აღმომჩენი ნიკოლაი ჩაიკა იყო.

ხუთი წლის მერე კიევის „დინამომ“ მიიწვია. თავდაპირველად, ცხადია, დუბლშემადგენლობაში.

რით გამოირჩეოდა ლობანოვსკი-ფეხბურთელი? დრიბლინგით, მეტოქის მოტყუების უნარით, მარცხენა ფლანგზე ჩინებული გაჭრით და კუთხურებით.

მკითხველის ყურადღებას სწორედ კუთხურებზე შევაჩერებთ, რაკი სწორედ აქ გამოჩნდა პირველად მისი სამწვრთნელო ნიჭი. ლობანოვსკი ბურთს კუთხურის ნიშნულზე დადებდა, გამოექანებოდა, დაარტყმდა და... მერე მხოლოდ ორმა კაცმა იცოდა, რა მოხდებოდა. ცხადია, თავად ლობანოვსკიმ და ოლეგ ბაზილევიჩმა. სამი ვარიანტი იყო: ბურთი ან ახლო კუთხეში ჩაბზრიალდებოდა, ან შორეულში ან ბრწყინვალე ნახტომის მქონე ბაზილევიჩს დააჯდებოდა თავზე. და რაც ყველაზე საინტერესოა: ლობანოვსკი თავად ხაზავდა კუთხურის სქემებს, თითოეულ ვარჯიშზე ასჯერ მაინც არტყამდა, გამორბენისას ნაბიჯების ოპტიმალურ რაოდენობას თვლიდა, ანუ აკეთებდა იმას, რასაც შემდეგ მწვრთნელობისას, ათასჯერ მეტ ყურადღებას უთმობდა. ხოლო სქემების დახაზვას რაც შეეხება, ამას ლობანოვსკი-ფეხბურთელი ჯერ კიდევ 22 წლისა აკეთებდა. მაშინ ის უკვე „დინამოს“ პირველი გუნდის მოთამაშე იყო.

ოღონდ ისიც ვთქვათ, რომ ლობანოვსკის მწვრთნელებშიც გაუმართლა. ის მთელი ცხოვრება ემადლიერებოდა „დინამოს“ მწვრთნელებს ვიაჩესლავ სოლოვიოვს და ვიქტორ მასლოვს. სოლოვიოვმა პირველმა გამოიყენა 4 ნახევარმცველით თამაშის ტაქტიკა, რაც მსოფლიომ ცოტა მოგვიანებით, ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატისას ნახა. ხოლო მასლოვზე თავად ლობანოვსკი ამბობდა, მწვრთნელობა ღვთისგან ებოძაო.

მწვრთნელობა 29 წლისამ დაიწყო და მისი პირველი გუნდი იმხანად პირველლიგელი „დნეპრი“ იყო. უმაღლეს ლიგაში ხომ გადაიყვანა და პირველივე სეზონში მე-6 ადგილზე გაიყვანა.

რა იყო მერე ისედაც კარგად არის ცნობილი და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამ წერილს კი მარჩელო ლიპის სიტყვებით დავასრულებთ. 1997 წელს იტალიაში რუს მწვრთნელთა დიდი ჯგუფი ჩავიდა გამოცდილების მისაღებად. ლიპიმ მათთან შეხვედრისას მხრები აიჩეჩა, მიხარია, ჩვენი სამწვრთნელო სტილი რომ გაინტერესებთ, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ლობანოვსკის მეთოდები გამოგეყენებინათო?

ვალერი ლობანოვსკი 2002 წლის 13 მაისს გარდაიცვალა.

**ირაკლი ნინიძე**

# ადრიანო და მეძავები



„ინტერის“ ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო ახალ სექს-შარში გაეხვა.

ცოტა ხნის წინ მილანში პოლიციამ საროსკიპო დახურა და ეჭვობენ, რომ დაწესებულების ერთ-ერთი დამფუძნებელი სწორედ „ინტერის“ ფეხბურთ[illegible]ა.

ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ ადრიანომ აიტეხა, [illegible]ლიაში გული აღარ მიდგება, კარიერის გაგრძელება სამშობლოში მინდაო.

სამშობლოდ შვებულებაში წასულმა ბრაზილიელმა ევროპაში დაბრუნება დაიგვიანა და მის დაჯარიმებას კლუბი 150 ათასი ევროთი აპირებს.

პოლიციამ დააპატიმრა საროსკიპოს პატრონი 47 წლის ფედერიკო ჩეკიოლო, რომელსაც კოლექციაში მოჰყვა 20 რუმინელი და სლოვაკი მეძავი.

ჩეკიოლოს სატელეფონო საუბრების მოსმენისას გაირკვა, რომ მეძავების კლიენტთა შორის სერია A-ს რამდენიმე ფეხბურთელიც იყო, მათ შორის, ყველაზე ხშირი სტუმარი ადრიანო ყოფილა.

**რომან თურძია**

*ტოტალიზატორი*

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

— ღმერთებიც მე მეთამაშებიან, ტო... აზრზე ხარ? ბუნებაც რო პროწივზე დამიდგა ნახე?

— რა პონტში?

— ინგლისის მეორე ლიგაში შაბათს ცხრა თამაში მინუსოვკაში ავიღე და ცხრავე არ გადაიდო, ტო? მოედნები გაიყინაო. ვააა! მე კიდე დავიზმენდი, რამე ხო არ მეშლება, ხოკეი ხო არ ჩავწერე მეთქი...

— რა გაიყინა, თუ ძმა ხარ, დიდ მაყუთებს აგებდა „უილიამ ჰილი“ და ტური ჩაშალა, ცვეტში ეგრე იქნებოდა. ღამე მშრალ ყინულს შეიტანდნენ და ბალახში ჩამალავდნენ.

სხვანაირად შანსი არაა... მაგას ვინ ჩაყლაპავს, ძმაო, ეგენი დღეში სამჯერ თამაშობენ ჭამის მერე, ბალახს გაციებას არ აცლიან და რანაირად გაიყინებოდა?

აგე, მილანში თუ ცხელოდა, ვერ იყომარა „ინტერმა“ „კალიარისთან“?

ვენაცვალე მაურინიუს, ფუტბოლის გაგებაში არაა, რა ბილეთები დააზევინა პატიოსან ხალხს მაგ ყოზეაფეთქებულმა.

— აბაა, ჩემი... არადა ვიცოდი, ტო! უეჭველი ვიცოდი! შაბათს დილით არ გეუბნებოდი, რო „კალიარი“ არ წააგებსო?

ეგ კი არა, დაჟე, პარასკევს საღამოს ჩემთან რო ვბაზრობდით, მაშინ გითხარი. შენ რო დააკაკუნე, აგე „კალიარის“ იქსდვა მოვიდა, მეთქი, ცვეტში ვიფიქრე, ტო.

— რატო არ ჩაწერე, ძმაო, თუ იცოდი...

— მეშინია, ტო! ქვითარში „ინტერს“ რო ვწერ, ხელი მიშავდება და მილურჯდება.

— ეეე- შენ ხელი გიშავდება, მე კიდე შაბათს ღამე სიფათი შეიდჯერ გამილურჯდა.

ჯერ „სტოკი“-„ლივერპულის“ ორიანზე ხო წავაგე, ძმაო. რატო დადის ეს ბენიტესი ტრიბუნებზე მემაროჟნესავით, ვერ მოვწვი. თუ მწვრთნელი ხარ, დაჯე რა შენ ადგილზე ზაპასნოების სკამზე.

ტრიბუნიდან რა, მამენტ უფრო კარგა ჩანს ოთხიოთხიორები?

— ეგ ბენიტესი ყველაზე პროფესორი ყომარბაზია, ტო! დამიჯერე. იმენა ისპალნიტელია. აეგრე დაწანწალებს ტრიბუნაზე და იქ ურეკავენ, რა უნდა დასვას. ნიჩია, მეტი თუ ნაკლები. ლიჩნად მე „ლივერპულს“ არ ვეკარები, ტო.

— მერე რაც ბენიტესისგან ფული დამრჩა, გალისიაში დავაბანდე. მეთქი „დეპორტივო“-„სევილია“ აძინიქსს ტყეში ხო ვერ გააქცევა.

არადა, იმენა დილიდან იქსდვას ვფქრობდი და შუადღის მერე აძინიქსისკენ წამოვიდა. ბოლოს დაჟე ერთიანშიც იკვეთებოდა, მარა ერთიანს იქსი მაინც მიუდგი, მეთქი, უფრო კარგად დამეძინება.

— მერე?

— ეეე- რა ბენიტესი და მაურინიუ, ძმაო, აბა ეგ „დეპორტივო“ ყოფილა, ყომართუხუცესი. „ლივერპული“ და „ინტერი“ მაგასთან შედარებით საქველმოქმედო ორგანიზაციებია. პირველი ტაიმი აძინ ნოლ მოიგო, „სევილიას“ კაცი გაუძევეს, და ათმა მეორე ტაიმში სამი ცალი გაუტანა. კაი რა! ნამუსიც კაი ტაიმბოლია!

მორჩა ძმაო, მე ამ კვირაში აღარ გავმაზავ, იავნად პალასა დამეკარგა. იმ დღეს ყინულზე წავიქეცი და რო ავდექი, მგონი ნიტო პალასაზე დავდექი.

**ძუში ძოუმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი:

| | წყვილი | შედეგი | |
|---|---|---|---|
| 001 | ნეფთჩი-ფეიენოორდი | 1 | (1:5) |
| 002 | შალკე - ტოპ ოსი | 2,5 და ნაკ. | (6:1) |

114140 *



დევიდ ბექჰემი



შეიხი მანსური

# მდიდრები

„მანჩესტერ სიტის“ პატრონი მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანი ბრიტანული ფეხბურთის უმდიდრესი კაცია. ჟურნალ Four Four Two-ს მიერ გამოქვეყნებულ ნუსხაში არაბმა შეიხმა რომან აბრამოვიჩს გადაასწრო, რომელმაც მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

38 წლის შეიხის ქონება 15 მილიარდი გირვანქაა...

ამ სიაში არიან მწვრთნელები და ფეხბურთელებიც. მათ შორის, ინგლისის ნაკრების თავკაცი ფაბიო კაპელო 25 მილიონით 73-ეა, ალექს ფერგიუსონი 22 მილიონით 78-ე და არსენ ვენგერი 14 მილიონით 92-ე.

ჩვენ კლუბების პატრონების და ფეხბურთელების ათეულებს გთავაზობთ...

**კლუბების პატრონები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანი (სიტი) | 15 მილიარდი |
| 2 | ლაქშმი მიტალი (ქუინზ პარკი) | 12,5 მილიარდი |
| 3 | რომან აბრამოვიჩი (ჩელსი) | 7 მილიარდი |
| 4 | ჯო ლუისი (ტოტენჰემი) | 2,5 მილიარდი |
| 5 | ბერნი ეკლსტოუნი (ქუინზ პარკი) | 2,4 მილიარდი |
| 6 | სტენლი კრონკე (არსენალი) | 2,24 მილიარდი |
| 7 | ალიშერ უსმანოვი (არსენალი) | 1,5 მილიარდი |
| 8 | ლორდ გრანჩესტერი (ევერტონი) | 1,2 მილიარდი |
| | დერმოტ დესმონდი (სელტიკი) | 1,2 მილიარდი |
| 10 | ლორდ ეშკროფტი (უოტფორდი) | 1,1 მილიარდი |
| | მალკოლმ გლეიზერი (მანჩესტერი) | 1,1 მილიარდი |

**ფეხბურთელები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | დევიდ ბექჰემი (მილანი) | 125 მილიონი (38-ე საერთო სიაში) |
| 2 | მაილ ოუენი (ნიუკასლი) | 40 მილიონი (56) |
| 3 | უეინ რუნი (მანჩესტერი) | 35 მილიონი (61) |
| 4 | რიო ფერდინანდი (მანჩესტერი) | 28 მილიონი (69) |
| | რობი ფაულერი (უკლუბოდ) | 28 მილიონი (69) |
| | სოლ კემპბელი (პორტსმუთი) | 28 მილიონი 69) |
| 7 | რაიან გიგზი (მანჩესტერი) | 23 მილიონი (77) |
| 8 | მიხაელ ბალაკი (ჩელსი) | 20 მილიონი (80) |
| 9 | ფრენკ ლამპარდი (ჩელსი) | 20 მილიონი (80) |
| 10 | სტივენ ჯერარდი (ლივერპული) | 19 მილიონი (86) |

# ზიკო მოსკოვში უვიზო ძმით

**55 წლის** ზიკო მოსკოვის ცსკა-ს მწვრთნელი გახდა. ამ პოსტიდან, შეგახსენებთ, ერთი თვის წინ ვალერი გაზაევი წავიდა.

ბრაზილიელმა უკვე მიიღო რუსეთის ვიზა, მაგრამ მის ძმას და თანაშემწე ედუს სავიზო პრობლემა შეექმნა. ამ პრობლემის მოგვარებისთანავე ძმები მოსკოვში ჩავლენ და კონტრაქტს გააფორმებენ.

ზიკო 1999 წელს „კაშიმა ანთლერზის“ მწვრთნელად მუშაობდა, 2002-2006 წლებში იაპონიის ნაკრებს თავკაცობდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე (2006) ათამაშა.

იმავე ზაფხულს „ფენერბაჰჩე“ ჩაიბარა და ერთხელ ჩემპიონატი, ერთხელ კი თურქეთის სუპერთასი მოაგებინა. შარშან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა.

„ფენერბაჰჩედან“ უზბეკურ „ბუნიოდკორში“ წავიდა, სადაც ჩემპიონატი და თასი მოიგო.

**რომან თურძია**

# იტალია

## სერია A. XVIII ტური

# ათხოვე და გაგიტანს

**ჯენოა 3:0 ტორინო**
1:0 ბიავა (18), 2:0 იანკოვიჩი (48), 3:0 მოტა (85)
გაფრთხილება: მოტა, ბოჩეტი (ჯენოა), ფეშაილი, პიზანო, ლორეტო (ტორინო)

**ინტერი 1:1 კალიარი**
0:1 აკვაფრესკა (65), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (77)
გაფრთხილება: მუნტარი (ინტერი), კოსუ (კალიარი)

**ბოლონია 1:1 კიევო**
0:1 პელისიერი (43), 1:1 დი ვაიო (453)
გაფრთხილება: მარკინი, ბომბარდინი, ვოლპი (ბოლონია), რიგონი, მანტოვანი, პინცი (კიევო)
გაძევება: მუდინგაი (81, ბოლონია)

**ფიორენტინა 1:2 ლეჩე**
0:1 ჯაკომაცი (6), 1:1 მელო (24), 1:2 კასტილიო (28)
გაფრთხილება: მელო, ოსვალდო, ოსვალდო (ფიორენტინა), ჯულიატო, ჯაკომაცი (ლეჩე)
გაძევება: ოსვალდო (90)

**იუვენტუსი 1:0 სიენა**
1:0 დელ პიერო (33)
გაფრთხილება: გრიგერა (იუვენტუსი), კოდრეა (სიენა)

**ნაპოლი 1:0 კატანია**
1:0 მაჯო (80)
გაფრთხილება: მორიმოტო (კატანია)

**პალერმო 3:2 ატალანტა**
1:0 მიკოლი (22), 2:2 ბრეშიანო (39), 2:1 ფლოკარი (65), 2:2 პინტო (78), 3:2 კავანი (81)
გაფრთხილება: ლივერანი, ნოჩერინო, კიაერი (პალერმო), დარისი (ატალანტა)

**რეჯინა 2:3 ლაციო**
1:0 კორადი (43), 1:1, 1:2 პანდევი (14, 22), 2:2 კოცა (63), 2:3 პანდევი (76)
გაფრთხილება: ტონოცი, ჩირილო, კოშტა (რეჯინა), კარიცო, დიაკიტე (ლაციო)

**უდინეზე 1:1 სამპდორია**
0:1 დელვეკიო (57), 1:1 დომიცი (62)
გაფრთხილება: სამარკო, დელვეკიო, ლუკინი (სამპდორია)

**რომა — მილანი**
წუხელ გვიან დამთავრდა, ცხრილში შეტანილი არ არის, შედეგი კი იხილეთ 31-ე გვერდზე

**ჩემპიონატში** ზედიზედ რვა მატჩის მომგები „ინტერი" „კალიარიმ" დაამუხრუჭა.

„როცა ყველა თავის პოზიციაზე თამაშობს და გუნდი დაბალანსებულია, ამას კარგი შედეგიც მოჰყვება — თქვა ჟოზე მოურინიომ — დღეს ჩვენ გაკლდა რამდენიმე ფეხბურთელი და ვერ მოვიგეთ.

შეიძლება ვინმემ მითხრას, „ინტერის" დონის გუნდს რა უნდა უჭირდესო, მაგრამ აწყობილი გუნდიდან ერთი მოთამაშის გამოკლებაც უკვე დიდი პრობლემაა".

„ინტერს" დუგლას მაიკონი და დეიან სტანკოვიჩი არ ჰყავდა „კალიარისთან", რომლის კარიც მასპინძლებმა დაცხრილეს. საიდან არ ურტყეს რიგრიგობით, გოლი კი სტუმარმა აკვაფრესკამ გაიტანა.

საჯარიმოს ხაზთან ვალტერ სამუელს ბურთიანად გასცდა და შეაგდო.

მოურინიომ კრესპო და მანსინი შეუშვა და ამის მერე „ინტერის" შეტევები კიდევ უფრო გიჟური გახდა. საჯარიმოში მარცხნიდან შესულმა კრესპომ კარის წინ გააგორა ბურთი, შორ ძელთან იბრაჰიმოვიჩის ფეხი დახვდა და — 1:1.

„ერნან კრესპო ხშირად შეცვლებზე თამაშობს, მაგრამ ის ნამდვილი პროფესიონალია, თავდაუზოგავად მუშაობს და შანსის გამოყენება შეუძლია" — შეაქო მწვრთნელმა არგენტინელი.

„ჩვენ ამ მატჩისთვის გულმოდგინედ ვემზადებოდით და კარგადაც ვითამაშეთ — თქვა „კალიარის" ფორვარდმა აკვაფრესკამ, ვინაც „ინტერიდან" განათხოვრებულია. მეტი გამოცდილება რომ გვქონოდა, სამ ქულასაც წავიღებდით."

ბოლო წუთზე მანსინიმ გაიტანა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს.

შაბათსვე „ჯენოა" იოლად გაუსწორდა „ტორინოს", რომელსაც გენუაში არასოდეს მოუგია და ამჯერადაც ხელცარიელი გაბრუნდა.

ჯუზეპე ბიავამ თავურით გახსნა ანგარიში, ბოშკო იანკოვიჩმაც, ასევე თავურით, პირველი გოლი შეაგდო „ჯენოას" მაისურით და ბოლოს ტიაგუ მოტამ სხვაობა სამამდე გაზარდა.

გუშინ „იუვენტუსმა" უბერებელი დელ პიეროს გოლით მოუგო „სიენას" და „ინტერთან" სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 18 | 13 | 4 | 1 | 32:12 | 43 |
| იუვენტუსი | 18 | 12 | 3 | 3 | 31:13 | 39 |
| მილანი | 17 | 10 | 3 | 4 | 28:18 | 33 |
| ნაპოლი | 18 | 10 | 3 | 5 | 26:16 | 33 |
| ჯენოა | 18 | 9 | 5 | 4 | 27:17 | 32 |
| ფიორენტინა | 18 | 10 | 2 | 6 | 26:16 | 32 |
| ლაციო | 18 | 9 | 3 | 6 | 29:24 | 30 |
| პალერმო | 18 | 8 | 2 | 8 | 24:23 | 26 |
| კატანია | 18 | 7 | 4 | 7 | 18:21 | 25 |
| ატალანტა | 18 | 7 | 3 | 8 | 23:22 | 24 |
| უდინეზე | 18 | 6 | 5 | 7 | 26:27 | 23 |
| რომა | 16 | 7 | 2 | 7 | 21:23 | 23 |
| კალიარი | 18 | 6 | 4 | 8 | 21:22 | 22 |
| სამპდორია | 17 | 5 | 5 | 7 | 16:19 | 20 |
| სიენა | 18 | 5 | 4 | 9 | 13:20 | 19 |
| ლეჩე | 18 | 3 | 8 | 7 | 16:25 | 17 |
| ბოლონია | 18 | 3 | 7 | 8 | 20:28 | 16 |
| ტორინო | 18 | 4 | 3 | 11 | 18:32 | 15 |
| რეჯინა | 18 | 3 | 4 | 11 | 17:36 | 13 |
| კიევო | 18 | 2 | 4 | 12 | 10:28 | 10 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დი ვაიო (ბოლონია) | 13 |
| ჯილარდინო (ფიორენტინა) | 12 |
| დ. მილიტო (ჯენოა) | 12 |

## სერია B. XX ტური

ალბინოლეფე — ლივორნო 0:1; ასკოლი — ტრევიზო 1:0; აველინო — მოდენა 4:3; ბარი — სალერნიტანა 1:0; ჩიტადელა — ფროზინონე 0:0; გროსეტო — ანკონა 2:1; მანტოვა — პიაჩენცა 0:0; ტრიესტინა — ემპოლი 2:0; ვიჩენცა — პარმა 1:1. სასუოლო — ბრეშა გადაიდო, პიზა — რიმინი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარი | 20 | 10 | 7 | 3 | 21:15 | 37 |
| პარმა | 20 | 8 | 9 | 3 | 24:16 | 33 |
| სასუოლო | 18 | 9 | 5 | 4 | 29:17 | 32 |
| ლივორნო | 19 | 7 | 11 | 1 | 24:12 | 32 |
| ემპოლი | 20 | 9 | 5 | 6 | 25:21 | 32 |
| გროსეტო | 20 | 9 | 5 | 6 | 32:30 | 32 |
| ბრეშა | 19 | 9 | 5 | 5 | 21:19 | 32 |
| ტრიესტინა | 20 | 8 | 7 | 5 | 27:21 | 31 |
| ვიჩენცა | 20 | 7 | 8 | 5 | 25:13 | 29 |
| პიზა | 19 | 7 | 5 | 7 | 26:25 | 26 |
| მანტოვა | 20 | 6 | 8 | 6 | 19:19 | 26 |
| ალბინოლეფე | 20 | 5 | 9 | 6 | 17:19 | 24 |
| ანკონა | 20 | 6 | 5 | 9 | 27:26 | 23 |
| რიმინი | 19 | 6 | 5 | 8 | 22:27 | 23 |
| ფროზინონე | 20 | 5 | 8 | 7 | 22:27 | 23 |
| ტრევიზო | 20 | 4 | 10 | 6 | 19:23 | 22 |
| ჩიტადელა | 20 | 4 | 9 | 7 | 15:18 | 21 |
| პიაჩენცა | 20 | 5 | 6 | 9 | 15:21 | 21 |
| ასკოლი | 20 | 5 | 6 | 9 | 13:22 | 21 |
| აველინო | 20 | 4 | 8 | 8 | 19:29 | 20 |
| სალერნიტანა | 20 | 5 | 5 | 10 | 18:28 | 20 |
| მოდენა | 20 | 3 | 6 | 11 | 24:36 | 15 |



„ინტერი" მარცხისგან ზლატან იბრაჰიმოვიჩმა (№8) იხსნა



ტურინელთა გმირი კვლავაც ალესანდრო დელ პიეროა

# კვირის ქრონიკა

## უდინეზე დამუნჯდა

**„უდინეზეს"** შეფებმა ფეხბურთელებს მედიასთან ტრანსფერებზე საუბარი აუკრძალეს. ეს აკრძალვა ოფიციალურად შეიტანეს დოკუმენტში, რომელიც მოედნის მიღმა მოთამაშეების ქცევას აწესრიგებს.

გარდა ამისა, ფეხბურთელებს დაავალეს, რომ თავ-თავის აგენტებსაც დაამოკლებინონ ენები და ჭორაობას თავი დაანებონ. წესი სეზონის დასრულებამდე იმოქმედებს და დამრღვევი ფინანსურად დაჯარიმდება.

კლუბს ამ ნაბიჯის გადადგმა წინასაახალწლო რია-რიამ აიძულა, რაც „უდინეზეს" ლამის ყველა ფეხბურთელის სხვა გუნდებში გადასვლას უკავშირდებოდა.

## შარიანი გარი

**ჩილეს** ნაკრების და „უნივერსიდად კათოლიკას" მცველი გარი მედელი ავარიის შედეგად მსუბუქად დაშავდა. სანტიაგოსკენ ავტომობილით მიმავალი ფეხბურთელი გზისპირა ღობეს შეეჯახა და მანქანიდან გადმოვარდა.

2007 წლის ოქტომბერში მედელი იმის გამო მოხვდა პოლიციაში, რომ საჭესთან მთვრალი იჯდა და ავტომობილს სანტიაგოს ქუჩებში დააქროლებდა. თან ზედ საპატრულო პოსტთან.

ამჯერად ნასვამი არ ყოფილა, მაგრამ ღვედი არ ჰქონდა გადაჭიმული და წინა შუშიდან გამოფრინდა.

სამშობლოში ის ერთ-ერთ უნიჭიერეს მოთამაშედ ითვლება. იქაურმა ჟურნალისტებმა 2008-ში წლის საუკეთესოდ აღიარეს. ნაკრების მწვრთნელად მარსელო ბიელსას დანიშვნის დღიდან მედელი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

შარშან ბოლივიასთან შესარჩევ მატჩში (2:0) ორივე გოლი მან გაიტანა. 2007 წელს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე არგენტინასთან შეხვედრის მეთხუთმეტე წუთზე გააძევეს. იმავე წელს უნივერსიდადელ თანაგუნდელ ეროს პერესს ეჩხუბა ჩილეს ჩემპიონატის მატჩში. მაშინ პერესმა მედელს „ზიდანი" ჩაუტარა და მკერდში თავი ჰკრა.

2007-სავე სექტემბერში „დეპორტეს კონსეფსიონთან" შეხვედრისას მეტოქეს შეაფურთხა და ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

აი, ასეთი ხათაბალაა 21 წლის გარი მედელი.

# ინგლისი

### I ლიგა

ლიდსი — კარლაილი 0:2; ლესტერი — ლეიტონი 3:0; ნორტჰემპტონი — ჰადერსფილდი 1:1. ბრისტოლი — იოვილი, ჩელტენემი — მილუოლი, ოლდემი — ჰარტლპული, სკანთორპი — ჰერეფორდი, საუთენდი — ქრიუ, სუინდონი — სტოკპორტი, ტრანმერი — პიტერბრო, უოლსოლი — ბრაიტონი გადაიდო

### II ლიგა

ნოთსი — ექსეტერი 2:1; ბარი — ბარნეტი 1:0; ლინკოლნი — ბრენტფორდი 2:2. ჩესტერფილდი — როჩდეილი, დაგენემი — უიკომბი, ჯილინგემი — ალდერშოტი, გრიმსბი — მორეკომბი, ლუთონი — როტერემი, მაკლსფილდი — პორტ ვეილი, შრიუსბერი — ჩესტერი, აკრინგტონი — დარლინგტონი, ბორნმუთი — ბრედფორდი გადაიდო

### სამხრეთ კონფერენსლიგა

ბათი — თაროკი, სტორტფორდი — თიმ ბათი, ბრონლი — ბრაინთრი, ჩელმსფორდი — ჰემპტონი, დორჩესტერი — ფიშერი, ისტლი — სტ ალბანსი, ნიუპორტი — ბოგნორი, ვორჩესტერი — მეიდენჰედი გადაიდო

### ჩრდ. კონფერენსლიგა

ფლიტვუდი — გემსბრო, გეითსჰედი — თამვორთი, ჰეროგეითი — ბარსკო, ჰინკლი — სტეფორდი, ჰაკნალი — ფარსლი, ჰაიდი — ბლითი, ვოქსჰოლი — ალფრეტონი გადაიდო

### კონფერენსლიგა

მენსფილდი — ალტრინჩემი; უოკინგი — ნორთვიჩი ; ჰისტონი — ვეიმუთი ; მენსფილდი — ალტრინჩემი გადაიდო

### FA ტროფი

ტივერთონი — კეტერინგი 1:1; ფორესტ გრინი — რედიჩი 5:0; ბარტონი — სალისბერი 3:0; დარპემი — საუთპორტი 1:1; ტორკი — რაშდენი 1:0. ებსფლითი — სტალიბრიჯი, ფარნბორო — სტივენეიჯი, ჰედნესფორდი — უელინგი, ილკერსტონი — კიდერმინსტერი, ლიუისი — ჰავანთი, ოქსფორდი — იორკი, ტელფორდი — ჰაიესი, უქსბრიჯი — სუინდონი, ბაროუ — ვორკინგტონი, ბასინგსტოკი — რექსემი, კემბრიჯი — ქრიული გადაიდო

### კარლინგის თასი

დერბი — მანჩესტერი 1:0

# უელსი

### პრემიერლიგა

ჰევერფორდვესტი — ბანგორი 0:2. კარმარფონი — აირბასი, ნითი — კარმარტენი, პრესტატინი — ტნს, აბერისვითი — კონაჰი, დრუიდსი — პორტ ტალბოტი, პორთმადოგი — ქაერსვი, ველშპული — ნიუთაუნი, ლანელი — რილი გადაიდო

# ჩრდ. ირლანდია

### პრემიერლიგა

ბალიმენა — კლიფტონვილი 1:3; ბანგორი — ინსტიტუტი 2:2; კოლერეინი — დანგანონი 2:1; კრუზეიდერსი — გლენავონი 2:2; ლინფილდი — ნიური 1:1; ლისბურნი — გლენტორანი 0:3

# თურქეთი

### თასი
### ჯგუფური ეტაპი

ანკარაგიუჯუ — თოკასი 1:0; დენიზლი — ალანია 1:0; მანისა — კონია 1:0; ფენერბაჩე — ბურსა 2:0; ალთაი — გალათასარაი 1:2; ანკარა — კაისერი 1:2; გაზიანთეფი BBK — ანთალია 0:3; გაზიანთეფი — ბეშიქთაში 0:1; ალანია — მანისა 2:2; ესკიშეჰირი — ანკარაგიუჯუ 2:1; მალათია — ალთაი 0:3; თოქათი — ფენერბაჩე 0:1; კაისერი — მალათია 3:1; ანთალია — ტრაბზონი 3:3; ბეშიქთაში — გაზიანთეფი BBK 3:1





# რაფას ნერვები 0 ფერგის ნერვები 1

## შოტლანდიელმა ესპანელი სიტყვებით ააფეთქა...

**ალექს ფერგიუსონმა** წყნარი რაფაელ ბენიტესი გააგიჟა. „ლივერპულის“ ესპანელმა მწვრთნელმა ვეღარ გაუძლო შოტლანდიელისგან „კბენას“ და ამოხეთქა.

ფერგიუსონმა, როგორც სჩვევია, კონკურენტის ნერვებზე გაიარა — „ლივერპული“ ფსიქოლოგიურად გატყდება, პირველ ადგილს დიდხანს ვერ შეინარჩუნებს და ჩემპიონობა არ უწერიაო.

რაფაელ ბენიტესმა კი, რაც გულში ჰქონდა, ყველაფერი გადმოალაგა: „შარშან აპრილში მისტერ ფერგიუსონმა საჯაროდ გალანძღა მსაჯი მარტინ ატკინსონი და არბიტრების შეფი კეიტ ჰეკეტი, მაგრამ დაუსჯელად გამოძვრა ამ ამბიდან. ის ერთადერთია პრემიერლიგაში, მსაჯების კრიტიკისთვის პასუხს რომ არ აგებს“.

აპრილში „პორტსმუთთან“ სათასო მეოთხედფინალში დამარცხებული „მანჩესტერის“ მწვრთნელმა ტელეინტერვიუში თქვა, ატკინსონი აშკარად „პორტსმუთს“ ემხრობოდაო.

ალექს ფერგიუსონმა პრემიერლიგის საამსეზონო კალენდარიც დაიწუნა, რომელიც, მისი აზრით „ლივერპულისთვისაა“ შედგენილი.

„რა სჭირს დასაწუნი, ვერ გავიგე — გაცხარდა ესპანელი — ლიგის ყველა ლიდერს „მანჩესტერი“ მეორე წრეში შინ ხვდება. თუ არ მოსწონს, მაშინ მისტერ ფერგიუსონმა თავისი კლუბის ოფისში შეადგინოს მისთვის სასურველი კალენდარი და პრეტენზიაც აღარ ექნება. „ლივერპულის“ პირველობა კი გულს იმიტომ უხეთქავს, რომ გრძნობს, ამ სეზონში ჩემპიონობას ვერ ეღირსება და ნერვიულობს. მე ნერვების თამაშის ასე ადრე დაწყება არ მინდოდა, მაგრამ უკვე დაიწყო. მე არაფერ, მითქვამს იმის გამო, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ სტივ ბენეტმა ხავიერ მასკერანო გაგვიძევა. ამავე მსაჯმა „უიგანს“ „მანჩესტერთან“ ასპროცენტიანი პენალტი არ დაუდო, როცა ბურთი ფერდინანდმა ხელით გააჩერა. მათ ის შეხვედრაც მოიგეს და ჩემპიონატიც. „ოლდ ტრეფორდზე“ ალექს ფერგიუსონი მსაჯებს სულ უკან დასდევს. განსაკუთრებით შესვენებისას, როცა ისინი გასახდელისკენ მიდიან და გაუთავებლად ელაპარაკება, ელაპარაკება, ელაპარაკება... ორი სეზონის წინ საგარეო მატჩებს შაბათ დილით გვათამაშებდნენ, „მანჩესტერს“ კი კვირა საღამოს, მაგრამ არაფერი მითქვამს, ახლა კი ფერგიუსონი ატყდა, ყველა და ყველაფერი ჩვენს საწინააღმდეგოდ კეთდებაო. ან კიდევ, გასულ დეკემბერს, რატომ ითამაშა „მანჩესტერმა“ 29-ში, როცა დანარჩენმა კლუბებმა მატჩები 28-ში გამართეს?“

რაფაელ ბენიტესს „მეორე ხმა“ ცნობილმა მსაჯმა გრემ პოლმა დააწია: „ბენიტესმა თქვა ის, რასაც ბევრი არბიტრი ფიქრობს, მაგრამ ლაპარაკს ერიდებიან. ალექს ფერგიუსონი მართლაც ხელშეუხებელია. ფეხბურთის ასოციაციაში შეიძლება გაჩვენონ ფურცელი, სადაც წერია, რომ ფერგიუსონიც კი დაუსჯიათ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ მაშინ „მანჩესტერის“ მწვრთნელი მოედანზე შეიჭრა და მსაჯ მაიკ დინს პრეტენზიები იქ მიახალა“.

„არსენალის“ თავკაც არსენ ვენგერს, რომელსაც ფერგიუსონთან „ნერვების მატჩი“ არაერთხელ უთამაშია, რაფაელ ბენიტესის განრისხება გაუკვირდა: „არ ველოდი. ჩემი ესპანელი კოლეგა მშვიდი კაცია. ასე რატომ გაბრაზდა, არ ვიცი და არა მგონია, რომ ფერგიუსონის ნათქვამმა „ლივერპულს“ რამე ავნოს. ეს ძველ ამბავს მახსენებს, როცა ალექს ფერგიუსონმა მსგავსი რამეები თქვა კევინ კიგანის „ნიუკასლზე“, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოდა და საბოლოოდ, ვერ მოიგო. მაგრამ, განა იმიტომ ვერ მოიგო, რომ კიგანის ნერვები მოეშალა, არამედ იმიტომ, რომ გუნდს დაცვაში პრობლემები შეექმნა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინგლისი

## პრემიერლიგა. XXI ტური

# მოურინიუმ პატარა დიდი ფილი ნახა

### ტურის მატჩი

**მანჩესტერ 3:0 ჩელსი**

1:0 ვიდიჩი (45), 2:0 რუნი (63), 3:0 ბერბატოვი (87)

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, ვიდიჩი, ევანსი, ევრა (ოში 66), რონალდუ, ფლეტჩერი, გიგზი (ქერიკი 79), პარკი, ბერბატოვი, რუნი

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა (ბელეტი 64), კარვალიუ, ტერი, ე. კოული, მიკელი, ჯ. კოული (დი სანტო 85), ბალაკი, ლამპარდი, დეკო (ანელკა 46), დროგბა

**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი

**გაფრთხილება:** რონალდუ, რუნი, პარკი, ლამპარდი, კარვალიო, ბოსინგვა, ტერი

**მსაჯი:** ჰოვარდ უები

75 495 მაყურებელი

**არსენალი 1:0 ბოლტონი**

1:0 ბენდტნერი (84)

**გაფრთხილება:** ჟურუ, რამსი (არსენალი), რიგა, მაკკანი (ბოლტონი)

**ევერტონი 2:0 ჰალი**

1:0 ფელაინი (18), 2:0 არტეტა (45)

**გაფრთხილება:** ფელაინი, კეჰილი (ევერტონი), მენდი, ზაიატი, რიკეტსი, კუზინი, პაგანი (ჰალი)

**მიდლსბრო 1:1 სანდერლენდი**

1:0 აფონსო ალვეში (45), 1:1 ჯონსი (82)

**გაფრთხილება:** მალბრანკი, რიჩარდსონი, ნოსუორთი, ჯონსი (სანდერლენდი)

**ნიუკასლი 2:2 ვესტ ჰემი**

1:0 ოუენი (19), 1:1 ბელამი (29), 1:2 კ. კოული (55), 2:2 კეროლი (79)

**გაფრთხილება:** გატრიე (ნიუკასლი)

**სტოკი 0:0 ლივერპული**

**გაფრთხილება:** ეთერინგტონი, უილკინსონი (სტოკი), ჯერარდი, ლეივა (ლივერპული)

**უიგანი 1:0 ტოტენჰემი**

1:0 ფიგუეროა (90)

**გაფრთხილება:** ვალენსია, პალასიოსი, შარნერი (უიგანი), ბალი, სოკორა, ჰუდლსტონი (ტოტენჰემი)

**ასტონ ვილა 2:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 კ. დევისი (19), 2:0 კარსონი (41ს.კ.), 2:1 მორისონი (49)

**გაფრთხილება:** ლაურსენი (ასტონ ვილა), ბედნარი (ვესტ ბრომვიჩი)

**ფულემი — ბლექბერნი**

**პორტსმუთი — სიტი**

გადაიდო

**„მანჩესტერმა“** ბოლო რვა მატჩიდან მეექვსე მოიგო და არცერთში გოლი არ გაუშვია.

გუშინ „ჩელსიც“ უშანსოდ იყო „ოლდ ტრეფორდზე“. დიდი ფილის გუნდი დაპატარავდა. სადღაა მოურინიოს დროინდელი მხეცი დიდიე დროგბა და მფრინავი ლამპარდი. დაბერებულებს ჰგავდნენ და ტემპშიც ვერ აჰყვნენ „მანჩესტერს“, რომელმაც საუცხოოდ ითამაშა და უფრო დიდი სხვაობით მოგებაც შეეძლო.

ანგარიში კარგმა მოთავურე ნემანია ვიდიჩმა გახსნა — კუთხურიდან ჩაწოდებული შეაგდო კარში.

აგრესიულმა უეინ რუნიმ მეტოქის ფეხებსშუა გაჰყო ფეხი და მეორე გაიტანა, მესამე კი დახაზული გოლი იყო — რონალდუმ ჩააწოდა კარის წინ, სადაც ბურთს ბერბატოვის გრძელი ფეხი დახვდა.

„მანჩესტერმა“ გადაასწრო „ასტონ ვილას“ და ხუთი ქულით ჩამორჩება „ლივერპულს“.

ტრიბუნაზე ჟოზე მოურინიოც იჯდა.

სტოკელმა რორი დელაპმა და დეივ კიტსონმა ასპროცენტიანი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს „ლივერპულთან“, სტივენ ჯერარდმა ორჯერ კარის ჩარჩოს გაარტყა და პრემიერლიგის ლიდერი ქულას დასჯერდა.

„ჩვენ თამაშს ვერ ვაკონტროლებდით და როცა ამას ვერ ვახერხებთ, მოგება ძნელია“ — თქვა რაფაელ ბენიტესმა.

„არსენალი“ კი „ბოლტონთან“ მთელი 90 წუთი აკონტროლებდა თამაშს, მაგრამ არსენ ვენგერმა სანამ ადებაიორს ბენდტნერი არ მიუმატა, მისმა გუნდმა მეტოქეს ვერ გაუტანა.

ემანუელ ადებაიორი ამაოდ დაიხლართებოდა მოედანზე და ერთხელ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ვერ გაიტანა. რობინ ვან პერსიმ ძელს შეაწყვიტა ბურთი და სულ ეს იყო, რაც „არსენალმა“ შექმნა დაცვაში გამოკეტილ „ბოლტონთან“.

ვენგერმა ჯერ კარლოს ველა შეუშვა, მერე ბენდტნერი, რასაც ფლანგებიდან საჯარიმოში ჩაწოდება და ბოლო-ბოლო, გოლი მოჰყვა.

ვან პერსიმ მარცხნიდან ჩააბზრიალა კარის წინ, სადაც ბენდტნერმა მცველს დაასწრო და ბურთი კარში ფეხით შეტენა.

20 წლის ფორვარდმა ენდი კეროლმა „ნიუკასლის“ მაისურით პირველი და ძვირფასი გოლი გაიტანა, რადგან გუნდს ქულა მოუტანა. „ნიუკასლი“ მაიკლ ოუენის გოლით უგებდა „ვესტ ჰემს“, მაგრამ კრეიგ ბელამის და კარლტონ კოულს ნახევარი საათიც კი არ დასჭირდათ „ჩაქუჩების“ დასაწინაურებლად.

„ჩემმა გუნდმა მეტოქეზე უკეთ ითამაშა და გამარჯვებას იმსახურებდა“ — თქვა „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა ჯანფრანკო ძოლამ.

**ვაჟა ხუციშვილი**



„ჩელსის“ წაგებამ ჟოზე მოურინიოს გული მაინცდამაინც არ დასწყვიტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 21 | 13 | 7 | 1 | 35:13 | 46 |
| ჩელსი | 21 | 12 | 6 | 3 | 40:12 | 42 |
| მანჩესტერი | 18 | 11 | 5 | 2 | 31:10 | 38 |
| არსენალი | 21 | 11 | 5 | 5 | 34:23 | 38 |
| ასტონ ვილა | 20 | 11 | 5 | 4 | 34:23 | 38 |
| ევერტონი | 21 | 10 | 5 | 6 | 29:25 | 35 |
| უიგანი | 20 | 9 | 4 | 7 | 25:21 | 31 |
| ჰალი | 20 | 7 | 6 | 7 | 28:38 | 27 |
| ფულემი | 19 | 6 | 8 | 5 | 18:14 | 26 |
| ვესტ ჰემი | 21 | 7 | 5 | 9 | 26:30 | 26 |
| ნიუკასლი | 21 | 5 | 8 | 8 | 28:34 | 23 |
| ბოლტონი | 21 | 7 | 2 | 12 | 22:29 | 23 |
| სანდერლენდი | 21 | 6 | 5 | 10 | 22:30 | 23 |
| პორტსმუთი | 20 | 6 | 5 | 9 | 21:33 | 23 |
| სიტი | 20 | 6 | 4 | 10 | 38:30 | 22 |
| მიდლსბრო | 20 | 5 | 6 | 9 | 18:29 | 21 |
| სტოკი | 21 | 5 | 6 | 10 | 18:33 | 21 |
| ტოტენჰემი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:26 | 20 |
| ბლექბერნი | 20 | 4 | 6 | 10 | 22:36 | 18 |
| ვესტ ბრომვიჩი | 21 | 5 | 3 | 13 | 17:37 | 18 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანელკა (ჩელსი) | 14 |
| რობინიო (სიტი) | 11 |

### ჩემპიონატი. XXVII ტური

რედინგი — უოტფორდი 4:0; ბარნსლი — საუთჰემპტონი 0:1; ჩარლტონი — ნოტინგემი 0:2; იფსვიჩი — უენსდი 1:1; ქუინზ პარკი — ქოვენტრი 1:1; შეფილდი — ნორვიჩი 1:0; ვულვზი — პრესტონი 1:3; ბარნლი — სუონსი 0:2. ბლექპული — ბირმინგემი, კარდიფი — დერბი, დონკასტერი — ბრისტოლი, პლიმუთი — კრ. პალასი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 27 | 18 | 4 | 5 | 55:33 | 58 |
| რედინგი | 27 | 16 | 6 | 5 | 57:24 | 54 |
| ბირმინგემი | 26 | 15 | 6 | 5 | 34:23 | 51 |
| შეფილდი | 27 | 12 | 8 | 7 | 38:25 | 44 |
| კარდიფი | 26 | 11 | 11 | 4 | 36:25 | 44 |
| პრესტონი | 27 | 13 | 5 | 9 | 39:33 | 44 |
| ბარნლი | 27 | 12 | 7 | 8 | 40:37 | 43 |
| კრ. პალასი | 26 | 11 | 7 | 8 | 38:28 | 40 |
| ქუინზ პარკი | 27 | 10 | 9 | 8 | 26:27 | 39 |
| სუონსი | 27 | 8 | 14 | 5 | 35:30 | 38 |
| იფსვიჩი | 27 | 9 | 9 | 9 | 36:29 | 36 |
| უენსდი | 27 | 9 | 8 | 10 | 26:38 | 35 |
| ბრისტოლი | 26 | 8 | 10 | 8 | 30:32 | 34 |
| ქოვენტრი | 27 | 8 | 10 | 9 | 30:32 | 34 |
| პლიმუთი | 26 | 9 | 6 | 11 | 27:29 | 33 |
| ბარნსლი | 27 | 9 | 5 | 13 | 28:33 | 32 |
| ბლექპული | 26 | 7 | 10 | 9 | 26:33 | 31 |
| დერბი | 26 | 7 | 8 | 11 | 28:37 | 29 |
| უოტფორდი | 27 | 7 | 6 | 14 | 38:48 | 27 |
| ნოტინგემი | 27 | 6 | 9 | 12 | 28:38 | 27 |
| ნორვიჩი | 27 | 7 | 5 | 15 | 32:43 | 26 |
| საუთჰემპტონი | 27 | 6 | 8 | 13 | 23:40 | 26 |
| დონკასტერი | 26 | 6 | 6 | 14 | 17:31 | 24 |
| ჩარლტონი | 27 | 4 | 7 | 16 | 28:47 | 19 |



„ჩელსის“ პირველმა ნემანია ვიდიჩმა გაუტანა

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XVIII ტური

# დეპორტივოს კანუტემ უგოლოდ მოუგო

**ვალენსია 3:3 ვილიარეალი**
1:0 ბარახა (1), 2:0 ვილია (10), 2:1 ფუენტესი (45), 2:2 იორენტე (76), 3:2 ედუ (81), 3:3 როსი (84პ)
ვალენსია: რენანი, ფერნანდეში (მადურო 56), ალბიოლი (ედუ 73), მარჩენა, მორეტი (დელ ორნო 62), ალბელდა, ბარახა, ხუაკინი, სილვა, მატა, ვილია
მწვრთნელი: უნაი ემერი
ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, ანხელი, გონსალო (ფუენტესი 22), გოდინი, კაპდევილია, ეგურენი (ედმილსონი 46), ბრუნო (პირესი 65), კაზორლა, იბაგასა, იორენტე, როსი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ბარახა, ეგურენი, ბრუნო, ფუენტესი
მსაჯი: მედინა კანტალეხო

**დეპორტივო 1:3 სევილია**
1:0 დიასი (33), 1:1 ფაბიანო (50), 1:2 რენატო (78), 1:3 კაპელი (90)
გაფრთხილება: ლოპო (დეპორტივო), ფ. ნავარო, კრესპო (სევილია)
გაძევება: მარესკა (41, სევილია)

**ატლეტიკო 2:3 ბილბაო**
1:0 ანტონიო ლოპესი (15), 1:1 ქ. კამპო (45), 1:2 ასუნსაო (51პ.კ.), 1:3 ლორენტე (65), 2:3 ფორლანი (90)
გაფრთხილება: მანიშე, კამაჩო, მაქსი როდრიგესი, სიმაო, მანიშე, სინამა პონიოლი, ბანეგა, პერნია (ატლეტიკო), ც. კამპო, გორკა (ბილბაო)
გაძევება: მანიშე (73, ატლეტიკო)

**ნუმანსია 2:0 ხეტაფე**
1:0 ბარკერო (83), 2:0 არანდა (80)
გაფრთხილება: გიარე (ნუმანსია), გავილანი, ალბინი, ჩელესტინი (ხეტაფე)
გაძევება: პატო (5, ხეტაფე)

**რასინგი 1:1 უელვა**
1:0 პერეირა (33), 1:1 კამუნიასი (42)
გაფრთხილება: ორიოლი, ლუჩინი, მარკანო (რასინგი), ბარბერი, აიტორი, ფუეგო (უელვა)

**ბეტისი 1:2 მალაგა**
0:1 აპონო (18), 1:1 ემანა (38), 1:2 ელისეუ (90)
გაფრთხილება: ხუანიტო, ემანა, ემანა
გაძევება: მელი (23, ბეტისი), ემანა (68, ბეტისი)

**ხიხონი 2:1 ვალიადოლიდი**
1:0 კარმელო (18), 2:0 ბარალი (36), 2:1 გარსია კალვო (88)
გაფრთხილება: ბარალი, კამაჩო, სასტრე (ხიხონი), მარკოსი, პრიეტო, მარკესი (ვალიადოლიდი)
გაძევება: მარკოსი (30, ვალიადოლიდი)

**მალიორკა 0:3 რეალი**
0:1 რობენი (3), 0:2 რაული (17), 0:3 რამოსი (66)
გაფრთხილება: ლ. დიარა, სნეიდერი, მარინი, ვებო, რამოსი, სკალონი, არანგო, კეიტა, სანტანა

**ესპანიოლი 1:2 ალმერია**
0:1, 0:2 უჩე (4, 54), 1:2 მარტინესი (62), 2:2 პარეხა (90)
გაფრთხილება: სანჩესი, პარეხა, მოიესი, ჩიკა, ხარკე (ესპანიოლი), კორონა, ჩიკო (ალმერია)

**ოსასუნა — ბარსელონა**
წუხელ გვიან დამთავრდა

„ვალენსიას“ პირველივე შეტევა რუბენ ბარახამ გოლით დაასრულა და მალე დავიდ ვილიამ მეორე რომ მიაყოლა, მასპინძლებმა სამი ქულა დაიგულეს.

ბარახამ თავურით ლამის კარის ხაზიდან შეაგდო, ვილიამ კი დიეგო ლოპესს ახლო კუთხეში გაუტანა. ამის მერე ვილიას ერთი გოლი არ ჩაუთვალეს, ერთხელ ძელს გაარტყა და ხუან მატამაც შეატოკა მეტოქის კარის ჩარჩო.

ბურთი „ვილიარეალის“ კარში არ შევიდა და ტაიმის მიწურულს „ვალენსიას“კარის ბადე მონახა.

იბაგასამ კუთხური ჩააწოდა, ფუენტესმა კი თავით სხვაობა შეამცირა. შესვენების შემდეგ ისეთი გიჟური ტემპი აღარ იყო, როგორც პირველ ნახევარში. მასპინძლები კვლავაც უპირატესობას ფლობდნენ, თუმც კასორლას შეეძლო გათანაბრება და ახლოდან აცილა.

მერე დავიდ ვილიას ჰქონდა კარგი საგოლე მომენტი, მაგრამ სილვას პასი ვერ გამოიყენა და „ვალენსია“ უმალ დაისაჯა.

იორენტეს დარტყმული ბურთი მეკარემ მოგერია, მაგრამ დამრტყმელმა დაამატა და გაათანაბრა.

ორ წუთში „ვალენსიამ“ სხვაობა ისევ აღადგინა — ედუ მცველებზე მაღლა ახტა და თავურით გაიტანა. აქ უკვე საბოლოოდ დაიმშვიდეს თავი მასპინძლებმა და „ვილიარეალმა“ პენალტი მოიპოვა: ხოაკინმა ხელით დაიჭირა კაპდევილია, მსაჯმა კი ნიშნულისკენ მიუთითა და ჯუზეპე როსიმ სტუმრებს ქულა გადაურჩინა.

„ალბათ, ფრე ლოგიკური იყო — თქვა „ვილიარეალის“ მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ — ჩვენ უშუალო კონკურენტთან გამარჯვება გვსურდა და მათაც სამი ქულის აღება უნდოდათ“.

„სევილიამ“ კი „ვალენსიას“ წაფორხილებით ისარგებლა და გადაასწრო. ლა კორუნიაში „დეპორტივო“ ბოდიპომ დააწინაურა და ტაიმის მიწურულს სტუმრებს მარესკა გაუძევეს, რომელმაც მსაჯის თვალწინ ბოდიპოს მუჯლუგუნი ჰკრა. მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა სევილიელთა მეგოლე ფრედერიკ კანუტე, რომელმაც ორი საგოლე პასი მიითვალა და ათკაცა სტუმრები 78-ე წუთისთვის უკვე იგებდნენ. ბოლოს კი დიეგო კაპელმა მესამე მიაყოლა და „დეპორტივოს“ გათანაბრების შანსი მოუსპო.

„მგონი, ეს ჩემი საუკეთესო მატჩი იყო „სევილიაში“ — თქვა კანუტემ.

**ქოტე ქექელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 17 | 14 | 2 | 1 | 51:11 | 44 |
| რეალი | 18 | 11 | 2 | 5 | 38:26 | 35 |
| სევილია | 18 | 10 | 5 | 3 | 27:16 | 35 |
| ვალენსია | 18 | 10 | 4 | 4 | 36:24 | 34 |
| ატლეტიკო | 18 | 9 | 3 | 6 | 41:29 | 30 |
| ვილიარეალი | 18 | 8 | 6 | 4 | 30:25 | 30 |
| დეპორტივო | 18 | 9 | 3 | 6 | 23:22 | 30 |
| მალაგა | 18 | 8 | 4 | 6 | 27:27 | 28 |
| ხიხონი | 18 | 8 | 0 | 10 | 26:37 | 24 |
| ვალიადოლიდი | 18 | 7 | 2 | 9 | 26:27 | 23 |
| ბილბაო | 18 | 6 | 5 | 7 | 24:27 | 23 |
| რასინგი | 18 | 5 | 7 | 6 | 20:23 | 22 |
| ხეტაფე | 18 | 5 | 6 | 7 | 24:29 | 21 |
| ალმერია | 18 | 5 | 5 | 8 | 19:27 | 20 |
| ნუმანსია | 18 | 6 | 2 | 10 | 24:36 | 20 |
| ბეტისი | 18 | 5 | 3 | 10 | 22:25 | 18 |
| უელვა | 18 | 4 | 5 | 9 | 15:28 | 17 |
| ესპანიოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 17:28 | 15 |
| მალიორკა | 18 | 3 | 5 | 10 | 18:35 | 14 |
| ოსასუნა | 17 | 2 | 7 | 8 | 17:23 | 13 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 15 |
| ვილია (ვალენსია) | 14 |

**სეგუნდადივიზიონი XIX ტური**

ალავესი — სელტა 1:2; ერკულესი — ალიკანტე 1:2; მურსია — ალბასეტე 1:0; სევილია B — უესკა 1:1; სარაგოსა — სალამანკა 1:0; ხერესი — ტენერიფე 2:0; კასტელიონი — ხიმნასტიკი 2:1; ელჩე — ლევანტე 0:2; ხირონა — ეიბარი 2:0; ლას პალმასი — კორდობა 0:0; სოსიედადი — რაიო ვალეკანო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 19 | 9 | 6 | 4 | 34:21 | 33 |
| სარაგოსა | 19 | 9 | 6 | 4 | 33:20 | 33 |
| სალამანკა | 19 | 9 | 5 | 5 | 24:18 | 32 |
| ტენერიფე | 19 | 9 | 3 | 7 | 32:29 | 30 |
| ერკულესი | 19 | 7 | 8 | 4 | 26:17 | 29 |
| კასტელიონი | 19 | 7 | 8 | 4 | 27:20 | 29 |
| ლევანტე | 19 | 8 | 5 | 6 | 26:25 | 29 |
| უესკა | 19 | 7 | 7 | 5 | 27:22 | 28 |
| სოსიედადი | 19 | 6 | 10 | 3 | 19:15 | 28 |
| სელტა | 18 | 7 | 7 | 4 | 21:18 | 28 |
| ხირონა | 19 | 7 | 7 | 5 | 18:17 | 28 |
| ხიმნასტიკი | 19 | 6 | 9 | 4 | 31:23 | 27 |
| რაიო ვალეკანო | 19 | 6 | 9 | 4 | 22:20 | 27 |
| ლას პალმასი | 19 | 6 | 8 | 5 | 25:19 | 26 |
| ალბასეტე | 19 | 6 | 6 | 7 | 21:25 | 24 |
| ელჩე | 19 | 5 | 7 | 7 | 22:23 | 22 |
| ეიბარი | 19 | 5 | 6 | 8 | 14:25 | 21 |
| ალავესი | 19 | 5 | 5 | 9 | 20:32 | 20 |
| მურსია | 18 | 5 | 4 | 9 | 17:25 | 19 |
| კორდობა | 19 | 4 | 6 | 9 | 17:26 | 18 |
| ალიკანტე | 19 | 2 | 6 | 11 | 14:31 | 12 |
| სევილია B • | 19 | 1 | 6 | 12 | 11:30 | 9 |

**კოპა დელ რეი**

ატლეტიკო — ბარსელონა 1:3; პოლი ეხიდო — ესპანიოლი 3:2; რასინგი — ვალენსია 1:1; უნიონი — ბეტისი 0:1; სევილია — დეპორტივო 2:1; ხიხონი — ვალიადოლიდი 3:1; მალიორკა — ალმერია 3:1; ოსასუნა — ბილბაო 1:1

# საფრანგეთი

**I დივიზიონი. XX ტური**

ოსერი — მარსელი 0:2; ლე ავრი — ტულუზი 0:1; ლიონი — ლორიანი 1:1; მონაკო — ნანტი 1:2; რენი — გრენობლი 1:0; სოშო — სენტ ეტიენი 1:0; ვალანსიენი — კანი, ლე მანი — ლილი, ნანსი — ნიცა გადაიდო. ბორდო — პსჟ წუხელ გვიან დამთავრდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 20 | 11 | 6 | 3 | 24:13 | 39 |
| რენი | 20 | 9 | 10 | 1 | 25:13 | 37 |
| ბორდო | 19 | 10 | 5 | 4 | 31:19 | 35 |
| მარსელი | 20 | 9 | 8 | 3 | 35:24 | 35 |
| ტულუზი | 20 | 9 | 7 | 4 | 20:15 | 34 |
| პსჟ | 19 | 10 | 3 | 6 | 24:17 | 33 |
| ლილი | 19 | 8 | 8 | 3 | 28:19 | 32 |
| ნიცა | 19 | 8 | 6 | 5 | 23:19 | 30 |
| ლორიანი | 20 | 7 | 6 | 7 | 26:24 | 27 |
| ნანსი | 19 | 6 | 7 | 6 | 18:17 | 25 |
| გრენობლი | 20 | 6 | 7 | 7 | 13:18 | 25 |
| ლე მანი | 19 | 7 | 3 | 9 | 25:28 | 24 |
| კანი | 19 | 5 | 8 | 6 | 23:21 | 23 |
| მონაკო | 20 | 6 | 5 | 9 | 23:25 | 23 |
| ნანტი | 20 | 6 | 5 | 9 | 17:26 | 23 |
| ოსერი | 20 | 5 | 5 | 10 | 14:21 | 20 |
| სენტ ეტიენი | 20 | 6 | 1 | 13 | 15:29 | 19 |
| სოშო | 20 | 2 | 11 | 7 | 19:25 | 17 |
| ვალანსიენი | 19 | 3 | 6 | 10 | 16:25 | 15 |
| ლე ავრი | 20 | 3 | 3 | 14 | 14:35 | 12 |

**II დივიზიონი. XIX ტური**

ბულონი — ლანსი 3:1; ბასტია — კლერმონი 2:1; ბრესტი — გენგამი 1:1; ვანი — ნიმი 1:0; მონპელიე — ტური 1:1. რეიმსი — სტრასბური, შატორუ — ანჟერი, დიჟონი — ამიენი, მეცი — აიაჩო, სედანი — ტრუა გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 19 | 12 | 1 | 6 | 27:20 | 37 |
| ბულონი | 19 | 10 | 5 | 4 | 26:15 | 35 |
| მონპელიე | 19 | 9 | 6 | 4 | 33:16 | 33 |
| სტრასბური | 18 | 9 | 6 | 3 | 29:18 | 33 |
| ანჟერი | 18 | 8 | 7 | 3 | 26:17 | 31 |
| მეცი | 18 | 8 | 5 | 5 | 19:15 | 29 |
| ტური | 19 | 8 | 4 | 7 | 26:25 | 28 |
| ვანი | 19 | 8 | 4 | 7 | 14:16 | 28 |
| ტრუა | 18 | 7 | 5 | 6 | 18:17 | 26 |
| ბასტია | 19 | 7 | 5 | 7 | 21:21 | 26 |
| ბრესტი | 19 | 7 | 2 | 10 | 19:22 | 23 |
| კლერმონი | 19 | 5 | 7 | 7 | 22:27 | 22 |
| ამიენი | 18 | 4 | 9 | 5 | 15:16 | 21 |
| გენგამი | 19 | 4 | 9 | 6 | 16:18 | 21 |
| დიჟონი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:24 | 21 |
| სედანი | 18 | 5 | 6 | 7 | 17:23 | 21 |
| შატორუ | 18 | 5 | 5 | 8 | 18:22 | 20 |
| აიაჩო | 18 | 5 | 5 | 8 | 25:31 | 20 |
| ნიმი | 19 | 2 | 7 | 10 | 14:27 | 13 |
| რეიმსი | 18 | 2 | 6 | 10 | 18:33 | 12 |

**III ლიგა**

შერბური — კანი 0:1. სხვა მატჩები გადაიდო

# პორტუგალია

**სუპერლიგა. XIV ტური**

გიმარაეში — ამადორა 0:0; სპორტინგი — მარიტიმუ 2:0; ფერეირა — ნასიონალი 2:3; ლეიშოეში — სეტუბალი 0:0; ნავალი — აკადემიკა 2:1; რიუ ავე — ბელენენსეში 0:1; ბენფიკა — ბრაგა 1:0; პორტუ — ტროფენსე წუხელ გვიან დამთავრდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 14 | 8 | 5 | 1 | 25:12 | 29 |
| სპორტინგი | 14 | 9 | 2 | 3 | 18:7 | 29 |
| პორტუ | 13 | 8 | 3 | 2 | 24:11 | 27 |
| ლეიშოეში | 14 | 7 | 5 | 2 | 17:12 | 26 |
| ნასიონალი | 14 | 7 | 3 | 4 | 22:18 | 24 |
| ბრაგა | 14 | 6 | 5 | 3 | 14:6 | 23 |
| მარიტიმუ | 14 | 6 | 4 | 4 | 17:14 | 22 |
| გიმარაეში | 14 | 4 | 6 | 4 | 12:13 | 18 |
| ნავალი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:15 | 16 |
| ამადორა | 14 | 4 | 4 | 6 | 10:18 | 16 |
| აკადემიკა | 14 | 3 | 5 | 6 | 8:13 | 14 |
| ბელენენსეში | 14 | 3 | 4 | 7 | 12:22 | 13 |
| ფერეირა | 14 | 3 | 3 | 8 | 17:25 | 12 |
| სეტუბალი | 14 | 3 | 3 | 8 | 7:17 | 12 |
| ტროფენსე | 13 | 3 | 2 | 8 | 12:18 | 11 |
| რიუ ავე | 14 | 2 | 4 | 8 | 10:17 | 10 |

**II ლიგა**

ოლივეირენსე — სანტა კლარა 2:1; ავეში — ჟილ ვისენტე 2:0; ბეირა მარი — ფრეამუნდე 1:0; ბოავიშტა — ესტორილი 2:0; ოლიანენსე — გონდომარი 2:0; ფეირენსე — ლეირია 0:0; პორტიმონენსე — ვიზელა 2:2; ვარზიმი — კოვილია 1:1

# კვიპროსი

**I დივიზიონი**

დოქსა — აეკ 2:2; აპოლონი — კინირასი 3:1; ათრომიტოსი — ომონია 0:5; ანორთოსისი — ლიმასოლი 2:1; ალკი — პარალიმნი 2:1; აპოელ — პაფოსი 4:1

# იტალია

**სერია A**

**რომა 2:2 მილანი**
1:0 ვუჩინიჩი (22), 1:1, 1:2 პატო (48, 53), 2:2 ვუჩინიჩი (72)
რომა: დონი, ჟუანი, მექსეში, რიისე, კასეტი (სისინიო 81), დე როსი, ბრიგი (აკვილანი 84), პეროტა, ვუჩინიჩი, ბაპტისტა, ტადეი (პისარო 65)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მილანი: აბიატი, ფავალი, მალდინი, იანკულოვსკი, ძამბროტა, პირლო, ზეედორფი, ბექემი (ფლამინი 89), პატო, რონალდინიო (ამბროზინი 71), კაკა
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: პირლო, ზეედორფი, რიისე, ბრიგი, ბაპტისტა
მსაჯი: ემილიო მორგანტი

**სერია C1/A**

კრემონეზე — პრო სესტო 1:1; მონცა — სპალ 1:2; პადოვა — ლეინიანო 0:0; პორტოგრუარო — ვენეცია 2:1; რავენა — პერგოკრემა 1:0; რეჯიანა — ჩეზენა 1:0; სანბენედეტეზე — ნოვარა 0:1; ვერონა — ლუმეცანე 0:0. ლეკო — პრო პატრია დღეს გაიმართება

**სერია C1/B**

ბენევენტო — პერუჯა 1:0; კავეზე — არეცო 2:2; ფოლინიო — პაგანეზე 3:0; სტაბია — ტარანტო 3:1; პესკარა — კროტონე 0:1; პისტოიეზე — გალიპოლი 0:2; პოტენცა — ფოჯა 0:0; მარკიანიზე — ტერნანა 0:0; სორენტო — ლანჩანო 2:1

# შოტლანდია

**გადადებული მატჩი**

მოზერუელი — ჰართსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 21 | 16 | 3 | 2 | 47:20 | 51 |
| რეინჯერსი | 21 | 14 | 4 | 3 | 48:17 | 46 |
| დანდი იუნ. | 21 | 9 | 8 | 4 | 30:22 | 35 |
| ჰართსი | 21 | 9 | 5 | 7 | 20:22 | 32 |
| აბერდინი | 20 | 9 | 3 | 8 | 23:21 | 30 |
| ჰიბერნიანი | 21 | 7 | 6 | 8 | 26:28 | 27 |
| კილმარნოკი | 20 | 8 | 2 | 10 | 21:26 | 26 |
| სენტ მირენი | 21 | 7 | 4 | 10 | 16:22 | 25 |
| მოზერუელი | 21 | 7 | 3 | 11 | 21:31 | 24 |
| ჰამილტონი | 21 | 6 | 2 | 13 | 19:36 | 20 |
| ფოლკირკი | 21 | 4 | 6 | 11 | 22:31 | 18 |
| ინვერნესი | 21 | 5 | 2 | 14 | 20:37 | 17 |

**II დივიზიონი**

სტირლინგი — რაითი 2:1

**III დივიზიონი**

ქოუდენბითი — დამბარტონი 2:0; მონტროუზი — ელგინი 3:1. ანანი — ალბიონი გადაიდო

**ასოციაციის თასი**

ერდრი — სპარტანსი 2:1; ალოა — აბერდინი 1:2; ეირი — კილმარნოკი 2:2; სელტიკი — დანდი 2:1; დანფერმლაინი — კლაიდი 2:0; ფოლკირკი — ქუინი 4:2; ინვერნესი — პარტიკი 3:0; პიტერჰედი — ქუინზ პარკი 2:2; როსი — ჰემილტონი 0:1; სტენჰაუზმური — ისტ ფაიფი 0:1; ჰიბერნიანი — ჰართსი 0:2; ისტ სტირლინგი — დანდი იუნ. 0:4. სხვა მატჩები გადაიდო

# საბერძნეთი

**სუპერლიგა. XVII ტური**

პანიონიოსი — პანსერაიკოსი 2:0; პანთრაკიკოსი — პანათინაიკოსი 1:3; ოლიმპიაკოსი — ქსანთი 2:1; ფილისი — ლევადიაკოსი 2:1; ლარისა — ტრიპოლისი 2:1; ოფი — ირაკლისი 2:3; არისი — ერგოტელისი 0:0; აეკ — პაოკ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 17 | 13 | 3 | 1 | 30:7 | 42 |
| პანათინაიკოსი | 17 | 9 | 6 | 2 | 30:13 | 33 |
| პაოკ | 17 | 9 | 6 | 2 | 19:9 | 33 |
| აეკ | 17 | 6 | 10 | 1 | 20:16 | 28 |
| ლარისა | 17 | 6 | 7 | 4 | 22:16 | 25 |
| პანიონიოსი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:20 | 25 |
| არისი | 17 | 6 | 6 | 5 | 14:14 | 24 |
| ერგოტელისი | 17 | 6 | 4 | 7 | 22:24 | 22 |
| პანთრაკიკოსი | 17 | 6 | 4 | 7 | 11:16 | 22 |
| ქსანთი | 17 | 5 | 6 | 6 | 11:12 | 21 |
| ირაკლისი | 16 | 5 | 6 | 5 | 15:17 | 21 |
| ლევადიაკოსი | 17 | 5 | 4 | 8 | 12:16 | 19 |
| ტრიპოლისი | 17 | 2 | 8 | 7 | 14:20 | 14 |
| ფილისი | 17 | 3 | 3 | 11 | 15:28 | 12 |
| ოფი | 17 | 2 | 5 | 10 | 17:31 | 11 |
| პანსერაიკოსი | 16 | 2 | 4 | 10 | 9:25 | 10 |

# ბელგია

**II ლიგა**

ყველა მატჩი გადაიდო

**თასი**

ბრიუგე — რუზელარე 0:1



# ესტონეთიდან იაპონია არ გამოჩნდა

**საქართველოს** ქალ ფრენბურთელთა ნაკრები იაპონიაში გასამართი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში ესტონეთთან დამარცხდა. საქართველოთი გაძლიერებული ჩვენი ფრენბურთელები მასპინძლებთან 0:3 (17:25, 20:25, 14:25) წააგეს.

მომდევნო მატჩში ნინო მღებრიშვილის გაწვრთნილებმა დანიელები დაამარცხეს 3:1 (25:18, 19:25, 25:23, 25:15) და ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი შეინარჩუნეს. მომდევნო ეტაპზე ჯგუფის გამარჯვებული გადიოდა.

მესამე მატჩში კი, გუშინ საღამოს, ქართველები მოლდოვას ნაკრებს დაუპირისპირდნენ, 0:3 დამარცხდნენ და ჯგუფიდან ვერ გავიდნენ.

# GUINNESS WORLD RECORDS



ვინდსერფინგით უგრძესი მანძილი ორმა ბრაზილიელმა, ფლავიო ჟარდიმმა და დიეგო გერერომ დაფარეს — 2004 წლის 17 მაისს დაწყებული მოგზაურობა 2005 წლის 18 ივლისს დაასრულეს. მათი მარშრუტი ჩუიში დაიწყო და ოიაპოკეში დამთავრდა. ერთწლიანი მოგზაურობისას ბრაზილიელებმა 8 120 კილომეტრი დაფარეს.

# ანეკდოტები

ვერ დაიჯერებთ: ჩვენმა ნაკრებმა ინგლისის ნაკრები დაამარცხა! დიახ, ინგლისის კაცთა ნაკრები! დიახ, ფეხბურთელ კაცთა ნაკრები! დიახ, დიახ, ფეხბურთში დაამარცხა! ხომ გითხარით, ვერ დაიჯერებთ-მეთქი.

არაბმა შეიხებმა ოლიმპიურ კომიტეტს მილიონი დოლარი გადაუხადეს. ახლა ყველა შეჯიბრი, სადაც ებრაელ სპორტსმენებს წარმატების შანსი აქვთ, შაბათობით ჩატარდება.

ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრების დამარცხებით რუსებმა ერთხელაც დაამტკიცეს, რომ ალკოჰოლიზმი ჯობია ნარკომანიას.

ბულგარეთთან თამაშის წინ ექტორ რაულ კუპერმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს წასაკითხად მისცა წიგნი: „10 ხერხი, როგორ ვერ გავიტანოთ გოლი".

— რატომ უკეთია ამ მოკრივეს ამხელა ლინზები?
— ეს ახლაა ლინზები, თორემ პირველ რაუნდში სათვალე იყო.

წაქცეულ მოკრივეს მსაჯი უთვლის: ერთი, ორი, სამი...
მწვრთნელი უყვირის: რვამდე არ ადგე!
მოკრივე: და ახლა რომელი საათია?

# სახალისო ფოტო



# რას არ გაიგებ კომენტატორისგან

გამეორებაზე კარგად ჩანს, რომ ლუჯნიმ მეტოქეს ფეხში წესის დაურღვევლად ჩაარტყა.

ახლა ჩვენ ენახავთ საგოლე მომენტის სახიფათო გამეორებას.

დღეს გუნდი საბრძოლო განწყობაზეა, ორი დღეა, წვეთი არ დაულევიათ.

უძლიერესი დარტყმა და ბურთმა მილიმეტრებში ჩაუქროლა კუთხურის ალამს.

25-ე წუთზე მოხდა ის, რასაც სტადიონზე ათასობით ქომაგი ელოდა — ტრიბუნებზე ლუდი ჩამოატარეს.

„ატალანტამ" ნახევარდაცვა გააძლიერა. ახლა მოედნის ცენტრში ოთხი ადამიანი და ოთხი მცველია.

# სპორტი და ისტორია



აქა-იქ უკვე გაისმა ხმები სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტის თაობაზე. იქამდე პეკინის ოლიმპიადის ბოიკოტსაც მოითხოვდა ზოგიერთი ორგანიზაცია ჩინეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო. იმ საქმიდან არაფერი გამოვიდა. აი, სადაც გამოვიდა, ასეთი სამი ოლიმპიადა გახლდათ. გეხსომებათ, რომ 1980 წელს კაპიტალისტურმა სამყარომ უგანა მოსკოვურ თამაშებს, რასაც სოციალისტურმა ბანაკმა ოთხი წლის მერე ლოს ანჯელესის ოლიმპიადის ბოიკოტით უპასუხა.

ბოიკოტის საქმეში კი პიონერი იყო 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადა, რომელში მონაწილეობაზეც აფრიკულმა ქვეყნებმა თქვეს უარი. აფრიკელებს კანადასთან პრეტენზია არ ჰქონიათ, სხვა რამ გააპროტესტეს.

ოლიმპიადამდე მცირე ხნით ადრე ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრებმა ტურნე მოაწყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც იმხანად აპარტეიდი მძვინვარებდა, ნელსონ მანდელა კი ციხეში ჰყავდათ დამწყვდეული.

ჰოდა, სხვა აფრიკულმა ქვეყნებმა ახალი ზელანდიის დელეგაციის ოლიმპიური თამაშებიდან მოკვეთა მოითხოვეს და დასტური რომ ვერ მიიღეს, მონრეალში სპორტსმენები არ გაუშვეს.

# სარბიელის კვირის რეიტინგი

1. ბექა გოცირიძე (ერთ-ერთი სარეკორდო ქართული ტრანსფერი); 2. გია გრიგალავა (ამსტერდამის „აიაქსის" ქართველი ახალწვეული), 3. ნონა გაფრინდაშვილი (დედოფლის დაბრუნება ქართულ ჭადრაკში); 4. ნიკა ცქიტიშვილი (15 ქულა ესპანეთის ჩემპიონატში); 5. მანუჩარ მარკოიშვილი (10 ქულა ევროჩელენჯზე); 6. ჯაბა კანკავა (პირველი მატჩი ცხრათვიანი პაუზის შემდეგ); 7. ზურაბ ხიზანიშვილი („ბლექბერნის" კაპიტანი სათასო მატჩში); 8. დავით ოდიკაძე (ტრანსფერი უნგრულ „დიორ ეტოში"); 9. ალექსანდრე კოშკაძე (ზამთრის პაუზის ყველაზე ხმაურიანი შიდაქართული ტრანსფერი); 10. ჯაბა მუჯირი (რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნება საქართველოს ჩემპიონატში)



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე

ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, მაია ჯიჯავა
უცხოური ფეხბურთი: გიო ახვლედიანი, ვაჟა ხუციშვილი
სპორტი: ლექსო მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: მაგდა ლოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge